



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ივლიანე ძნელაძე

ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა და მისი ადგილი
საერთაშორისო სისტემაში

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილია

დისერტაცია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2023

საავტორო უფლება © 2023 წელი, „ივლიანე ძნელაძე“

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა
ციტირებული და დამოწმებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ივლიანე ძნელაძე 30/05/2023

ანოტაცია

ნაშრომში - „ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა და მისი ადგილი საერთაშორისო სისტემაში“ - გამოკვლეულია ჩინელი ერის სახელმწიფოებრივი იდენტობის მახასიათებლები და ამ იდენტობით განსაზღვრული ხედვა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი. ჩინეთის ხარისხობრივად ახალ დონეზე განხილვის მიზნით, ნაშრომში შესწავლილია ჩინური ფილოსოფიის, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ხილული და უხილავი ასპექტები.

კვლევის პირველი ნაწილი ეთმობა ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობისა და XXI საუკუნეში ჩინეთის აღმასვლის კორელაციის გამოვლენას. გამოკვლეულია ჩინეთის ისტორიაში სხვადასხვა დინასტიური მმართველობების პერიოდების ძირითადი ფილოსოფიური და სოციო-პოლიტიკური კონცეპტები. აღწერილია ძველი და თანამედროვე ჩინეთის მსოფლმხედველობითი მემკვიდრეობა. გაანალიზებულია საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩო.

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ურთიერთობათა არადასავლური თეორიების გავრცელების პერსპექტივები. შესწავლილია ამ კუთხით ჩინეთში არსებული მდგომარეობა და ის სამეცნიერო პროექტები, რომლებიც ემსახურებიან ანტიკური ჩინური ცოდნის რეაქტუალიზაციას.

გაანალიზებულია ჩინეთ-ევროკავშირის, როგორც ორი განსხვავებული საერთაშორისო სუბიექტის მსოფლმხედველობითი სისტემები. შესწავლილია მათი ძირითადი განსხვავებები, რომლებიც ხელს უშლიან ჩინეთ-ევროკავშირს შორის ურთიერთობების დივერსიფიცირებას.

ნაშრომის ბოლო ნაწილი ეთმობა ახალი მეცნიერული პარადიგმის - ნოოლოგიის წარმოდგენას. გადმოცემულია აღნიშნული თეორიის არსი, ძირითადი კონცეპტები და მიდგომები. გაანალიზებულია ნოოლოგიის სახელმძღვანელო - „ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა, საზოგადოების თვითორგანიზაციისა და ცვლის კანონები“ (2020). შესწავლილია ამ თეორიათა სისტემის ორიგინალური შედეგები და ახალი საერთაშორისო წესრიგის ოპტიმალური მოდელის კონცეპტუალური ასპექტები.

Annotation

In the dissertation – **“The Chinese state identity and its place in the international system”** - the defining characteristics of the national identity of the Chinese nation are explored, arguing that it directly affects the formation of the Chinese worldview in international relations. In order to discuss China at a qualitatively new level, the paper examines the hidden correlations between Chinese state identity and Chinese history and political philosophy.

The **first part** studies the interrelationship between the Chinese state identity and China's rise in the XXI century, exploring the basic philosophical and socio-political concepts of various dynastic periods of Chinese history. It moreover describes the philosophical heritage of ancient Chinese thought. This part also presents various theoretical and methodological frameworks of international relations related to China's rise.

We talk about the prospects of establishing non-western theories of international relations. In the modern academia, the expectation has risen that the dominant schools of thoughts in the international relation will soon be challenged and non-western theories of the international relations.

We comparatively analyse China and the EU, as of two international actors with different ideological systems of worldview. In this part, the main differences hindering the development of China-EU relations are identified. We also explain why the EU perceives China as a "geopolitical threat", while at the same time declaring multilateralism as one of its most important values.

The last part is devoted to the study and analyzing China through a new scientific paradigm – „Noology,“ which is the continuation of the work of prominent Georgian scientist Dimitri Uznadze’s „Theory of Attitude and Set.”

სარჩევი

შესავალი	6
თავი I. ჩინელი ერის გაგება და ხედვა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი	25
1.1 ჩინური სახელმწიფოებრიობის თეორიულ-მეთოდოლოგიური და ისტორიული მახასიათებლები	25
1.2 კონფუციანური ცივილიზაციური სახელმწიფოს არსი და მისი საერთაშორისო წესრიგის თავისებურებები	45
1.3 ჩინეთის აღმასვლის სტრუქტურული ანალიზი (სამი კრიტიკული თეორიის მაგალითზე)	68
თავი II. XXI საუკუნეში ჩინური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარების ტენდენციები	85
2.1 საერთაშორისო ურთიერთობათა არადასავლური თეორიები	85
2.2 ჩინეთში საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის შესწავლის სტადიები	93
2.3 საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის ჩინური მიდგომები	97
თავი III. ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობები	115
3.1 ჩინეთ-ევროკავშირის თანამშრომლობა და კონკურენცია	115
3.2 ჩინეთ-ევროკავშირის მსოფლმხედველობითი სისტემები	126
თავი IV. ნოოლოგია და ჩინელი ერის პოლიტიკური ფსიქოტიპი	132
4.1 ნოოლოგია: თეორიათა სისტემა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონების შესახებ	132
4.2 ფორმის მანია, ჩინეთი და ოპტიმალიზმის დოქტრინა	152
დასკვნა	160
ბიბლიოგრაფია	166

შესავალი

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალურობა

XXI საუკუნეში მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება დიდი ინტერესით სწავლობს ჩინეთის აღმასვლას და როლს საერთაშორისო სისტემაში. მეცნიერ-მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩინეთი მომავალში კიდევ უფრო ძლიერ საერთაშორისო სუბიექტად ჩამოყალიბდება და შესაბამისად, მისი ჰეგემონად¹ ფორმირება გარდაუვალი გახდება.

დასავლელი მეცნიერების გარკვეული ჯგუფი მეტად სკეპტიკურია ჩინეთზე ორიენტირებული მსოფლიო წესრიგის ფორმირების (სინოცენტრული წესრიგი) შესაძლებლობის განვითარებით და მიაჩნია, რომ ჩინური სახელმწიფოს აღმასვლა მხოლოდ დროებით მოვლენას წარმოადგენს. ეს მეცნიერები, რიგ მონაცემებზე დაყრდნობით, პროგნოზირებენ, რომ რამდენიმე წელში, პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით, ჩინეთის პროგრესი შეჩერდება, რაც მის ჰეგემონად ჩამოყალიბებას შეაფერხებს.

ზემოთქმულ პოზიციას ძირითადად ჩინური წარმომავლობის მეცნიერ-მკვლევრები უპირისპირდებიან. მათი მრწამსით, ჩინეთი მონომოდალისტური² ჰეგემონიზმისკენ არ მიისწრაფვის, არამედ მას სურს იმ ტიპის მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის ფორმირება, სადაც საერთაშორისო საზოგადოებაში ყველა ერის ხმა, მიუხედავად მათი სიძლიერისა თუ სტატუსისა, თანაბრად იქნება გაგონილი.

¹ სახელმწიფოს სტატუსი, რომლის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული სიძლიერე მნიშვნელოვნად აღემატება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მოქმედ ყველა დანარჩენ სუბიექტს.

² ერის მსოფლმხედველობითი სისტემის უალტერნატივობის გავრცელება ხისტი და რბილი ძალის მეთოდით.

ჩინეთი, რომ მულტიპოლარიზმის მომხრეა სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ჩინური მულტიპოლარიზმის ნარატივის ფესვები გადგმულია ანტიკური პერიოდის ჩინურ პოლიტიკურ-ფილოსოფიაში, სადაც ძირითად კონცეფციებს წარმოადგენდნენ: კანონი, ურთიერთპატივისცემა, მოვალეობა, დანაწილება, ჰუმანიზმი, ეთიკა და მორალის უზენაესობა.

XXI საუკუნეში ჩინეთის აღმასვლის მიმართ მზარდმა სამეცნიერო ინტერესმა დააყენა მისი სახელმწიფოებრივი იდენტობის მეცნიერულად დასაბუთების საჭიროება, თუმცა პრობლემის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის თვალსაჩინო რაოდენობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საკითხი დღემდე არასისტემატიზებულია.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საკვლევი თემატიკის მულტიდისციპლინური პოზიციებიდან განხილვა, ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის ობიექტური, ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზისათვის.

კვლევის მიზნები და ამოცანები

მიზანი:

- ❖ ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობისა და ამ იდენტობის მატარებელი სუბიექტის (ჩინეთის) ქცევის მახასიათებლების დადგენა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

ამოცანები:

- ❖ ჩინური და დასავლური სამეცნიერო და ფილოსოფიური ტექსტებისა და პოლიტიკური დოქტრინების კვლევა/ანალიზი, რომლებიც ჩინეთში სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების პროცესებს აღწერენ და შეისწავლიან;

- ❖ ჩინური მახასიათებლების საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარებისა და პერსპექტივის ანალიზი;
- ❖ ჩინური საერთაშორისო წესრიგის კონცეპტუალური ასპექტები კვლევა/ანალიზი;
- ❖ საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიის ქრილში, ჩინეთის სტრუქტურული ანალიზი;
- ❖ ჩინეთის სახელმწიფოებრივი იდენტობის შესწავლის ოპტიმალური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის გამოვლენა/ანალიზი.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები:

- ❖ საიდან იღებს სათავეს ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა და რა როლი შეასრულა ძველჩინურმა პოლიტიკურმა-ფილოსოფიამ ჩინური სახელმწიფო იდენტობისა და მისი საერთაშორისო პოზიციონირების ჩამოყალიბებაში?
- ❖ რაოდენ დიდია კორელაცია ჩინურ სახელმწიფოებრივ იდენტობასა და ჩინეთის საერთაშორისო პოზიციონირებას შორის და როგორი პოლიტიკური ფსიქოტიპის ერია ჩინეთი?
- ❖ როგორი წარმოდგენებია ჩინური საერთაშორისო წესრიგის მიმართ?

ჰიპოთეზა I

XXI საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ჩინეთის სწრაფი აღმასვლის ფონზე, ჩინეთის სახელმწიფოებრივი იდენტობისა და ამ იდენტობის მატარებელი საერთაშორისო სუბიექტის შესწავლის საჭიროება გაჩნდა, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ალტერნატივების გამოსავლენად. პარალელურად, ჩინურ აკადემიაში, გააქტიურდა მუშაობა საერთაშორისო ურთიერთობების ჩინური თეორიის შექმნაზე, მსოფლიო

პოლიტიკაში თანასწორი „თამაშის წესების“ დამკვიდრების მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე.

წამოყენებული პრობლემის (ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა და მისი ადგილი საერთაშორისო სისტემაში) მიმართ მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევითი პრაქტიკა ამ დრომდე საკმარისი არ აღმოჩნდა საკითხის ფუნდამენტური შესწავლისთვის. მსოფლიო მეცნიერებაში კვლავ ჩნდება განცდა, რომ საკითხი დამატებით მეცნიერულ დაზუსტებებს საჭიროებს. ამ დანაკლისის შევსების რესურსს საერთაშორისო ურთიერთობების კრიტიკული თეორიები ფლობენ.

ჰიპოთეზა II

ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა, მათ შორის, ჩინური საერთაშორისო წესრიგი - „ცისქვეშეთი“, ძველჩინური მსოფლადქმის, ფილოსოფიურ კატეგორიათა და საზოგადოების ფიქსირებული განწყობით ნაკარნახებ ქცევათა ერთობლიობას, უდროო და მარად აქტუალური ფსიქიკური მახასიათებლების ისტორიულ რეალიზაციას წარმოადგენს, რომელიც კონცეპტუალურად მიისწრაფვის ჰარმონიული საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისაკენ.

კვლევის მეთოდები

დისერტაცია ლიტერატურის ნარატიული და ისტორიულ-აღწერილობითი ანალიზის მეთოდს ეფუძნება, რაც შერჩეული წყაროების მთავარი შინაარსის აღწერასა და მათ შინაარსობრივ ინტერპრეტაციას გულისხმობს.

საკვლევი თემატიკის ნარატიული და ისტორიულ-აღწერილობითი ანალიზის მეთოდი იძლევა შესაძლებლობას ჩინეთის სახელმწიფოებრივი იდენტობის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურა შედარებით მარტივად, სისტემურად და ამავდროულად, სიღრმისეულად შეფასდეს. ამასთან, შერჩეული მეთოდებით შევძლებთ დავადგინოთ - ხარისხობრივად რა დონეზეა მსოფლიო მეცნიერებაში დისერტაციის საკვლევი თემა შესწავლილი.

დისერტაციის თემის გარშემო არსებული ლიტერატურის შესწავლისას გამოყენებულია, როგორც პირველადი, ასევე მეორეული წყაროები. პირველადი წყაროები მოიცავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის უმაღლესი თანამდებობის პირების განცხადებებს, ოფიციალურ დოკუმენტებსა და პოლიტიკურ დოქტრინებს, მათ შორის, ანტიკური ჩინური ტექსტების ინგლისურ და რუსულენოვან თარგმანებს.

ნაშრომში ასევე ვეყრდნობით შემთხვევისა და შედარებითი ანალიზის მეთოდს, რომელიც ძირითადად გამოყენებულია მესამე თავში - „ჩინეთ-ევროკავშირის მსოფლმხედველობითი სისტემები.“

თეორიული ჩარჩო

დისერტაციაში ლიტერატურის ნარატიული, ისტორიულ-აღწერილობითი, შემთხვევისა და შედარებითი ანალიზის მეთოდებით მოპოვებული შედეგები გაანალიზებულია ქართული სოციალური მეცნიერებების თეორიათა სისტემის - „ნოოლოგიის“ პრინციპებისა და მიდგომების გამოყენებით.

ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში ნოოლოგია ინდივიდის, ერისა და ცივილიზაციის ურთიერთმიმართებებს შეისწავლის და ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის, დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიის“

გაგრძელებას წარმოადგენს. უზნაძისეულ შედეგებზე დაყრდნობით, ნოოლოგიის ავტორმა, ემზარ ხვიჩიამ, ერთაშორისი განსხვავების ძირითადი ფსიქიკური მახასიათებლები გამოიკვლია, რომლებიც გადმოცემულია „ფსიქიკური სტიქიების“ (ნოოლოგიის ქვეთეორია) თეორიის სახით.

ნოოლოგიის მიხედვით, მსოფლიოში არსებობს ოთხი თვისებრივი ტიპის ერი, რომლებიც ერთმანეთისგან ყოფიერების მიმართ დამოკიდებულებით განსხვავდება (იხ. ცხრილი № 1; ერთა ფსიქიკური სტიქიების კლასიფიკაცია).

ფსიქიკური სტიქიები (ერები)	ფორმის მანია	ძლევის მანია	ცხრომის მანია	მართვის მანია
მოქმედება მოიაზრება	ფორმის ქმნის აქტად	ძლევის აქტად	ცხრომის აქტად	მართვის აქტად
ძირითადი სოციალურ- პოლიტიკური კატეგორიები	მოვალეობა (ჯერარსი)	თანასწორობა	თავისუფლება	თანხმობა
დამოკიდებულება უცხო სადმი	მიუღებლობა	ნიველირება	დამშვებლობა	მომთხოვნელ ობა
ერთა თვისებრივი ტიპების დასახელებები	მოვალეობის აპოლოგიის კლასი	თანასწორობის აპოლოგიის კლასი	თავისუფლების აპოლოგიის კლასი	თანხმობის აპოლოგიის კლასი
ექსკლუზიური სოციალურ- პოლიტიკური პარადიგმები:	ნაციონალ- სოციალიზმი, ცენტრალიზმი, წარმოების სექტორის პრიმატი	კომუნიზმი, სამხედრო სექტორის პრიმატი	ლიბერალიზმი, საბაზრო- ფინანსური სექტორის პრიმატი	ოპტიმალიზმი - ნოოტიპური მულტიმოდალ იზმი

ცხრილი №1 ერთა ფსიქიკური სტიქიების კლასიფიკაცია.

ნოოლოგიის მიგნებები დედუქციური ანალიზის შედეგია და როგორც აღინიშნა, დაფუძნებულია „განწყობის თეორიაზე“, რომელიც ფართო სამეცნიერო წრეებში აღიარებულია სანდოდ და საიმედოდ. დ. უზნაძემ მისი შედეგები უცვლელ გარემოში ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების, ცდებისა და ტესტირებების მრავალჯერ გამოყენებით მიიღო.

ხაზგასასმელია, რომ კვლევით პრაქტიკაში ნოოლოგიის გამოყენებასა და შესწავლას რამდენიმე წლიანი სასემინარო, ჯგუფური და ინდივიდუალური სამუშაოები ეთმობოდა სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციაში - „საერთაშორისო პოლიტიკის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი.“

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია „კულტურული ჰეგემონიის“, „ძალის გადაცემის“, „კომპლექსურობის“, „ცივილიზაციური სახელმწიფოს“, „Global IR“-ის, „ვორლდიზმის“ და „ცისქვეშეთის“ თეორიები. ნაშრომი კონცეპტუალურად ეყრდნობა საერთაშორისო ურთიერთობების ე.წ. მესამე სამეცნიერო დებატის გამოძახილს, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტური სკოლების მეცნიერული ალტერნატივების ძიებაზე.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია - ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის განსაზღვრა და მისი ოპტიმალური საერთაშორისო ფუნქციის დადგენა.

კვლევის ობიექტი - ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის პოლიტიკურ-ფილოსოფიური და ფსიქიკური ასპექტებია.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ქართულ აკადემიურ სივრცეში ნაშრომის მეცნიერული სიახლე განპირობებულია შემდეგით:

- ❖ პირველად საკვლევი თემის მრავალკომპონენტურობის გათვალისწინებით, ისტორიულ-აღწერილობითი და ლიტერატურის ნარატიული ანალიზის მეთოდების გამოყენებით, ნაჩვენებია ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა და მისი გავლენა ჩინეთის ხედვის ფორმირებაზე საერთაშორისო ურთიერთობების (პროცესების) მიმართ;
- ❖ პირველად ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის თეორიულ-კონცეპტუალური ასპექტების შესწავლით, კერძოდ, ლეგისტური, კონფუციანური და სხვა სკოლების შეხედულებათა შეჯერებით, გამოკვლეულია მათი როლი ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის განსაზღვრაში. ასევე, მსოფლიო მეცნიერებაში ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის თემის დამუშავების დონე;
- ❖ „ცისქვეშეთის“ კონცეფციისა და მასთან დაკავშირებული ისტორიული პერიოდების ანალიზით, გამოიკვეთა, რომ ის ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ალტერნატივას წარმოადგენს.
- ❖ ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობების განსხვავებული კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომების ანალიზით, დასტურდება, რომ არსებული ფორმით („14+1“ ფორმატი, „5+1“ პლატფორმა, „სარტყელი და გზის“ პროექტი, ჩინეთის მოთოვკის პოლიტიკა, 2020 წელს ევროკომისიის განცხადება, განსაკუთრებით ევროკავშირის, როგორც პოსტსუვერენული გაერთიანების და ჩინეთის ერი-სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვების შეუთავსებლობა) მათი ურთიერთობათა წარმატებული განვითარება ნაკლებად შესაძლებელია.

- ❖ ჩინეთის აღმასვლის სტრუქტურული ანალიზისას ანტონიო გრამშის „კულტურული ჰეგემონიის თეორიის“ და მის შესახებ ცალკეული მკვლევრების (რ. კოქსი, ლ. ადამსონი და სხვა) შეხედულებათა შეჯერებით, დასტურდება, რომ ჩინეთის მსოფლიო ჰეგემონიის როლში წარმოდგენა დამოკიდებულია არამხოლოდ ეკონომიკისა და სამხედრო პოტენციალის ღონეზე, არამედ მასთან ერთად სახელმწიფოს კულტურული და მსოფლმხედველობითი მახასიათებლების პოსტულატების საყოველთაო აღიარებაზე.
- ❖ ძველჩინური პოლიტიკური-ფილოსოფიის ტექსტების „ცინხუას სკოლის“ კვლევის მეთოდებზე დაყრდნობით, შემუშავდა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის მეთოდის ჩინური მიდგომების ცხრილი.
- ❖ საკვლევი თემის შესწავლა-ანალიზის პროცესში, ნოოლოგიის, როგორც თეორიათა სისტემის მიერ შემოთავაზებული პრინციპებისა და მიდგომების გამოყენების საფუძველზე, დასტურდება, რომ ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა და მისით განსაზღვრული მსოფლმხედველობა ძირითადად ერთა ფორმის მანიის კლასის დამახასიათებელი პარადიგმების შედეგად ჩამოყალიბდა.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:

- ❖ სადისერტაციო ნაშრომი ხელშეუწყობს ქართული პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებას. გავლენას მოახდენს საქართველოში ჩინეთის შემდგომი კვლევის აქტუალიზაციის პროცესზე. ნაშრომის ფარგლებში წარმოჩენილი საკითხები დაეხმარება პრობლემით დაინტერესებულ მკვლევრებსა და სტუდენტებს გაეცნონ ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის, ჩინეთის

- საერთაშორისო ქცევისა და ჩინური მსოფლიო წესრიგის შესახებ არსებულ კვალიფიციურ სამეცნიერო ლიტერატურას.
- ❖ ნაშრომი ასევე დაეხმარება საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებს ჩინეთთან ურთიერთობების ოპტიმიზაციის საკითხების კვლევისას.
 - ❖ ნაშრომში წარმოდგენილი მასალები, დასკვნები, საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო კვლევის ინოვაციური მეთოდები, შესაძლებლობას იძლევა მომზადდეს სრული აკადემიური სასწავლო კურსი, ჩინეთის სახელმწიფო იდენტობისა და მისი საერთაშორისო პოზიციონირების თაობაზე (2022 წელს ამ საკითხს დაეთმო მოკლე სალექციო კურსი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „ლევან მიქელაძის სახელობის კვლევით და სასწავლო ინსტიტუტში“).

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

- ❖ აშშ-ს „ნოტრ-დამის“ უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების ასოცირებული პროფესორის, ვიქტორია ტინ-ბორ ჰუის მონოგრაფიაში - „ომი და სახელმწიფო ფორმირება ანტიკურ ჩინეთსა და ადრეული ხანის მოდერნისტულ ევროპაში“³ გამოვლენილია ჩინურ ადრეულ დინასტიებში სახელმწიფოებრივი ნიშნების არსებობის ისტორიული ფაქტები. ავტორის შეფასებით, ჩინურ ადრეულ დინასტიებსა და სამეფოებში გამოკვეთილად არსებობდა თანამედროვე ცენტრალიზებული მართვისა და სახელმწიფოებრივი ადმინისტრირების სისტემები, რაც სამეფოს, დინასტიისა და თანამედროვე სახელმწიფოს შორის სხვაობას მინიმუმამდე ამცირებს.

³ Hui, V. War and State Formation in Ancient China and Early Modern Europe. Cambridge University Press, 2010, <https://doi.org/10.1017/CBO9780511614545>

- ❖ სამეცნიერო სტატიაში - „რასის, კულტურისა და სახელმწიფოს ადგილი ჩინურ ნაციონალურ იდენტობაში: ხანი, ხუა თუ ჭუნგუო?“⁴ - წარმოდგენილია ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემები ჩინური იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი მახასიათებლების შესახებ. შესწავლილია ჩინური სახელმწიფო იდენტობის ფორმაციაზე ზეგავლენის მომხდენი ცნებები.
- ❖ ძველჩინურ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ ტრაქტატში - „შანგის ოლქის მმართველის წიგნი“⁵ (ძვ. წ. IV სს) - გადმოცემულია პირველი ჩინური იმპერიის სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელი, ძლიერი მმართველის მორალურ-ეთიკური მახასიათებლები და ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს თანამონაწილეობის პრინციპები. ტრაქტატის მიხედვით, ჩინური სახელმწიფო ადმინისტრირების მოდელი უნდა ეფუძნებოდეს ცენტრალიზმსა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს. აღსანიშნავია, რომ კონფუციანიზმთან ერთად, „შანგის ოლქის მმართველის წიგნმა“ ჩინეთის სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა.
- ❖ ოჰაიოს ეიკრონის უნივერსიტეტის ისტორიულ მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი, განგ ჯაო (Gang Zhao) მის სტატიაში - „ჩინეთის გადააზრება: იმპერიული ცინგის იდეოლოგია და თანამედროვე ჩინური ნაციონალური იდენტობის აღმასვლა მეოცე საუკუნის დასაწყისში“⁶ - აღწერს ჩინური სახელმწიფოს ფორმირების ისტორიული ეტაპებისა და ჩინური

⁴ Rae, J. D. & Xiaodan, W. Placing Race, Culture, and the State in Chinese National Identity: Han, Hua, Or Zhongguo? Asian Politics & Policy 8, no. 3, 2016. <https://doi.org/10.1111/aspp.12263>

⁵ Pines, Y. The Book of Lord Shang: Apologetics of State Power in Early China. New York: Columbia University Press, 2019.

⁶ Zhao, G. Reinventing China: Imperial Qing Ideology and the Rise of Modern Chinese National Identity in the Early Twentieth Century, Modern China, 32 (1), 2016.

სახელმწიფოებრივი იდენტობის შესახებ პირველადი წყაროების შესახებ დოკუმენტურ მასალას.

- ❖ ჟანგ ვეივეის (Zhang Weiwei) წიგნი - „ჩინეთის ტალღა: ცივილიზაციური სახელმწიფოს აღმასვლა“⁷ - მიჩნეულია ჩინეთის სახელმწიფოებრივი იდენტობის კვლევის ერთ-ერთ გამორჩეულ ნაშრომად. ავტორმა აკადემიურ სივრცეში ჩინური ერი-სახელმწიფოს მისეული ინტერპრეტაცია დაამკვიდრა ცივილიზაციური სახელმწიფოს თეორიის სახით. ვეივეის თანახმად, ჩინეთი ერი-სახელმწიფოს კატეგორიას სცდება, რადგან ის დღემდე ერთადერთ განგრძობით ცივილიზაციას წარმოადგენს. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩინეთი მის წარსულთან დღემდე უწყვეტ ბმაშია, შეუძლია საკუთარი პოლიტიკური და მორალურ-ეთიკური სტანდარტების წარმოება. ამ ლოგიკით, ჩინეთი ყველა საერთაშორისო სუბიექტისგან გამოირჩევა სახელმწიფო მოწყობისა და სოციო-პოლიტიკური მოდელით, შესაბამისად, ეს გარემოება გასათვალისწინებელია საერთაშორისო ურთიერთობებში, განსაკუთრებით ქვეყნებს შორის დიპლომატიური კორესპონდენციისას.
- ❖ წიგნი „როდესაც ჩინეთი იბატონებს მსოფლიოზე“⁸ - საინტერესოა იმ კუთხით, რომ დასავლელი მკვლევრის, მარტინ ჟაკის მიერ ჩატარებულია კვლევა ჩინეთის სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების თაობაზე. ავტორი იზიარებს პოზიციას ჩინეთის, როგორც ცივილიზაციური სახელმწიფოს არსებობის შესახებ, რასაც სხვადასხვა თეორიული მონაცემებით ამყარებს. ავტორი ასევე შეისწავლის კონფუციანიზმის ზეგავლენას ჩინურ სახელმწიფოებრივ იდენტობაზე.

⁷ Weiwei, Z. The China Wave: Rise of a Civilizational State. World Century Publishing Corporation, Hackensack, New Jersey, USA, 2012.

⁸ Jacques, M. When China rules the world: the end of the western world and the birth of a new global order, New York: Penguin Books, 2012

- ❖ აღმოსავლეთ აზიის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჩინეთის საგარეო პოლიტიკის მკვლევრის ფენგ ჟანგის სტატიაში - „კონფუციანისტური საგარეო პოლიტიკის ტრადიციები ჩინურ ისტორიაში“⁹ - კრიტიკულად განხილულია, რამდენად იყო და დღემდეა ჩინეთის საგარეო პოლიტიკა კონფუციანურ იდეებზე დაფუძნებული. ფ. ჟანგის სტატია განსაკუთრებით ღირებულია იმ ფონზე, როდესაც კონფუციანიზმისა და ჩინური საგარეო პოლიტიკის კორელაციაზე აკადემიური ნაშრომების რიცხვი თანამედროვე აკადემიაში არც თუ ისე მაღალია.
- ❖ საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი და ვაშინგტონის „ამერიკული უნივერსიტეტის“ აზიის სწავლების კვლევის საბჭოს თავმჯდომარე, ცუაშენგ ჟაოს სტატიაში - „კონფუციანიზმის გავლენა ჩინურ პოლიტიკასა და საგარეო კურსზე“¹⁰ - გაანალიზებულია კონფუციანიზმისა და თანამედროვე ჩინური საგარეო პოლიტიკის თავსებადობის საკითხი. ავტორის მტკიცებით, ჩინურ საგარეო პოლიტიკაში კონფუციანიზმი კვლავ აქტუალურია.
- ❖ როჯერ ამესის და ჰენრი როსერმონტის „კონფუციის ანალების ფილოსოფიური თარგმანი“¹¹ და ნი ფეიმინის „გააზრებები კონფუციის ანალებზე“¹² წარმოადგენენ ფილოსოფოსი კონფუციის მოღვაწეობის შესახებ რჩეული ტექსტების, იგივე - „ანალების“ ინგლისურენოვან თარგმანებს. აღსანიშნავია, რომ ორივე წიგნს თან ერთვის ჩინურ სიტყვათა და ტერმინთა

⁹ Zhang, F. Confucian Foreign Policy Traditions in Chinese History, The Chinese Journal of International Politics, 8 (2), 2015.

¹⁰ Quansheng, Z. The influence of Confucianism on Chinese politics and foreign policy, Asian Education and Development Studies, 2018.

¹¹ Roger, T. Ames and Henry Rosemont. The Analects of Confucius: A Philosophical Translation, trans., Jr, New York, Ballantine Books, 1998.

¹² Peimin, N. Understanding the Analects of Confucius: a new translation of Lunyu with annotations, Albany: State University of New York Press, 2017.

- განმარტებანი, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ძველჩინური კონცეფციების გაანალიზებას.
- ❖ ამერიკელი და ჩინელი მკვლევრების, ჯონ იკენბერისა, ვანგ ჯისისა (Wang Jisi) და ჟუ ფენგის (Zhu Feng) კომპილაციურ ნაშრომში - „აშშ, ჩინეთი, და მსოფლიო წესრიგისთვის ბრძოლა“¹³ - გადმოცემულია ექვსი ამერიკელი და ამდენივე ჩინელი მკვლევრის პოზიცია ჩინური ცივილიზაციის თავისებურებებისა და ჩინური რეგიონული წესრიგის შესახებ. ნაშრომში განხილულია ჩინურ იმპერიულ წესრიგზე გავლენის მქონე სკოლები - ტაოიზმი, კონფუციანიზმი და ლეგიზმი.
 - ❖ დენვერის უნივერსიტეტის ჯოზეფ კორბელის სახელობის საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის პროფესორის, სუშენ ჟაოს ნაშრომში - „ჩინური მსოფლიო წესრიგის გადააზრება: იმპერიული ციკლი და ჩინეთის აღმასვლა“¹⁴ - შესწავლილია სინოცენტრული მსოფლიო წესრიგის ისტორიული მახასიათებლები. ნაშრომში გაერთიანებულია სხვადასხვა მკვლევრის პოზიცია ჩინური საერთაშორისო წესრიგის ძირითადი ნიშან-თვისებების თაობაზე.
 - ❖ იასეკ კუგლერისა და აბრამო ფ. კენეტ ორგანსკის სტატიაში - „ძალის გადაცემა: რეტროსპექტივისა და პერსპექტივის შეფასება“¹⁵ გაანალიზებულია საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ჰეგემონი სახელმწიფოს უკუსვლა და ახალი ჰეგემონის ფორმირების ეტაპები. სტატია

¹³ Ikenberry, J & Wang, J. & Zhu, F. America, China, and the struggle for world order: ideas, traditions, historical legacies, and global visions, New York, NY: Palgrave Macmillan, 2015.

¹⁴ Zhao, S. Rethinking the Chinese World Order: the imperial cycle and the rise of China, Journal of Contemporary China, 24:96, 2015.

¹⁵ Kugler, J. & Organski, A. The power transition: A retrospective and prospective evaluation. Handbook of war studies 1, no. 9, 1989.

ეხმარება საერთაშორისო სისტემაში ჩინეთის აღმასვლის სტრუქტურულად შესწავლის საჭიროებას.

- ❖ ნაშრომში - „არც ისე მარტივია: კომპლექსურობის თეორია და ჩინეთის აღმასვლა“¹⁶ - განხილულია საერთაშორისო სისტემა „კომპლექსურობის თეორიის“ კრილში, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები წარმოადგენს მრავალ ურთიერთდამოკიდებულ ელემენტთა სრულ და თვითკმარ სისტემას. ამ თვალსაზრისით, ნაშრომში საერთაშორისო სისტემაში ჩინეთის პოზიციონირებისა და პროგნოზირების ინოვაციური გზებია გამოვლენილი.
- ❖ ანტონიო გრამშის „საპყრობილის ჩანაწერები“¹⁷ საინტერესოა იმ კუთხით, რომ მასში დიდი ყურადღება ეთმობა კულტურას, როგორც ძალაუფლების დამყარების ერთ-ერთ ფორმას. კულტურული მარქსიზმის განვითარების გარდა, ა. გრამშის კონცეფციებმა ასევე განავითარა დარგთაშორისი კვლევის მიმართულებები, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობებზე დაკვირვების მეთოდები. ა. გრამშის კონცეფციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული ჰეგემონიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ისტორიული ბლოკის ცნება, რადგან მათზე დაყრდნობით შესაძლებელია ჩინეთის აღმასვლის არაორდინალური და ამავდროულად, მეცნიერული ანალიზი.
- ❖ ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინდური წარმოშობის პროფესორი, ამიტავ აჩარიას (Amitav Acharya) ნაშრომებში - „გლობალური საერთაშორისო ურთიერთობები (სუ)

¹⁶ Garlick, J. Not So Simple: Complexity Theory and the Rise of China China Report, 2016.

¹⁷ Gramsci, Antonio. Selections from the Prison Notebooks of Antonio Gramsci. New York: International Publishers, 1971.

და რეგიონული სამყაროები¹⁸ და “ლიბერალური ჰეგემონიის შემდეგ: მულტიპლექსური მსოფლიო წესრიგის დაწყება¹⁹ - წამოჭრილია არსებული „დასავლურ-ცენტრული“ მსოფლიო წესრიგის დაძლევის გზები. ა. აჩარიას აზრით, საერთაშორისო ურთიერთობები ახალ მოდელზე გადასვლას საჭიროებს, რომელიც არა ერთი „სამყაროს“ ინტერესების გატარებაზე იქნება მიმართული, არამედ პლურალისტური უნივერსალიზმის პრინციპს დაეფუძნება.

- ❖ სოციოლოგიური მეცნიერებების პროფესორის სალვატორე ბაბონეს სტატიაში - „ჩინეთის სერიოზულად მიღება: რელატიურობა, ტიანქსია და საერთაშორისო ურთიერთობების ჩინური სკოლა“²⁰. გაანალიზებულია საერთაშორისო ურთიერთობების „ჩინური სკოლის“ განვითარების ეტაპები და პერსპექტივები. ნაშრომში გამორჩეულად დიდი ინფორმაციაა შეჯამებული ჩინური ანტიკური ფილოსოფიის მკვლევართა შრომების შესახებ, რაც დისერტაციის საკვლევი თემატიკის თაობაზე განსხვავებული პოზიციების შეჯერების საფუძველს იძლევა.
- ❖ იოსეფ ლაპიდის 1989 წლის სტატიის - „მესამე დებატი: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის პერსპექტივები პოსტპოზიტივიზმის ეპოქაში“²¹ - გამოქვეყნების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინაში ერთმნიშვნელოვნად გააქტიურდა რეალიზმის, ლიბერალიზმისა და სტრუქტურალიზმის მიმართ კრიტიკული განწყობები. ი. ლაპიდის სტატიამ დასავლეთში მეცნიერული დისკურსი წამოიწყო საერთაშორისო

¹⁸ Acharya, A. Global International Relations (IR) and Regional Worlds: A New Agenda for International Studies,” *International Studies Quarterly* 58, no. 4, 2014.

¹⁹ Acharya, Amitav. After Liberal Hegemony: The Advent of a Multiplex World Order.” *Ethics & International Affairs* 31, no. 3, 2017.

²⁰ Babones, S. Taking China Seriously: Relationality, Tianxia, and the ‘Chinese School’ of International Relations,” *Oxford Research Encyclopedia of Politics*, 2017.

²¹ Lapid, Y. The Third Debate: On the Prospects of International Theory in a Post-Positivist Era, *International Studies Quarterly* 33, no. 3, 1989.

ურთიერთობების ისეთი ენდემური თეორიების განვითარების საჭიროების თაობაზე, რომლებიც ღია კონკურენციას გაუწევდნენ საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტურ სკოლებს.

- ❖ ჩინელი პროფესორის, ცინ იაცინის სტატიაში - „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარება ჩინეთში“²² - რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით გადმოცემულია ჩინეთში საერთაშორისო ურთიერთობების დარგის შესწავლის სამი განსხვავებული სტადია. ავტორის გამოკვლევებით დადგინდა, რომ ჩინეთში 1978-1990 წლებში საერთაშორისო ურთიერთობები მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმ-მაოიზმის თეორიული პერსპექტივის ჭრილში განიხილებოდა. 1991-2000 წლების პერიოდში ჩინეთში დაიწყო დასავლური საერთაშორისო ურთიერთობების სკოლების „შემოდინება“. 2007-2022 წლებში კი ჩინეთში დასავლური თეორიებისგან დაშორების ტენდენცია შეინიშნა.
- ❖ „ანტიკური ჩინური აზროვნება, თანამედროვე ჩინური ძალა.“²³ მოცემულ წიგნში განხილულია, თუ რა ინტელექტუალურ რესურსს ფლობს ამჟამინდელი ჩინეთი, რათა განავითაროს ჩინური საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. წიგნში გადმოცემულია „ცინხუას სკოლის“ ინოვაციური მეთოდები, რომელიც გულისხმობს ანტიკური ჩინეთის ფილოსოფიური ტექსტების გადააზრებას, ჩინური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის შექმნის მიზნით.
- ❖ წიგნში - „ცისქვეშეთი: ტიანქსიას სისტემა შესაძლო მსოფლიო წესრიგისთვის“²⁴ - წარმოდგენილია მსოფლიო წესრიგის ალტერნატიული

²² Yaqing, Q. Development of International Relations Theory in China, International Studies, Delhi, v.46, No.2, 2009.

²³ Xuetong, Y. Ancient Chinese thought, modern Chinese power, Princeton University Press, 2013.

²⁴ Zhao, T. All Under Heaven: The Tianxia System for a Possible World Order. Vol. 3. University of California Press, 2021.

მოდელი ანტიკური ჩინური „ცისქვეშეთის“ კონცეფციაზე დაყრდნობით. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, წიგნში წამოჭრილი იდეების მიმართ განსაკუთრებით დიდ დაინტერესებას ხედავენ ჩინეთის მმართველი კომუნისტური პარტიის მხრიდან.

- ❖ ელ ეიჩ ემ ლინგის მონოგრაფიაში - „მსოფლიო პოლიტიკის ტაო (გზა)“²⁵ - საუბარია ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ალტერნატიული მოდელის ინიცირების პროექტზე, ე.წ. ვორლდიზმზე. ავტორის აზრით, არსებული საერთაშორისო წესრიგი მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს (იგულისხმება დასავლური ქვეყნები) მსოფლმხედველობრივ პრინციპებს ემსახურება, სადაც იგნორირებულია სხვა ქვეყნების განვითარების სპეციფიკურობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პოსტვესტფალიურ წესრიგში გათვალისწინებულ იქნას არადასავლური ქვეყნების ინტერესები.
- ❖ ქართველი მეცნიერის ემზარ ხვიჩიას მონოგრაფიაში - „ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა, საზოგადოების თვითორგანიზაციისა და ცვლის კანონები“²⁶ - წარმოდგენილია ანთროპოლოგიის, ფილოსოფიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის უახლესი შედეგები. ნოოლოგია დ. უზნაძის „განწყობის თეორიის“ უფრო კომპლექსური და მულტიდისციპლინური გაგრძელებაა. აღსანიშნავია, რომ ნოოლოგიის ფარგლებში შემოთავაზებულია ერთა კლასიფიკაციის ინოვაციური სისტემები მათი ძირითადი ფსიქიკური პარამეტრების მიხედვით, რაც მას აქცევს საერთაშორისო ურთიერთობების პირველ ქართულ კრიტიკულ თეორიად.

²⁵ Ling, L.H.M. The Dao of World Politics: Towards a Post-Westphalian, Worldist International Relations, (1st ed.), Routledge, 2013.

²⁶ ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 2020.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

წარმოდგენილი დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავის (160 გვერდი), დასკვნისა (7 გვერდი) და ბიბლიოგრაფიისაგან (12 გვერდი).

თავი I. ჩინელი ერის გაგება და მათი ხედვა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი

1.1 ჩინური სახელმწიფოებრიობის თეორიულ-მეთოდოლოგიური და ისტორიული მახასიათებლები

პირველჩინური სახელმწიფო იდენტობის ნიშნების შესახებ მოიპოვება მრავალი მითოლოგიური, თუმცა ცოტა ისტორიოგრაფიული ცნობა. მიზეზი საკითხის სიძველეშია, რადგან ადრეული ჩინური სახელმწიფოს ფორმირების პროცესი თარიღდება ძვ.წ. XX საუკუნის პერიოდთან, რომლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება სხვადასხვა სახის სირთულესთანაა დაკავშირებული.

ჩინელების უძველესი სახელმწიფოებრივი იდენტობის არსებობაზე მიუთითებს სიტყვა - „ხუასია“ (华夏-Huaxia), რომელიც ეწოდებოდათ ჩინური ცივილიზაციის აკვანში - ყვითელი მდინარის (ხუანხე) გარშემო მოზინადრე პროტოჩინურ ტომებს. „ხუასია“-ს სახელთან დაკავშირებულია პირველი ჩინური მითოლოგიზებული დინასტიის - „სია“-ს (ძვ.წ. XX-XVI სს.) ჩამოყალიბება, რის შემდგომ შეიქმნა უკვე ისტორიულად დადასტურებული სახელმწიფოებრივი ნიშნების მქონე დინასტიები - „შანგი“ (ძვ.წ. XV-XX სს.) და „ჭოუ“ (ძვ.წ. X-II სს.).²⁷

მეცნიერ-მკვლევრების გარკვეული ნაწილისთვის, ჩინური თანამედროვე სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები ჩინური ადრეული დინასტიებისა და სამეფოების პერიოდიდან იღებენ სათავეს (ძვ.წ. 221 წლამდე). მეტიც, უკანასკნელ პერიოდში პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში სულ უფრო ძლიერდება პოზიციები, რომ ადრეულ

²⁷ Chronology of Chinese Dynasties. ბოლო ნახვა 11.09.2022 china.lu

ჩინურ სამეფოთა ურთიერთობათა სისტემა თანამედროვე ანარქიული საერთაშორისო წესრიგის ანალოგიას წამოადგენდა.²⁸

ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა შინაარსობრივად ასახულია სიტყვაში - „ჩინეთი“ (ჭუნგუო - 中国 - Zhōngguó). სხვადასხვა ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით, „ჭუნგუო“-ს წარმოშობა ძვ.წ. X საუკუნეს მოიცავს, თუმცა „ხუასია“-სგან განსხვავებით, ის არ მიუთითებდა კონკრეტულ ეთნიკურობასა თუ გეოგრაფიაზე, რადგან ეტიმოლოგიურად „ჭუნგუო“ მიუთითებს ცენტრალურ სახელმწიფოსა ან სახელმწიფოებზე, თუმცა ჩინელებისთვის სიტყვა კონცეპტუალურად შუა სამეფოს მნიშვნელობას ატარებდა.²⁹

ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის რაობის კვლევისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩინეთის განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში „ჭუნგუო“ ყოველთვის უფრო მეტზე მიუთითებდა, ვიდრე ერთი დომინანტური ეთნიკური ჯგუფის გარშემო აღმოცენებული სახელმწიფო. „ჭუნგუო“ სიტყვასთან ერთად კონცეფციაცაა, რომელიც გამოხატავს სამყაროს მეტაფიზიკურ ცენტრს.

აღსანიშნავია, რომ ჩინურ სახელმწიფოებრივ იდენტობაზე ძლიერი გავლენა მოახდინა ანტიკურმა ჩინურმა პოლიტიკურმა ფილოსოფიამ, კერძოდ, ორმა ძლევამოსილმა სკოლამ - ლეგიზმმა და კონფუციანიზმმა, რომელთა შემდგომი ანალიზი ჩინეთის სახელმწიფოებრივი იდენტობის კვლევის თვალსაზრისით, აუცილებელია.

²⁸ Hui, V. War and State Formation in Ancient China and Early Modern Europe. Cambridge University Press, 2010, <https://doi.org/10.1017/CBO9780511614545>

²⁹ Zhao G. „Reinventing China: Imperial Qing Ideology and the Rise of Modern Chinese National Identity in the Early Twentieth Century, Modern China, 32 (1):6, 2016. <http://www.jstor.org/stable/20062627>

გაერთიანებული ჩინეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ მოდელს პირველად საფუძველი ჩაეყარა ძვ. წ. 221 წელს, როდესაც დაარსდა პირველი ჩინური იმპერიული დინასტია - ცინი (ძვ. წ. 221-207 წწ).

პირველი ჩინური იმპერიის ჩამოყალიბების წინაპირობები შეიქმნა ძვ.წ V-III სს-ში, ცნობილი, როგორც „მეომარ სამეფოთა“ ან „შვიდი ძლევამოსილი სამეფოს“ პერიოდად. ამ დროს თანამედროვე ჩინეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილი იყო შვიდი დამოუკიდებელი სახელმწიფო/სამეფო: ცინი, ჩუ, ცი, ხანი, ჟაო, ვეი და იანი.³⁰ მრავალი მეცნიერის აზრით, დროის აღნიშნულმა მონაკვეთმა ჩინეთის ისტორიაში გარდამტეხი როლი შეასრულა, რადგან ჩინური სამეფოები, ერთმანეთისგან მომდინარე მუდმივი საფრთხის პირობებში, იძულებულნი იყვნენ მაღალ დონეზე ეწარმოებინათ პოლიტიკა, დიპლომატია და საომარი ქმედებები.

დამოუკიდებელი ჩინური სამეფოები სამხედრო-პოლიტიკური გზით ცინის სამეფომ დაიმორჩილა, რის შემდგომ ჩინური იმპერიის ერა დაიწყო.

ცინის იმპერიის პირობებში კოლოსალური ნაბიჯები გადაიდგა ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირებაში: განვითარდა სახელმწიფო მმართველობის ხელოვნება, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მოწყობა, ტექნოლოგიები, მოხელეთა შერჩევის მოდელი და სხვ. არაერთი მეცნიერის შეხედულებით, ცინის იმპერიის დროს შექმნილი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი მოწყობის სტრუქტურა არსებობას დღემდე განაგრძობს.

ჩინურ საზოგადოებებში კონფუციანიზმის ძლიერი გავლენის მიუხედავად, პირველი იმპერიის პოლიტიკურ-ფილოსოფიურ

³⁰ Переломов, Л. С., trans. Ян Шан: Книга правителя области Шан Librarium, Рипол-Классик. 37. 2017.

სახელმძღვანელოს წარმოადგენდა „ლეგიზმი“ - ე.წ. კანონის დამცველთა სკოლა, რომლის პირობებში კონფუციანიზმი სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგობრივ მსოფლმხედველობად გადაიქცა.

ლეგიზმის ფილოსოფია მმართველობის ძლიერ და დესპოტურ ფორმას ემხრობოდა. მის მიხედვით, კანონის უზენაესობა სახელმწიფოს ფუნქციონირების ქვაკუთხედს წარმოადგენდა, რომლის დაცვა და აღსრულება დასაშვები იყო სასტიკი სადამსჯელო მექანიზმებითაც კი. კონფუციანიზმისგან განსხვავებით, ლეგისტები ადამიანის თანშობილ თვისებებზე დაბალი წარმოდგენის იყვნენ და ფიქრობდნენ, რომ ადამიანის ბუნება მკაცრი საკანონმდებლო მექანიზმებით დათრგუნვას საჭიროებდა.

ლეგიზმმა ასევე დიდი გავლენა იქონია ჩინურ საზოგადოებაში გამძაფრებული კოლექტიური პასუხისმგებლობების ჩამოყალიბებაზე, რადგან მან შემოიტანა კოლექტიური დასჯის მოდელი, რაც გულისხმობდა შემდეგს: „ერთი ადამიანის დანაშაული ვრცელდება მთელ ოჯახსა თუ თემზე.“³¹

ლეგიზმის ფუძემდებლური შინაარსობრივი და კონცეპტუალური ასპექტები გადმოცემულია პოლიტიკურ-ფილოსოფიურ ტრაქტატში - „შანგის ოლქის მმართველის წიგნი“ (ძვ. წ. IV სს). ამ ნაშრომის ავტორია გუნ სუნ იანი (ძვ.390-338 წ.), ფსევდონიმით - შან იანი.

ცინის იმპერიაში შან იანის წიგნი ყველაზე გავრცელებული და კითხვადი იყო, ხოლო წიგნში გადმოცემული კონცეფციების პრაქტიკაში განხორციელებაზე პასუხისმგებლობა საიმპერატორო კარმა აიღო.

³¹ გარიშვილი, მ. „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, ლექციების კურსი, 26-27, 2010.

შან იანის ცოდნის გამოყენებით, ახლად დაბადებულ იმპერიაში წარმატებით შეიქმნა ძლიერი ცენტრალიზებული მართვის ხელოვნების პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელი.

ცინის იმპერიაში ცენტრალიზმის პრინციპის წარმატება ასევე დაკავშირებული იყო იმასთან, რომ უძველესი პერიოდიდან ჩინური საზოგადოებრივი ორგანიზაციის გავრცელებულ ფორმას პატრონიმია წარმოადგენდა. პატრონიმია საოჯახო-გვაროვნული ურთიერთობებით დაკავშირებული ასეული ან ათასობით ადამიანის თანაარსებობის სივრცე იყო. როგორც წესი, ჩინური პატრონიმია ორ ასაკობრივ ჯგუფად იყოფოდა: „მამები-უფროსი ძმები“ და „შვილები-უმცროსი ძმები“. პატრონიმიის პირველ ჯგუფს - „მამები-უფროსი ძმები“ ემორჩილებოდა მეორე - „შვილები-უმცროსი ძმების“ ჯგუფი, რაც ჩინური სახელმწიფოებრივი პატერნალიზმისა და სოციალური იერარქიის ტრადიციის ერთ-ერთ საფუძვლადაც შეიძლება მივიჩნიოთ.³²

ბუნებრივია, ლეგიზმი ასევე დიდ როლს ითამაშებდა ჩინური ცენტრალიზებული ეკონომიკის განვითარებაზე. ლეგისტი შან იანი ფიქრობდა, რომ ძლიერი სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია - ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობა. ამრიგად, ლეგიზმი ემხრობოდა სახელმწიფოს მონოპოლიას ისეთ სტრატეგიულ და მნიშვნელოვან სფეროებში, როგორებიცაა მარილისა და რკინის წარმოება.³³ ამასთან, შან იანი, სახელმწიფოს ძლიერების უმთავრესს კომპონენტებად ასევე სამხედრო ძლიერებასა და განვითარებულ სოფლის მეურნეობას მოიაზრებდა. ის ამბობდა:

³² Переломов, Л. С, trans. Ян Шан: Книга правителя области Шан Librarium, Рипол-Классик. 39. 2017.

³³ იქვე, 81.

*„სახელმწიფოს შეუძლია მოიპოვოს სტაბილურობა [წარმატებული] მიწათმოქმედებითა და ომის მეშვეობით, მმართველს ასევე დააფასებენ [წარმატებული] მიწათმოქმედებისა და ომის გატარებით“.*³⁴

რადგან შან იანი სახელმწიფო ადმინისტრირების ხისტ მეთოდებს ემხრობოდა, ის სახელმწიფო ადმინისტრირებაში მორალიზმსა და ჰუმანიზმს ეწინააღმდეგებოდა, რაც მეტად კონფუციანურ ფილოსოფიაში ფასდებოდა. შან იანი ფიქრობდა, რომ კონფუციანური მსოფლმხედველობის „ჰუმანური მმართველი“ სახელმწიფოში სოციალური წესრიგის უზრუნველყოფას ვერ შეძლებდა.

აღსანიშნავია, რომ ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის სახასიათო ერთ-ერთი ნიშან-თვისება სწორედ შან იანის მოხელეთა შერჩევის მოდელმა ჩამოაყალიბა. მის პოლიტიკურ ტრაქტატში საუბარია იმაზე, თუ რამდენად ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ჩინეთისთვის არისტოკრატია. საქმე იმაშია, რომ ჩინეთში გარკვეული პერიოდი სწორედ არისტოკრატის წარმომადგენლები იკავებდნენ მაღალ პოლიტიკურ და საჯარო თანამდებობებს. აღნიშნული ტრადიცია არისტოკრატებს დიდ გასაქანს აძლევდა, რათა ინდივიდზე მორგებული პოლიტიკური საქმიანობა განეხორციელებინათ. შესაბამისად, სერიოზული დარტყმის ქვეშ ექცეოდა იმპერატორის, როგორც საზოგადოებრივ წესრიგზე ზედამხედველის როლი.

შან იანის მოდელის მიხედვით, პოლიტიკურ და საჯარო თანამდებობებზე დანიშვნისა და რანგირების მინიჭების ეგალიტარული სისტემა შეიქმნა. ამ მოდელის მიზანი პოლიტიკური და საჯარო მოხელეების იმგვარი აპარატის ფორმირება იყო, რომელიც მხოლოდ იმპერატორის

³⁴ Переломов, Л. С., trans. Ян Шан: Книга правителя области Шан Librarium, Рипол-Классик. 72. 2017.,

დაქვემდებარების ქვეშ შეძლებდა ფუნქციონირებას.³⁵ ცინის იმპერიის პირობებში, შან იანის მოდელმა ახალი პოლიტიკური კულტურა ჩამოაყალიბა, რაც გულისხმობდა მოხელეთა შერჩევას საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგებზე დაყრდნობით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ ლეგიზმის ფარგლებში აღმოცენებული ცოდნით ჩინელებისთვის შესაძლებელი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე საკითხის - ძველი ადათებისა და ტრადიციების გადასინჯვის დამშვებლობა. ამ საკითხზე ლეგისტები ფიქრობდნენ, რომ ძლიერ მმართველს უნდა შეეძლოს ცვალებადი გარემო-ფაქტორების გათვალისწინებით სახელმწიფოს პრიორიტეტების მყისიერი გარდაქმნა და შესაბამისად, საჭიროებისამებრ, ადათებისა და ტრადიციების შეცვლა.³⁶

მეცნიერების გარკვეული ჯგუფისთვის ჩინეთის სახელმწიფოებრივი იდენტობა ყველაზე მეტად გამყარდა არა ცინის პირველი იმპერიის, არამედ მანჯურიელთა ცინგის უკანასკნელი (ახ.წ. 1644-1911 წწ.) დინასტიის პირობებში. უკანასკნელი ცინგის იმპერიის გეოგრაფიულ-ეთნიკურმა და სოციო-პოლიტიკურმა მემკვიდრეობამ და გატარებულმა შიდა პოლიტიკამ, დიდი გავლენა მოახდინა ჩინეთის, როგორც ასიმილირებული მულტიეთნიკური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე.³⁷

როგორც აღინიშნა, სიტყვა „ჭუნგუო“ (ჩინეთი) ცენტრალურ სამეფოს ნიშნავდა, მაგრამ რომელიმე კონკრეტულ ეთნოსთან თუ გეოგრაფიულ

³⁵ Переломов, Л. С, trans. Ян Шан: Книга правителя области Шан Librarium, Рипол-Классик. 75-77, 89. 2017.

³⁶ გარიშვილი, მ. შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, ლექციების კურსი, 26-27, 2019.

³⁷ Zhao, G. "Reinventing China: Imperial Qing Ideology and the Rise of Modern Chinese National Identity in the Early Twentieth Century," *Modern China*, 32 (1): 3-30. 2006. <http://www.jstor.org/stable/20062627>.

ადგილმდებარეობასთან არ იყო დაკავშირებული. „ჭუნგუო“, როგორც გაგება, მრავალი საუკუნის განმავლობაში მეტაფიზიკურ კატეგორიას წარმოადგენდა (დიდწილად დღესაც ასეა), რომელიც ისტორიული მეხსიერებით თანამედროვე ჩინეთის ტერიტორიაზე არსებულ 56 ეთნიკურ ჯგუფს ერთმანეთთან აკავშირებდა. ამას ადასტურებდა ჩინეთის ისტორიის მრავალი ეპიზოდი, როდესაც ცენტრალიზებული მართვის სადავეები ხელში არადომინანტურ ეთნოსების წარმომადგენლებს ეჭირათ: კიდანები - ლიანოს დინასტია (907–1125 წწ.); ჯურჯენები - ძინის დინასტია (1115–1234 წწ.); ტანგუტები - სი-სიას დინასტია (982–1227 წწ.); მონღოლები - იუენტა დინასტია (1206–1368 წწ.); მანჯურიელთა ცინგის დინასტია (1644-1911 წწ.).³⁸

ცინგის დინასტიის პირობებში, სიტყვა „ჭუნგუო“ თავისთავში უკვე ჩინურ იმპერიას მოიაზრებდა. ცინგის საიმპერატორო კარზე არსებობდა მრწამსი, რომ „ჭუნგუოს“ იმპერიასთან გაიგივება, ერთი მხრივ, არ იყო წინააღმდეგობრივი მანჯურიელი ხალხის იდენტობის შენარჩუნებასთან, ხოლო მეორე მხრივ, ეს ნაბიჯი გამოიწვევდა ჩინეთში ყველაზე გავრცელებული ეთნიკური ჯგუფის - ხანების მიერ მათ მხარდაჭერას. ამ პოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარე, ცინგის დინასტია მისი მმართველობის ადრეული პერიოდიდან აქტიურად იყენებდა სიტყვა „ჭუნგუოს“ საერთაშორისო ურთიერთობებში, კერძოდ, სხვა სახელმწიფო/სამეფოებთან დიპლომატიურ კორესპონდენციაში.

საერთაშორისო ურთიერთობებში ცინგის იმპერიის „ჭუნგუო“-დ დაფიქსირების ერთ-ერთ ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენდა ცინგის სასამართლოს 1656 წლის განკარგულება მონღოლეთთან ტერიტორიულ დავასთან დაკავშირებით. დოკუმენტში ცინგი წარმოდგენილია სწორედ

³⁸ Biran, M. Periods of Non-Han Rule.” In A Companion to Chinese History.” edited by Michael Szonyim, Hoboken, NJ: Wiley Blackwell, 129-130. 2017.

„ჭუნგუო“-დ.³⁹ ამავეს ადასტურებს ცინგის იმპერიასა და რუსეთის სამეფოს შორის 1689 წლის „ნერჩინსკის სამშვიდობო შეთანხმება“. შეთანხმებაში საერთაშორისო სუბიექტი - ცინგი დაფიქსირებულია - „ჭუნგუო“-დ.⁴⁰

მანჯურიელთა ცინგის დინასტიამ კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა ჩინეთი ეფექტური ცენტრალიზებული მმართველობის სივრცედ, რომელიც მრავალ ეთნიკურ ჯგუფს ერთ სტრუქტურაში აერთიანებდა. ამ პასაჟის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს 1907 წლის მანჯურიელი და ხანელი ხალხის საერთო მემორიალიდან შემდეგი ამონარიდი:

„მანჯურიელები, მონღოლები და ხანები წარმოადგენენ ერთი ხის სხვადასხვა ტოტს; მათ ერთი წინაპარი ჰყავთ და მომავალში ერთადვე ჰპოვებენ განვითარებას.“⁴¹

ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის თემაზე საინტერესო ნარკვევებს გვთავაზობს ირლანდიის „მეინუთის უნივერსიტეტის“ თანამედროვე ენების, ლიტერატურისა და კულტურის სკოლის ასოცირებული პროფესორი, ჟოუმიანგ ლუ. 2020 წელს ჟ. ლუს ავტორობით გამოიცა წიგნი - „ჩინური ნაციონალური იდენტობა გლობალიზაციის ეპოქაში“, რომელიც მოიცავს ჩინური სახელმწიფო იდენტობის შესახებ კომპილაციურ შრომებს.

წიგნის მიხედვით, ჩინეთის კვლევა მსოფლიო მეცნიერებაში დამკვიდრებული სიტყვის - ნაციონალიზმის ფარგლებში, ერთობ პრობლემურია, რადგან ტერმინები - ერი-სახელმწიფო, ნაციონალური

³⁹ Zhao G. Reinventing China: Imperial Qing Ideology and the Rise of Modern Chinese National Identity in the Early Twentieth Century,” Modern China, 32 (1): 7-15, 2006.

⁴⁰ НЕРЧИНСКИЙ ДОГОВОР 28 АВГУСТА 1689 ГОДА.” www.vostlit.info. ბოლო ნახვა 06.06.2022 https://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/China/XVII/1680-1700/Russ_kit_otn_17_v_II/prill.htm.

⁴¹ Zhao, G. Reinventing China: Imperial Qing Ideology and the Rise of Modern Chinese National Identity in the Early Twentieth Century,” Modern China, 32 (1): 18-29, 2006.

იდენტობა და ნაციონალიზმი - დასავლური მსოფლმხედველობის პროდუქტებია, რომლებიც XVIII – XIX სს-ში გაჩნდა.

ტერმინის - ნაციონალიზმი - იმპორტი ჩინეთში სწორედ დასავლეთიდან მომხდარა, რამაც გაართულა ჩინური სპეციფიკის ნაციონალიზმის დეფინირების საქმე. ჩინური ნაციონალიზმისა და სახელმწიფოებრივი იდენტობის ძიების მოტივით, ჯ. ლუს წიგნში წარმოდგენილია ცნობილი ჩინელი ფილოსოფოსის ლინ იუტანის (Lin Yutang) (1895 – 1976 წწ.) მოსაზრება, რომელსაც მიაჩნდა, რომ ჩინური ნაციონალიზმი და ჩინური სახელმწიფო იდენტობა დაკავშირებული იყო უძველეს ფილოსოფიურ კონცეფციასთან - „ტიანქსია“ (ჩინ. 天下;), ხოლო თავად სიტყვა „ჭუნგუო“ (ჩინეთი) ფილოსოფოსისთვის ერი-სახელმწიფოს გაგებაზე მაღლა იდგა.⁴²

ანტიკური ჩინური ფილოსოფიური კატეგორია - „ტიანქსია“ სიტყვასიტყვით აღნიშნავდა ყველაფერს, რაც ცის ქვეშაა მოქცეული. სიტყვის წარმომავლობის ზუსტი თარიღები დღემდე უცნობია, რადგან „ტიანქსია“ სხვადასხვა დინასტიის მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვან კონცეპტუალურ და სტრუქტურულ ცვლილებას გადიოდა. ერთ-ერთი ვერსიით, „ტიანქსია“ „გაზაფხულ-შემოდგომის პერიოდში“ (ჩინ. 春秋时. ძვ. წ. 771 – 403 წწ.) ჩაისახა.⁴³ აღსანიშნავია, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩინელი ფილოსოფოსები „ტიანქსიას“ ერთგვარი ტრანსცენდენტალური წესრიგის აღმნიშვნელად გამოიყენებდნენ.

„ტიანქსიას“ კატეგორია ცნობილი ჩინელი მეცნიერ-მკვლევრების ჯგუფის - „ცინხუას სკოლის“ პროექტში ფართოდ შესწავლილია. ამ სკოლის

⁴² Zhouxiang, L. Introduction: Constructing and Negotiating Chineseness in the Age of Globalisation” in Zhouxiang, L. Chinese National Identity in the Age of Globalisation,” Singapore, Palgrave Macmillan, 1-2, 2020.

⁴³ Wang, B. Chinese Visions of World Order: Tianxia, Culture, and World Politics,” Durham: Duke University Press, 26-27, 2017. muse.jhu.edu/book/68589.

ფარგლებში დადგინდა, რომ პრე-ცინის პერიოდში (ჩვ.წ. 220 წლამდე) „ტიანქსია“ კონცეპტუალური და გეოგრაფიული თვალსაზრისით არამხოლოდ ჩინეთს, არამედ მთელს სამყაროს გულისხმობდა, რადგან ანტიკურობის ჩინელი ფილოსოფოსები დედამიწის ფორმისა და ფართობის შესახებ შესაბამის მეცნიერულ ცოდნას არ ფლობდნენ და მათ ვერ წარმოედგინათ, რომ არსებობდნენ სხვა, შორეულ ტერიტორიებზე მცხოვრები, მათსავით განვითარებული ხალხები. „ცინხუას სკოლის“ დეფინიციით, „ტიანქსია“ ფიზიკური ტერიტორიების ერთობლიობასა და სოციალურ განზომილებას წარმოადგენდა, იგივე სოცსფეროს, რომელიც თავისთავში ადამიანთა შორის ინტერაქციას გულისხმობდა.⁴⁴

აღსანიშნავია, რომ „ტიანქსია“ თანამედროვე ჩინეთში კვლავ რელევანტურია და აისახება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მმართველი კომუნისტური პარტიის ქმედებებში. უკანასკნელ წლებში პარტიის ერთ-ერთი მიზანია სწორედ ჩინური მახასიათებლების მქონე და ამავედროულად, თანამედროვე გამოწვევებთან თავსებადი, საგარეო პოლიტიკის უზრუნველყოფა. „ტიანქსიას“ რელევანტობაზე ასევე მიუთითებდა პრეზიდენტ ჰუ ძინტაოს (2003-2013 წწ.) მიერ უძველესი ჩინური მსოფლმხედველობის რეაქტუალიზაციის მიმართ გამმაფრებული ინტერესი. მეტიც, მეცნიერ-მკვლევრების გარკვეული ჯგუფის აზრით, თანამედროვე ჩინური „ჰარმონიული სამყაროს“ კონცეფცია სწორედ „ტიანქსიას“ ფილოსოფიურ კატეგორიასთანაა დაკავშირებული.⁴⁵

„ტიანქსიას“ ეტიმოლოგია იძლევა საფუძველს, რომ მის ქართულ შესატყვისად გამოვიყენოთ სიტყვა - „ცისქვეშეთი.“

⁴⁴ Xuetong, Y. Ancient Chinese thought, modern Chinese power,” Princeton University Press. 42-43. 2013.

⁴⁵ Harmonious World: China’s Ancient Philosophy for New International Order,” 2022 <https://www.mfa.gov.cn/ce/cena/eng/xwtdt/t410254.htm>. ბოლო ნახვა 27.07.2022.

სინოლოგების აზრით, ჩინური „ცისქვეშეთი“ წარმოადგენდა ცივილიზებული საზოგადოების კონცეფციას და მოიცავდა იმ არამატერიალურ ასპექტებს, როგორიცაა კულტურა, მორალი და ღირებულებები.⁴⁶

ტერმინი - „ცისქვეშეთი“ ჩინური სამეფოების ჩამოყალიბებამდეც აქტიურად გამოიყენებოდა. ჩინელმა მკვლევრებმა ჯუნფინგ ლიუმ და დეიუან ხუანგმა დაასკვნეს, რომ ძველჩინურ საზოგადოებებში (ავტორები გულისხმობენ დიდი ქალაქებისა და სამეფოების ჩამოყალიბებამდე არსებულ ადამიანთა მსხვილ ან უფრო ადრეული პერიოდის დასახლებებს) „ცისქვეშეთი“ მეტაფიზიკურ წესრიგთან ასოცირდებოდა და ეთიკისა და მორალის კატეგორიებს მოიცავდა. ძველჩინური მასალების ანალიზისას, ავტორები გავიდნენ „ცისქვეშეთის“ შემდეგ ფორმულირებაზე:

„ცისქვეშეთში“ მმართველებად ინიშნებოდნენ მხოლოდ ღირსეულნი და ჰკვიანნი (პირები, რომლებიც ფლობდნენ სამოთხის მანდატს - ჩინ. 天命 - t'ien ming); [ცისქვეშეთში] საზოგადოება გულწრფელი და მეგობრული იყო - სოფლები ერთმანეთთან მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ.“⁴⁷

ჯ. ლიუსა და დ. ხუანგის კვლევის მიხედვით, „ცისქვეშეთის“ კონცეფცია ჩინეთის ისტორიაში სამჯერ უნდა შეცვლილიყო. ადრეულ ჩინურ დინასტიებში - სია, შანგი და ჭოუ - „ცისქვეშეთი“ მეტაფიზიკურ კატეგორიასთან ერთად ქალაქ-სახელმწიფოსთანაც იყო გაიგივებული. შემდგომ პერიოდებში, კერძოდ, „შემოდგომა-გაზაფხულისა“ და „მეომარ სამეფოთა“ დროს, „ცისქვეშეთი“

⁴⁶ Levenson, R. J. Confucian China and Its Modern Fate: the problem of intellectual continuity,” London, Routledge, 1958. In Liu Junping. The Evolution of Tianxia Cosmology and Its Philosophical Implications” Frontiers of Philosophy in China, 1 (4): 519, 2006. <https://doi.org/10.1007/s11466-006-0023-6>.


⁴⁷ Liu, J. The Evolution of Tianxia Cosmology and Its Philosophical Implications,” Frontiers of Philosophy in China, 1 (4): 520-521. 2006.

ფედერალური სამეფოს შინაარსით დაიტვირთა, ხოლო ცინის და ხანის იმპერიების (ძვ. წ. 206 წ. - ახ. წ. 220 წ.) პერიოდში, „ცისქვეშეთი“ პოლიტიკური ასპექტებით გამდიდრდა. სუნისა (960-1279 წწ.) და მინის დინასტიების (1368-1644 წწ.) მმართველობისას, „ცისქვეშეთი“ უკვე სოციალურ-ეთიკურ წესრიგს განასახიერებდა.⁴⁸

მიუხედავად იმისა, რომ „შემოდგომა-გაზაფხულისა“ და „მეომარ სამეფოთა“ დროს „ცისქვეშეთი“ ფედერალური სამეფოს კონოტაციით გამოიყენებოდა, მისი დეფინიცია მაინც არაერთგვაროვანი იყო. ამის მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ხსენებულ პერიოდებში ჩინეთში მრავალი ურთიერთდაპირისპირებული ფილოსოფიური სკოლა არსებობდა. მაგალითად, ფილოსოფოს მო წისა და ჰანფეის განმარტებით, „ცისქვეშეთი“ მსოფლიო წესრიგის უმაღლეს ფორმას განასახიერებდა და ამრიგად, სოციალური ორგანიზაციების იერარქიის პირამიდის სათავეში იდგა (იხ. ნიმუში № 1). ფილოსოფოსები მენციუსის, კონფუციუსისა და სიუნ წის განმარტებით, „ცისქვეშეთი“ მორალური ძალაუფლების ერთ-ერთ განზომილებას წარმოადგენდა, ბევრ სამეფოს მოიცავდა და მთელი კაცობრიობის კუთვნილებას წარმოადგენდა.⁴⁹

⁴⁸ Liu, J. The Evolution of Tianxia Cosmology and Its Philosophical Implications,” *Frontiers of Philosophy in China*, 1 (4): .532, 2006.

⁴⁹ Xuetong, Y. *Ancient Chinese thought, modern Chinese power*,” Princeton University Press, 44-45. 2013.



ნიმუში № 1: ჩინური ცისქვეშეთის იერარქიის პირამიდა.

„იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის“ აზიის სწავლების დეპარტამენტისა და ჩინეთში სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტში მიწვეულმა პროფესორმა, იური პაინმა სამეცნიერო საზოგადოებას „ცისქვეშეთის“ განსხვავებული აღქმა შესთავაზა. პროფესორის პოზიციით, ჩვ.წ IV ს-ში და შემდგომ პერიოდებში, „ცისქვეშეთი“ დატვირთული იყო მულტიეთნიკური იმპერიული სივრცის იდეით, ჭოუს (ჩინ. 周朝 ძვ. წ. 1046-256 წწ.) გაფართოებისა და მის მეზობელ ხალხებთან კონსოლიდაციის მიზნით.⁵⁰

აღსანიშნავია, რომ ჩინელ მკვლევრებში დომინირებს აზრი, რომ „ცისქვეშეთი“ მმართველობის ერთგვარი სისტემური ერთობლიობა იყო, რომელიც კულტურასა და ღირებულებებს ემყარებოდა; ყოველივე რასობრივ,

⁵⁰ Pines, Y. Envisioning Eternal Empire: Chinese Political Thought of the Warring States Era,” Honolulu: University of Hawaii, 2009. In Wang Ban. Chinese Visions of World Order Tianxia, Culture, and World Politics,” Durham Duke University Press, 27-46, 2017.

ეთნიკურ თუ გეოგრაფიულ საზღვარზე მაღლა იდგა, მათ შორის, პოლიტიკური და საერთაშორისო წესრიგის ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, „ცისქვეშეთის“ თანამედროვე შესატყვისად შეგვიძლია გამოვიყენოთ კოსმოპოლიტიზმი, სოციალური ინტერნაციონალიზმი და ტრანსნაციონალიზმი.⁵¹

მეტად საინტერესოა „ცისქვეშეთის“ საგარეო განზომილება. მკვლევრების ლეი ჟანგის და ჟენგრონ ხუს თანახმად, ჩინეთს საკუთარი თავი ყოველთვის „ცისქვეშეთის ცენტრად“ წარმოედგინა და საუკეთესო კულტურის განმასახიერებლად.⁵² ამ პოზიციას არ ეთანხმება სინოლოგთა გარკვეული ნაწილი. მათი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „ცისქვეშეთი“ ერთმნიშვნელოვნად ჩინური მახასიათებლების საერთაშორისო წესრიგზე მიუთითებდა, ის აპრიორი არ გულისხმობდა ჩინეთის გარშემო ფორმირებულ საერთაშორისო წესრიგს, არამედ მიუთითებდა ნაციონალური სენტიმენტებისგან დაცლილ ჰარმონიულ ურთიერთობებზე.⁵³

ჩინური „ცისქვეშეთის“ და საერთაშორისო წესრიგის თაობაზე მეტად საინტერესო დაკვირვებას შევხდებით იტალიელი იეზუიტი მღვდლისა და კარტოგრაფის მათეო რიჩის (1552-1610 წწ.) ცხოვრებიდან.

მ. რიჩი პირველი ევროპელი იყო, რომელიც 1601 წელს, მინგის მე-14 იმპერატორის მოწვევის საფუძველზე, „აკრძალულ ქალაქში“⁵⁴ შევიდა. იმპერატორის ბრძანებით, მას მსოფლიო რუკის შექმნა დაევა.

⁵¹ Wang, B. Chinese Visions of World Order Tianxia, Culture, and World Politics,” Durham Duke University Press, 2017.

⁵² Zhang, L. & Zhengrong. H. Empire, Tianxia and Great Unity: A Historical Examination and Future Vision of China’s International Communication,” Global Media and China 2, no. 2: 202, 2017. <https://doi.org/10.1177/2059436417725213>.

⁵³ Por, S. S. Tianxia: China’s Concept of International Order,” Global Asia, 2020. ბოლო ნახვა 25.07.2022 https://www.globalasia.org/v15no2/cover/tianxia-chinas-concept-of-international-order_shiu-sin-por.

⁵⁴ აკრძალული ქალაქი რამდენიმე საიმპერატორო დინასტიის სასახლის კომპლექსია, რომელიც 1406-1420 წლამდე შენდებოდა. დაახლოებით 500 წლის მანძილზე ის დახურული იყო უცხოელებისთვის.

მ. რიჩი იმპერატორის დაკისრებულ დავალებას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მიუდგა. სხვა ევროპელი კარტოგრაფებისგან განსხვავებით, მან ჩინეთი რუკაზე შორეულ აღმოსავლეთში განზრახ არ განათავსა. როგორც ჩანს იეზუიტი მღვდელი ინფორმირებული იყო ჩინური ფილოსოფიის და განსაკუთრებით „სამოთხის მანდატისა“ და „ცისქვეშეთის“ კონცეფციის შესახებ. მის „ჩანაწერები ჩინეთის შესახებ“ საუბარია ჩინელი ხალხის იმგვარ შეხედულებაზე, სადაც მათი წარმოდგენით დედამიწა ბრტყელი და ოთხკუთხა იყო, ხოლო ოთხკუთხედის ცენტრს ჩინეთი წარმოადგენდა. ეს ყველაფერი მ. რიჩიმ გაითვალისწინა და მან მის „ათიათასი ქვეყნის დიად რუკაზე,“ ჩინეთი მსოფლიოს ცენტრში მოათავსა.⁵⁵

პროფესორი სალვატორე ბაბონეს ჩინური „ცისქვეშეთის“ განმარტება მ. რიჩის სულისკვეთების ერთგვარი გაგრძელებაა. მისი აზრით, ჩინური „ცისქვეშეთი“ „ჩინური სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმისა და უნივერსალური მორალური კოდექსის კომბინაციას“ წარმოადგენდა. პროფესორის დაკვირვებით, „ცისქვეშეთი“ არ იყო კოსმოპოლიტური, არამედ საერთაშორისო წესრიგის ადმინისტრირების იმ სისტემას წარმოადგენდა, რომელიც ერთი კონკრეტული სახელმწიფოს (ჩინეთი) უზენაესობას ეფუძნებოდა.⁵⁶

„ცისქვეშეთის“ პოლიტიკური განზომილების მკვლევრების აზრით, კონცეფცია პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ასპექტებით ძლევამოსილი ხანის დინასტიის პირობებში დაიტვირთა, როდესაც ხანის პერიოდში გაჩნდა ჩინური

⁵⁵ Liu, J. & Deyuan, H, The Evolution of Tianxia Cosmology and Its Philosophical Implications,” *Frontiers of Philosophy in China* 1, no. 4, 533, 2006. <http://www.jstor.org/stable/30209874>

⁵⁶ Babones, S. Taking China Seriously: Relationality, Tianxia, and the ‘Chinese School’ of International Relations,” *Oxford Research Encyclopedia of Politics*, 1. 2017. <https://doi.org/10.1093/acrefore/9780190228637.013.602>.

სახელმწიფოებრივი იდენტობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ნარატივი - *ერთ ქვეყანას მართავს ერთი ხალხი*.⁵⁷

ხანის იმპერიის პირობებში ჩინური სახელმწიფო ადმინისტრირება, სოფლის მეურნეობა და სხვა დარგები განვითარდა, თუმცა ამ პერიოდში იმპერიის სწრაფ აღმასვლას სერიოზულ საფრთხეს ჩრდილოეთით მოზინადრე ტომების მუდმივი შემოსევები უქმნიდნენ.

„დიადი ისტორიკოსის ჩანაწერებსა“ (იგ. შიჯი)⁵⁸ და „ხანის წიგნზე“ დაყრდნობით, ხანის დინასტიამ ჩრდილოელ ტომებთან ერთ-ერთ შეტაკებაში დამარცხება იწვნია, რის შემდგომ იმპერია გამოუვალი მდგომარეობის წინაშე აღმოჩნდა; საჭირო გახდა იმპერატორის მხრიდან ჩრდილოელ ხალხთა ტომთა ლიდერის - ჩან-იუს⁵⁹ აღიარება იმპერიის რეგიონულ წარმომადგენლად.⁶⁰

⁵⁷ Lewis M. E. & Hsieh M. "Tianxia and the Invention of Empire in East Asia" In Wang Bang Chinese Visions of World Order: Tianxia, Culture, and World Politics," New York, USA: Duke University Press, 30, 2017.

⁵⁸ ჩინეთის ისტორია. ჩანაწერების ავტორია სიმა ციენი, რომელსაც „ში ძი“ ჩვ.წ 86 წლამდე უნდა დაეწერა. სიმა ციენის „ისტორია ოთხჯერ დიდია თუკიდიდეს „პელოპონისის ომის“ ისტორიაზე.

⁵⁹ გულისხმობს ცენტრალური და შუა აზიის მომთაბარე ტომების უზენაესი მმართველის ტიტულს. ტიტულმა იარსება 8 საუკუნე და 402 წელს ჩანაცვლდა ხაკანით (ხანი).


⁶⁰ Lewis M. E. & Hsieh M. Tianxia and the Invention of Empire in East Asia In Wang Bang. Chinese Visions of World Order: Tianxia, Culture, and World Politics, New York, USA: Duke University Press, 33, 2017.



რუკა № 1: ხანის იმპერია ჩვ.წ. 200 წ.

წყარო: Timemaps <https://www.timemaps.com/history/china-200bc/>

იმპერატორის მხრიდან ჩან-იუს აღიარების შემდგომ ეტაპობრივად დაიწყო ხანის ჩინეთსა და ჩრდილოელ ხალხთა ურთიერთობების დივერსიფიკაცია. ჩვ.წ 100-80 წ. ხანის დინასტიამ მის იმპერიულ სტრუქტურაში ჩრდილოელი ხალხის მოსახლეობის ნაწილობრივი ინტეგრირება წარმატებით მოახდინა. მეცნიერ-მკვლევართა აზრით, სწორედ ჩრდილოელი ხალხის იმპერიულ სტრუქტურაში ინტეგრაციამ, ხანის ჩინეთი მულტიეთნიკურ, მულტიკულტურულ და მაღალ განვითარებულ იმპერიად აქცია. ამასთან,



რუკა № 2: ხანის იმპერიის გაფართოვება ჩვ.წ. 30 წ.

წყარო: Timemaps <https://www.timemaps.com/history/china-30bc/>

გაირკვა, რომ ჩრდილოელი ტომების ხანის ჩინეთში ინტეგრირებას სამხედრო-პოლიტიკური გათვლაც ჰქონდა - ჩრდილოელები სახელგანთქმული მეომრები იყვნენ, რაც ხანის სამხედრო ძალების რეფორმირებისა და მისი ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობას იძლეოდა. ხანი სამხედრო თვალსაზრისით მართლაც გაძლიერდა. გავრცელებული ცნობებით, ხანის საიმპერატორო კარი ჩრდილოელ მეომრებს საკუთარ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ ოსტატურად

იყენებდა, შიდა აჯანყებების ჩასახშობად და ასეთივე მომთაბარე ტომებთან საბრძოლველად.⁶¹

მკვლევრები ხანის იმპერიის პერიოდს აფასებენ ჩინური ჰეგემონიის ნაირსახეობად, რადგან იმპერიის ჰეგემონიის სტრუქტურა ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობების ტრადიციული მოდელის ანალოგიას წარმოადგენდა. ხაზგასასმელია, რომ ამ იმპერიულ სტრუქტურაში პერიფერიული არეების მკვიდრნი, ანუ „არაცივილიზებულები“, „ბარბაროსებად“ მოიხსენიებოდნენ.

მეცნიერ-მკვლევართა გარკვეული ჯგუფის აზრით, ხანის დინასტიაში ცენტრი-პერიფერიის ჰეგემონური მოდელის არსებობას იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური მიზნებისთვის ჩრდილოელ ხალხთა ეფექტურად გამოყენება და ამავდროულად, გარკვეული პერიოდის მანძილზე იმპერიულ კარზე მათი დაწინაურების შესაძლებლობის შეზღუდვა ადასტურებდა. თუმცა, აღნიშნულ საკითხზე, მეცნიერ-მკვლევართა მეორე ნაწილში სრულიად საპირისპირო პოზიციას შევხდებით:

„ტრადიციულ ჩინეთში ბარბაროსთა [(არა ხანის ხალხი)] და ჩინელთა შორის განსხვავება რასობრივი ხასიათის არ იყო. განსხვავებები კულტურულ ხასიათს ატარებდა, რომელიც ამავდროულად [ეთნოსების] ტრანსფორმაციისა და კომუნიკაციის [არხების დივერსიფიცირების] შესაძლებლობას იძლეოდა.“⁶²

⁶¹ Wang, B. Chinese Visions of World Order Tianxia, Culture, and World Politics, Durham Duke University Press. 32-42. 2017.

⁶² Jilin, X & Ownby, D. Rethinking China's Rise: A Liberal Critique, Cambridge: Cambridge University Press, 130, 2018.

როგორც ჩანს, ხანის იმპერიაში გარკვეული პერიოდის მანძილზე მართლაც ხდებოდა საზოგადოების განსხვავება ერთი მხრივ, ეთნიკურ-პოლიტიკური, ხოლო მეორე მხრივ, კულტურული ნიშნით. მიუხედავად ამ ორაზროვნებისა, სწორედ ხანის იმპერიას მიეწერება ე.წ. უდროო, მულტიეთნიკური ჩინეთის კონცეფცია, რომელიც ჩინური ცივილიზაციის ქვეშ სხვადასხვა ხალხის ჰარმონიულ თანაარსებობას გულისხმობდა.⁶³ სწორედ ამ კონცეფციით შეიძლება აიხსნას ჩინური ცივილიზაციის ხანგრძლივობის საიდუმლოც.⁶⁴

1.2 კონფუციანური ცივილიზაციური სახელმწიფოს არსი და მისი საერთაშორისო წესრიგის თავისებურებები

XXI ს-ში ჩინეთის სწრაფი განვითარების მიმართ დასავლური პოლიტიკური ელიტა, მეცნიერება, მედია და საზოგადოება განსაკუთრებით დიდ ინტერესს გამოხატავს. ამას მოწმობს ჩინეთზე მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების მიმართვა, საერთაშორისო დონეზე ჩინეთის თემატიკაზე განხორციელებული კონფერენციების, კვლევებისა და პუბლიკაციების გაზრდილი რაოდენობა. ამ მზარდი ინტერესის პარალელურად, დასავლეთში მძლავრობს განწყობა, რომ ჩინეთი ძალიან მალე საფრთხეს შეუქმნის ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს.

დასავლეთში ჩინეთის მიმართ ასეთი განწყობის ჩამოყალიბებაზე ძირითადად ორი ფაქტორი მოქმედებს: 1) ჩინეთის მოსალოდნელი ქმედებების ბუნდოვანება, რაც გამოწვეულია მეცნიერებაში ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის შესახებ არასისტემური ცოდნით; 2) დასავლურ და ჩინურ

⁶³ Chu, S. Whither Chinese IR? The Sinocentric Subject and the Paradox of Tianxia-Is, *International Theory*, 14 (1), 19. 2022
doi:10.1017/S1752971920000214.

⁶⁴ Jilin, X. & Ownby, D. *Rethinking China's Rise: A Liberal Critique*, Cambridge: Cambridge University Press, 131, 2018.

მსოფლმხედველობას შორის ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური შეუთავსებლობა.

ფუდანის უნივერსიტეტისა და ჟენევის დიპლომატიის სკოლის პროფესორის, ჟანგ ვეივეის (Zhang Weiwei) წიგნი - „ჩინეთის ტალღა: ცივილიზაციური სახელმწიფოს აღმასვლა“ (The China Wave: Rise of a Civilizational State) - იშვიათი გამონაკლისია, რომელიც სამეცნიერო საზოგადოებას ჩინური სახელმწიფოს რაობის მეცნიერულ დეფინიციას სთავაზობს.

ავტორის თანახმად, დასავლეთი ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის საკითხის შესწავლას მხოლოდ მისი მსოფლმხედველობითი პრიზმიდან ახდენს. მაგალითის სახით, ჟ. ვეივეიმ ხაზი გაუსვა დასავლეთში არსებულ, ობიექტივიზმს მოკლებულ, პროგანდისტული ხასიათის ნარატივების არსებობას ჩინეთის სახელმწიფოებრივ მოდელთან დაკავშირებით: „ჩინეთის კომუნისტური პარტია ძალაუფლებას მალე დაკარგავს,“ „ჩინეთი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მსგავსად დაიშლება,“ „დენ სიაოპინის გარდაცვალების შემდგომ ჩინეთი ქაოსში მოექცევა,“ „2008 წლის ფინანსური კრიზისი ჩინურ ეკონომიკას საბოლოოდ მოშლის,“ „ჩინეთში დემოკრატიული პროცესები მალე დაიწყება,“ ავტორის თქმით, არცერთი ზემოხსენებული „წინასწარმეტყველება“ ჯერ-ჯერობით არ გამართლებულა, მაგრამ დასავლეთში ჩინეთის განვითარების „გზის“ მიმართ სკეპტიციზმი კვლავ აქტუალურია.⁶⁵

დასავლეთში ჩინეთის სახელმწიფოებრივი მოდელის მიმართ მუდმივი სკეპტიციზმის საპირწონედ, ჟ. ვეივეიმ ჩინეთის სახელმწიფოებრივი იდენტობის მისეული ხედვა ჩამოაყალიბა. ავტორის აზრით, ჩინეთი ერი-

⁶⁵ Weiwei, Z. The China Wave: Rise of a Civilizational State. World Century Publishing Corporation, Hackensack, New Jersey, USA, 1;47, 2012.

სახელმწიფოს დასავლური გაგებისგან აბსოლუტურად განსხვავდება და ე.წ. ცივილიზაციურ სახელმწიფოს წარმოადგენს, რადგან ჩინეთი უძველესი დროიდან მოყოლებული მსოფლიოში ერთადერთი ყველაზე ხანგრძლივი და „განგრძობითი“ ცივილიზაციაა, რაც მას ბუნებრივია ერი-სახელმწიფოს კატეგორიაზე მაღლა აყენებს. ჟ.ვეივეიმ მისი თეზისი შემდეგი 8 არგუმენტით გაამყარა:

- 1. მრავალრიცხოვანი მოსახლეობა:** ჩინეთი ასეულობით სახელმწიფოს (სამეფოს) ასიმილაციის პროდუქტია, რომელიც გამოიხატა ჩინური ცივილიზაციის სიმთელის სახით. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მსგავსად ინდოეთიც მრავალრიცხოვანია, მას ჩინელი ერივით ჰომოგენური არ შეიძლება ეწოდოს;
- 2. ვრცელი ტერიტორიები:** ამ კრიტერიუმით ჩინეთს წინ უსწრებს რუსეთი და კანადა. თუმცა, ჩინეთი მათგან იმით გამოირჩევა, რომ მის ვრცელ ტერიტორიაზე განხორციელდა მრავალი სახელმწიფოს (სამეფო) ასიმილაცია ერთ ერად. ჩინეთის მსგავსი ასიმილაციის სცენარი საბჭოთა კავშირში წარუმატებელი აღმოჩნდა, ხოლო კანადა მცირე მოსახლეობითა და მოკლე ისტორიით ხასიათდება;
- 3. ხანგრძლივი ტრადიციები:** ჩინური ტრადიციები კოსმოპოლიტიზმს ეყრდნობა. ჩინეთში შეხვდებით კაცობრიობის სხვადასხვა მონაპოვარს, სიბრძნის, ცოდნის, პოლიტიკური მმართველობის ტიპის, ეკონომიკური მოდელის, განათლების, ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის უნიკალურ სინთეზს. მიჩნეულია, რომ ჩინური განვითარების მოდელის წარმატების საიდუმლო სწორედ ამ ტრადიციების რეფორმირებასა და მოდერნიზაციაზე გადის - ეს განსაკუთრებით გამოიხატება მოსახლეობის მხრიდან ძველი ჩინური ცოდნის თანამედროვე გამოწვევებთან ადაპტაციის გამორჩეული უნარით. აღნიშნულზე მიაწვდის ჩინეთის მმართველი

ელიტების ლექსიკაში ხშირად გამოყენებული ტერმინოლოგია. მაგალითად, სიტყვა - „ჰარმონია“ ან „ჰარმონიული ჩინური საზოგადოება“, სინამდვილეში ძველჩინური „*taihe*“-ს (საერთო ჰარმონია) კონცეფციის გათანამედროვეებულ ვარიანტს წარმოადგენს. ჩინეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ასევე ახდენს გაერთიანებულ ჩინეთამდე არსებული „გაზაფხულ-შემოდგომის პერიოდის“ და „მეომარ სამეფოთა ეპოქის“ ფილოსოფიური სკოლების მიერ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობები: კონფუციანიზმი, ტაოიზმი, ლეგიზმი, მოჭიზმი და სხვ;

4. **მდიდარი კულტურა:** ჩინეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მატარებელია. ჩინეთში 56 ეთნიკური ჯგუფი თანაარსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება იმაზე მეტად განსხვავდებოდნენ, ვიდრე პირობითად, გერმანელი - ფრანგისგან;
5. **უნიკალური ენა:** ჩინური იეროგლიფები განვითარდა ჯერ კიდევ შანგის დინასტიის პერიოდში (ძვ. წ. XVI ს.). ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩინურმა ენამ წარმატებული რეფორმები გაიარა - ენა გამარტივდა და ლათინური ანბანის საფუძველზე შეიქმნა ჩინური სალიტერატურო ენის რომანიზებული ფონეტიკური ტრანსლიტერაციის სისტემა, იგივე ფინინი (Pinyin), რამაც უცხოელებისთვის ჩინური ენის შესწავლის პროცესი მნიშვნელოვნად გააიოლა;
6. **გამორჩეული პოლიტიკა:** „ჩინეთის კომუნისტური პარტია“ (ჩკპ) (ჩინ: 中國共產黨|中国共产党) კონცეპტუალურად განსხვავდება „პარტიის“ დასავლური გაგებისგან. ჩკპ მთლიანი ჩინელი ერის ინტერესების გამოხატვაზეა ორიენტირებული, მაშინ როდესაც დასავლეთში „პარტიები“ გარკვეული ჯგუფების ინტერესებს ემსახურებიან. ისტორიულმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ჩინეთში დასავლური მოდელის „პარტია“ ვერ

გაამართლებს. ამის კარგი მაგალითი ჩინეთის 1911 წლის „სინხაის“, იგივე ბურჟუაზიული რევოლუციაა, რომლის შედეგად ჩინეთი მცირე ხნით რესპუბლიკად გამოცხადდა. ჩინეთში დასავლური პოლიტიკური მოდელის გადმოტანამ ქაოსი და დეზინტეგრაცია გამოიწვია;

7. **გამორჩეული საზოგადოება:** ჩინურ საზოგადოებაზე დიდწილად კონფუციანური ფილოსოფიური მსოფლმხედველობა დომინირებს. კონფუციანიზმში ცენტრალური ადგილი ოჯახს უჭირავს. აღნიშნული საზოგადოებრივი იერარქიის ჩამოყალიბებაზეა პასუხისმგებელი. ჩინეთში ოჯახის ცენტრალურობის უპირობობა დამწერლობაშიც ვლინდება. მაგალითად, „ერი“ ჩინურში ორი იეროგლიფისგან შედგება - 1) „სახელმწიფო“ (国) და 2) „ოჯახი“ (家);
8. **გამორჩეული ეკონომიკა:** ისტორიულად ჩინეთი არა საბაზრო, არამედ „ჰუმანისტურ“ ეკონომიკურ მოდელზე იდგა. ჩინელი მკვლევრები „ჰუმანისტურ“ ეკონომიკას ჩინური მახასიათებლების სოციალისტური ეკონომიკის ტიპს უწოდებენ, რომელიც მიმართულია არა მოგების მაქსიმიზაციაზე, არამედ მთელი საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ძირითადად, ჩინეთში სახელმწიფო და ეკონომიკა ურთიერთგადაჯაჭვული იყო. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ჩინური ეკონომიკური მოდელი (ზოგიერთი ჩინელი მკვლევრის დეფინიციით - სოციალისტური საბაზრო ეკონომიკა) სწორედ ტრადიციული ჩინური „ჰუმანისტური“ და დასავლური საბაზრო ეკონომიკის სინთეზია. ჩინური ეკონომიკის ეს ჰიბრიდული მოდელი ჩინელის ერის ისტორიულ თავისებურებას სრულად გამოხატავს.⁶⁶

ზემოხსენებულ არგუმენტებზე დაყრდნობით, ჟ.ვეივეიმ ასევე დაასკვნა, რომ ჩინეთის „ცივილიზაციური სახელმწიფო“ ფლობს ყველა საჭირო რესურსს

⁶⁶ Weiwei, Z. The China Wave: Rise of a Civilizational State. World Century Publishing Corporation, Hackensack, New Jersey, USA, 53-67, 2012.

მისი მახასიათებლების ღირებულებების, პოლიტიკური მოდელებისა თუ მორალურ-ეთიკური სტანდარტების წარმოებისთვის.⁶⁷

განვითარების ჩინური მოდელის თავისებურებასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებს შევხდებით ქართველი მეცნიერის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნოდარ ჭითანავას მონოგრაფიაში - „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან სამყაროში.“ პროფესორის დაკვირვებით, თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური სისტემების ფორმირებისადმი სამი ძირითადი მიდგომა გამოიყოფა: ამერიკული, ევროპული და აღმოსავლურ-აზიური. ამერიკული სისტემა მოგების მაქსიმიზაციისკენ მიზნობრივი სწრაფვით ხასიათდება, სადაც სისტემის ფუძემდებლური პრინციპი - კონკურენცია - განიხილება, როგორც ეკონომიკის განვითარების აგრესიული გზა. ევროპული სისტემა *„კორპორატიულობის პრინციპზე დამყარებულ პროტესტანტულ ეთიკას ეფუძნება, მართვის სისტემა კი - საზოგადოების მსხვილი ჯგუფების ინტერესების კონსენსუნსს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვა წინასწარ არის გაცნობიერებული. იქმნება შესაბამისი მექანიზმები (სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტი) სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციისათვის. ამ სისტემაში კონკურენცია განიხილება, როგორც თანაბარი შესაძლებლობების გარანტი.“* აღმოსავლურ-აზიური სისტემის („კონფუციანური კაპიტალიზმი“) მთავარი არსია, რომ ადამიანი კოლექტივის წევრია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობა ინდივიდის ინტერესებზე მაღლა დგას, „კონფუციანური კაპიტალიზმი“ აღიარებს, რომ *„მოგების მიღების ძლიერი სურვილის გარეშე შეუძლებელია ხალხის კეთილდღეობის ამაღლება. თუ არ განვითარდა მეწარმეობა, ვერასოდეს*

⁶⁷ Weiwei, Z. The China Wave: Rise of a Civilizational State. World Century Publishing Corporation, Hackensack, New Jersey, USA, 67, 2012.

მივაღწევთ ეროვნულ აყვავებას. ეროვნული აყვავება არ გაგრძელდება დიდხანს, თუ იგი არ ეყრდნობა სიკეთისა და სამართლიანობის ზნეობრივ პრინციპებს. კონკურენცია განიხილება როგორც თანაარსებობა - ზრუნვა საკუთარ სარგებლიანობაზე, ნიშნავს ზრუნვას პარტნიორის სარგებლიანობაზეც.“⁶⁸

ჩინეთის, როგორც განსხვავებული ერი-სახელმწიფოს კონცეფციას დასავლელი მკვლევრების გარკვეული ნაწილიც იზიარებს. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა ბრიტანელი მარქსისტი, წარსულში დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის (CPGB) ცნობილი ჟურნალის - „მარქსიზმი დღეს“ მთავარი რედაქტორი - მარტინ ჟაკი (Martin Jacques). მის წიგნში „როდესაც ჩინეთი იბატონებს მსოფლიოზე“ არაერთხელაა აღნიშნული, რომ ჩინეთი სხვა ერი-სახელმწიფოებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ავტორის აზრით, „ჩინეთი ერი-სახელმწიფო არაა, არამედ ცივილიზაციაა და კონტინენტი, რომელიც მოიცავს ხანგრძლივ ისტორიას, დინასტიებს, კონფუციის, გამორჩეულ აზროვნებას, ტრადიციებს, სოციალური ურთიერთობების ეთიკური კოდექსების სისტემას (ჩინ. 关系, *guānxi*), ოჯახს, წინაპრების, მშობლებისა და უფროსი თაობის პატივისცემას, ღირებულებებსა და განსხვავებულ მსოფლმხედველობით ფილოსოფიას.“⁶⁹

მიუხედავად იმისა, რომ ჩინური სახელმწიფოს ცნება მრავალგანზომილებიანია, მ. ჟაკის წიგნში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კონფუციანიზმის როლზე „ცივილიზაციური სახელმწიფოს“ ფორმაციის ისტორიულ პროცესებში.

⁶⁸ ჭითანავა, ნ. გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში, ივერიონი, თბილისი, 155-156, 2021.

⁶⁹ Jacques, M. When China rules the world: the end of the western world and the birth of a new global order, New York: Penguin Books, 196, 2012.

კონფუცი - იგ. ქუნძ'-ი (ჩვ.წ.551-479 წწ.) კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოაზროვნე იყო. მისი დაბადების ადგილად მოიაზრება ლუს სამეფო (თანამედროვე შანდუნის პროვინცია). სოკრატეს, ბუდასა და იესოს მსგავსად, კონფუცი დადასტურებულად არაა მისი მოძღვრების შესახებ გადმოცემული არცერთი ტექსტის ავტორი, თუმცა კონფუცის ისტორიკოსები ხშირად მიაწერენ ქრონიკების - „გაზაფხულისა და ზაფხულის ანალების“ ავტორობას. კონფუციანური ფილოსოფიის შესახებ ყველაზე გავრცელებულ და მნიშვნელოვან ტექსტებს წარმოადგენს - „ანალები“ (ჩინ. 論語, *Lúnyǔ*) იგივე - კონფუცის „რჩეული თხზულებები,“ რომელიც შედგენილია მისი მოწაფეების მიერ და გარკვეულწილად, მკითხველში პლატონის დიალოგების სტრუქტურის სტილის ასოციაციას იწვევს.

კონფუცის მოღვაწეობისას, როდესაც ჩინეთი წარმოდგენილი იყო მრავალი დაქსაქსული სამეფოს სახით, საკმაოდ ძლიერად განვითარდა სახელმწიფოებრივი მართვის ჩინური ფილოსოფია და მიდგომები. ამ დროს ათეულობით ფილოსოფიური სკოლა არსებობდა, რომლებიც ურთიერთგანსხვავების საფუძველზე ვითარდებოდნენ. სახელმწიფოებრივი მართვის ფილოსოფიის კუთხით, ყველაზე დიდ სკოლებად მოიაზრებოდნენ - ტაოიზმი, კონფუციანიზმი და ლეიზმი.

კონფუციანიზმი პირველი ჩინური იმპერიის (ცინის დინასტია) ჩამოყალიბებამდე ფართოდ გავრცელებული მოძღვრება იყო, რომელიც ჩინური საზოგადოების ეთიკურ-სოციალური განზომილების მოწყობის გარდა, გავლენას ასევე ახდენდა სამეფოთა შიდა და საგარეო მართვის პრინციპებზე.

კონფუციანიზმი სახელმწიფო იდეოლოგიად გამოცხადდა მხოლოდ მეორე ჩინური იმპერიის (ხანის დინასტია) მმართველობის დროს. სწორედ

მეორე იმპერიის პირობებში განხორციელდა მიზანმიმართული სამუშაოები კონფუციანიზმის მოძღვრების თაობაზე არსებული ლიტერატურის შეგროვების, შექმნისა და დაარქივების მიმართულებით.

ამავე იმპერიის პირობებში, კონფუციანიზმი დამტკიცდა საიმპერატორო კარზე მოხელეთა შერჩევის საგამოცდო საგნად. აღნიშნული ფაქტი ადასტურებდა იმას, რომ კონფუცის ზედმიწევნით ცოდნის გარეშე, საიმპერატორო კარი დაუშვებლად ცნობდა საჯარო მოხელის პროფესიის ხელოვნების დაუფლების ნებისმიერი სხვა ალტერნატივის არსებობას.

ხანის იმპერიის პერიოდში კონფუციანიზმის სახელმწიფო იდეოლოგიად დადგენის მიუხედავად, ჩინეთის შემდგომ ისტორიაში მრავალგზის იყო შემთხვევები, როდესაც კონფუციანიზმი სუსტდებოდა და ხანგრძლივი დაღმავლობის ფაზაში გადადიოდა. მაგალითად, სხვადასხვა ჩინური დინასტიის მმართველობის პერიოდში კონფუციანიზმის საპირწონედ ბუდიზმი, ხოლო მოგვიანებით ქრისტიანობა მოიაზრებოდა. ამას თან ერთოდა მრავალი ასწლეულების განმავლობაში ჩინეთში ჩინურ ფილოსოფიურ სკოლებს შორის კონკურენცია. კონფუციანიზმი განადგურების ყველაზე რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველმა ლიდერმა, მაო ძედუნმა ის სახელმწიფო განვითარების ხელისშემშლელად დაასახელა და „ანტი-კონფუციანური კამპანია“ (იგ. *Pikong*; 1966-1976 წწ) დაიწყო.⁷⁰

ჩინეთის განვითარების ისტორიაში კონფუციანიზმის აღმავალი და დაღმავალი ფაზების არსებობის მიუხედავად, ამ ფილოსოფიურმა სკოლამ შეძლო დროის სხვადასხვა მონაკვეთში გავრცელებულ პარადიგმებთან

⁷⁰ Roger T. A. & Rosemont, H. The Analects of Confucius: A Philosophical Translation, trans., Jr, New York, Ballantine Books, 1998.

გამკლავება და ჩინური სახელმწიფოებრივ იდენტობაზე დიდი გავლენის მოხდენა.

ამ კონტექსტში, მეტად საინტერესოა კონფუციანური ფილოსოფიის ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა/კონცეფციის ხაზგასმა. ესენია: 1) ჰუმანურობა; 2) სამართლიანობა/სათანადოობა; 3) ჯეროვანება; 4) გონიერება; 5) სანდოობა.

仁 - ჰუმანურობა - Ren. ზემოხსენებული ხუთიდან საკვანძოა. ეს სიტყვა/კონცეფცია კონფუცის „ანალეზში“ 109-ჯერ ფიქსირდება. ჩინური სოციო-ლინგვისტური სპეციფიკიდან გამომდინარე, „仁“-ის დეფინიცია არაერთგვაროვანია. სწორედ ამიტომ, ჩინური ენისა და ფილოსოფიის სპეციალისტები „仁“ - ს რამდენიმე სინონიმსა და მნიშვნელობას ანიჭებენ: „ადამიანურობა“, „სიქველე“, „ღირსება“, „თანაადამიანობა“, „სიკეთე“ და სხვ.⁷¹

義 - სამართლიანობა/სათანადოობა - Yi. კონფუციანიზმში „義“ მორალური კატეგორიაა, რომელიც სამართლიანობასა და სუბიექტში სამართლიანობის განცდით ნაკარნახევი სათანადო მოქმედების აქტის განხორციელებას გულისხმობს. ეს აქტი ასევე მოიცავს სუბიექტის ვალდებულებას აღკვეთოს/ხელი შეუშალოს ყოველივე არასამართლიან აქტს. ცნობილი კონფუციანელი ფილოსოფოსი მენციუსი იგივე მენგზი (ჩინ. 孟子) (ძვ.წ.372–289) ამბობდა, რომ „義“ ხალხის სწორი/ქეშმარიტი გზაა, ხოლო „仁“ (ჰუმანურობა) ადამიანთა სიმშვიდის საბინადროს წარმოადგენს.⁷²

礼 - ეტიკეტი/ჯეროვანება - Li - თავდაპირველი დეფინიციით განსაზღვრავდა სარიტუალო და საცერემონიო ქცევებს. მოგვიანებით,

⁷¹ Peimin, N. Understanding the Analects of Confucius: a new translation of Lunyu with annotations, Albany: State University of New York Press, 32-33, 2017.

⁷² იქვე. 48.

კონფუციანიზმში „𠂔“ დაიტვირთა ცივილიზებული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ეთიკის, ეტიკეტის, პროტოკოლისა და ქცევის სტანდარტებით. აქედან გამომდინარე, მის ქართულ შესატყვისად გამოყენებულია - ეტიკეტი ან ჯეროვანება, იგ. ჯეროვანი ქცევა, რომელიც მხოლოდ დამახასიათებელია აღზრდილი, კულტურული და ღირსეული ადამიანისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ „𠂔“ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩინეთის საიმპერატორო კარზე, რადგან ამით რეგულირდებოდა მკაცრად რეგლამენტირებული ეტიკეტისა თუ ცერემონიალური ქცევა. ჩინურ კულტურაში „𠂔“ პასუხისმგებელი იყო სოციალურ ქცევათა მოწესრიგებულობაზე, რაც განაპირობებდა ჩინელი ხალხის, ე.ი. „ცივილიზებული საზოგადოების“ შემდგომი არსებობის გაგრძელების გარანტიას.⁷³


知 - განსწავლულობა (ჭ'-ი) - Zhi - ერთი შეხედვით ეს სიტყვა/კონცეფცია ნიშნავს „სიბრძნეს“, „ცოდნას“, „გააზრებას“, „წვდომას“, თუმცა კონფუციანიზმში უფრო ფართო მნიშვნელობას ატარებს. „知“ მეტად გამოხატავს სუბიექტის „ბრძნულ მოქმედებას“ და მიუთითებს „ცოდნის გამოვლენაზე“, საჭირო დროსა და შესაფერის სიტუაციაში.⁷⁴

信 - ნდობა/სანდოობა - Xin - კონფუციანურ ფილოსოფიაში სამაგალითო ადამიანი სწორედ ნდობით აღჭურვილი პირია, რომელიც საკუთარ ნათქვამს ყოველთვის პირნათლად შეასრულებს. „信“ გამოხატავს სუბიექტებს შორის ურთიერთნდობას.

⁷³ Peimin, N. Understanding the Analects of Confucius: a new translation of Lunyu with annotations Albany: State University of New York Press, 48, 2017.

⁷⁴ იქვე. 73

ზემოხსენებულ ხუთ კონცეფციაზე დაყრდნობით, დაშვების დონეზე, ჩინური შიდა და საერთაშორისო წესრიგი შემდეგი სქემით შეიძლება გამოიხატოს:



სქემა № 2: შიდა და საერთაშორისო კონფუციანური წესრიგი

კონფუციანიზმის გავლენით ჩინეთში დღემდე აქტუალურია „ოჯახიშვილობის“ ფილოსოფიური კატეგორია. ჩინელ ერში ოჯახიშვილობა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა დიდ როლს თამაშობს ჩინური სახელმწიფოებრივ იდენტობაზე.

ოჯახიშვილობის თემა შინაარსობრივად დეტალურად გაშლილია კონფუცის „ანალების“ ერთ-ერთ თავში - „Xiaojing“, სადაც წარმოდგენილია

კონფუცისა და მის მოწაფე ძენგძის (Zengzi, Zeng Shen) შორის დიალოგი პიროვნების ვალდებულებებზე მშობლის, ოჯახისა და მმართველის მიმართ. ამ თავში კონფუცი ამბობს:

„რადგან მშობლებისგან მივიღეთ სხეული, კანი და თმები, სრულიად დაუშვებელია მათი შეურაცხყოფა. ეს ოჯახიშვილობის მთავარი მოვალეობაა. ეს მოვალეობა შესრულებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც შევძლებთ სამყაროში საკუთარი თავის დამკვიდრებას, ჩვენი ცხოვრებისეული „ტაოს“ (გზის) პოვნას, შთამომავლებისთვის ღირსეული სახელის შენარჩუნებასა და მშობლებისათვის დიდების მოტანას. მაშასადამე, ოჯახიშვილობა იწყება მშობლის მიმართ დამოკიდებულებით, გრძელდება მმართველის (სახელმწიფოს) სამსახურში და სრულდება სამყაროში საკუთარი ადგილის პოვნით - სამაგალითო პიროვნებად ქცევით. თუ არ იქნება ეს ოჯახიშვილური ურთიერთობები დაცული, სამოთხის შვილიდან (მმართველი) ჩვეულებრივ ხალხის ჩათვლით, უბედურება (ქაოსი) დაისადგურებს.“⁷⁵

ამ ამონარიდით დასტურდება ჩინურ სახელმწიფოებრივ პატერნალიზმს, სოციალურ კოლექტივიზმსა და ოჯახიშვილობას შორის მჭიდრო კორელაცია.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთში ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის წარსულს. შემთხვევითი არაა, რომ კონფუციანიზმმა, როგორც ჩინელი ერის მორალურმა კომპასმა, რელევანტობა დღემდე არ დაკარგა.⁷⁶ ჩინელებისთვის წარსული საზოგადოების შეკავშირების მნიშვნელოვანი ფაქტორია და შესაბამისად, ჩინურ სოციუმში ახლაც დიდი ყურადღება ეთმობა ძველი კონცეფციების შენარჩუნების მნიშვნელობას. მიზეზი ისაა, რომ ჩინეთი

⁷⁵ n.d. Selections from the Classic of Filiality (Xiaojing), Asia for Educators, Columbia University, 1-3. 1999.

⁷⁶ Jacques, M. When China rules the world: the end of the western world and the birth of a new global order, New York, Penguin Books, 200-201, 2012.

თავად ცოცხალ ისტორიას გამოხატავს - ჩინური საზოგადოების ყველა წევრს, მკვლევარს, საჯარო მოხელეს, მეწარმესა თუ ჩვეულებრივ მოქალაქეს ისტორიის (წარსულის) ძლიერი განცდა აქვს⁷⁷ (იხ. სქემა № 3).



სქემა № 3: კონფუციანიზმის ძირითადი ფილოსოფიური კატეგორიების სქემა

ჩინელი მეცნიერების ნაწილის აზრით, კონფუციანიზმი დიდ გავლენას ასევე ახდენდა ჩინურ საგარეო პოლიტიკაზე, რადგან კონფუციანიზმის ამოსავალი წერტილი ჰუმანურობაა და მრავალი დინასტიის მმართველობის დროს ჩინური საერთაშორისო ურთიერთობები სწორედ ამ პაციფისტურ იდეას ეყრდნობოდა. ამ პოზიციის მიხედვით, დასავლური იმპერიების ექსპანსიონისტური ბუნებისგან განსხვავებით, იმპერიული ჩინეთის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო აღმოსავლეთ აზიაში ჰუმანიზმის, ჰარმონიული წესრიგისა და მშვიდობიანი სამეზობლოს პრინციპების გავრცელებისკენ.⁷⁸

⁷⁷ Huang, P. Beijing Consensus, or Chinese Experiences, or What?', unpublished paper In Jacques Martin. When China rules the world: the end of the western world and the birth of a new global order, New York, Penguin Books, 2012.

⁷⁸ Zhang, F. Confucian Foreign Policy Traditions in Chinese History, The Chinese Journal of International Politics, 8 (2), 200. 2015.

აღნიშნულ მოსაზრებას მეცნიერთა მეორე ნაწილი ეწინააღმდეგება. მათი შეფასებით, იმპერიული ჩინეთის ისტორია სავსეა ექსპანსიონიზმისა და დაპყრობების ისტორიული ფაქტებით:

- ცინის (ჩვ.წ. 221-206 წწ.) იმპერიის წარმოქმნა სხვადასხვა სამეფოს სამხედრო დაპყრობით;
- ხანის იმპერიის (ჩვ.წ. 206-ახ.წ.220 წწ.) ექსპანსია მისი დასავლეთით და კორეის ნახევარკუნძულამდე;
- თანგის იმპერიის (ახ.წ. 618-907 წწ.) გაფართოება ცენტრალური აზიის მიმართულებით;
- მინგის იმპერიის (1368-1644 წწ.) მიერ ჩრდილოეთი ტერიტორიების დაბრუნება, რომლებიც სუნის დინასტიის პერიოდში (960-1279 წწ.) ჯურჯენებმა მიიტაცეს;
- მანჯურიელთა ცინგის იმპერიის (1644-1911 წწ.) გაფართოება მანჯურია-მონღოლეთიდან - ტიბეტ-სინძიანამდე.⁷⁹

ჩინური პაციფისტური საგარეო პოლიტიკის მიმართ სკეპტიკურად განწყობილმა მეცნიერ-მკვლევრებმა დამატებით გამოიკვლიეს, რომ პირველი ცინის იმპერიიდან მანჯურიელთა ცინგის უკანასკნელ დინასტიამდე, ჩინეთში განხორციელდა დაახლოებით 3131 საომარი მოქმედება, რაც წლიურად საშუალოდ 1.5 ომს უტოლდებოდა.⁸⁰

როგორც ჩანს, იმ მეცნიერებს, რომელთაც სწამთ ჩინეთის ისტორიაში პაციფისტური საგარეო პოლიტიკის არსებობის, შესაძლოა, გულისხმობდნენ, რომ ჩინეთში საომარი მოქმედებები ძირითადად ჩინური ცივილიზაციის

⁷⁹ Zhang, F. Confucian Foreign Policy Traditions in Chinese History, The Chinese Journal of International Politics, 8 (2), 201. 2015.

⁸⁰ Zhongguo Junshishi Bianxiezhu (The Compilation Team of 'China's Military History'), Zhongguo lidai zhanzheng nianbiao, Vols. I, II (A Chronology of Wars in Chinese History). Beijing: Jiefangjun chubanshe In Zhang, F. Confucian Foreign Policy Traditions in Chinese History, The Chinese Journal of International Politics, 8 (2), 201, 2015.

ფარგლებში ხორციელდებოდა, რაც განსხვავდება უცხო ერების დაპყრობის (მათ შორის კოლონიალიზმის) პრაქტიკისგან.

მეტად საინტერესოა, თუ რა პოზიცია ჰქონდა თავად კონფუცის ომის წარმოებასთან დაკავშირებით: ქრონიკებში - „გაზაფხულისა და ზაფხულის ანალები“ - გადმოცემულია ჩინეთის 241 წლიანი ისტორია (ჩვ.წ 722-481 წწ.), სადაც განხილულია ომის წარმოების მორალურ-ეთიკური ასპექტები. ამ ტექსტის ანალიზზე დაყრდნობით, მეცნიერ-მკვლევრებმა დაადგინეს, რომ კონფუცი ეწინააღმდეგებოდა ომს, რადგან მას თან ახლავს ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა, რაც კონფუციანურ ჰუმანისტურ იდეალებთან არათავსებადია. თუმცა, კონფუციანიზმში შეიძლება ომის წარმოების გამართლების ნარატივის იდენტიფიცირება, რომელიც ცნობილია ე.წ. სამართლიანი ომის სახელით. ვინაიდან კონფუცი მისი მოღვაწეობის პერიოდის „სამყაროს“ არაიდეალურად მოიაზრებდა, ამ თვალსაზრისით, ის დასაშვებად მიიჩნევდა ომის წარმოებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა სამართლიანი, ემსახურებოდა მაღალ ეთიკურ იდეალებსა და მიზნად დაისახავდა წართმეული ღირსების აღდგენას.⁸¹ შესაბამისად, კონფუციანიზმში ასევე დასაშვები იყო სადამსჯელო ომის წარმოება „არაცივილიზებულთა“ (ბარბაროსები) წინააღმდეგ, ჩინური კულტურის დაცვის მიზნით.

ჩინეთში, დასავლური იმპერიების გამოჩენამდე, ჩინური კულტურის განადგურების საფრთხე ყველაზე ხშირად მომდინარეობდა ჩრდილოელი მომთაბარე ტომებისგან, რომელთა წინააღმდეგ სადამსჯელო ხასიათის

⁸¹ Kam-por, Y. Confucian Views on War as Seen in the Gongyan Commentary on the Spring and Autumn Annals, Dao 9:97-111, 2010. <https://doi.org/DOI 10.1007/s11712-009-9145>

ოპერაციების წარმოება, როგორც გამოჩნდა, კონფუციანურ ლოგიკასთან თავსებადი იყო.

ჩინეთში ცივილიზებულთა და არაცივილიზებულთა (ბარბაროსები) განსხვავების საკითხი სიღრმისეულად შეისწავლა ისტორიულ მეცნიერებათა გამოჩენილმა პროფესორმა ნიკოლა დი კოსმომ. მის წიგნში - „ანტიკური ჩინეთი და მისი მტრები: აღმოსავლეთ აზიის ისტორიაში მომთაბარე ძალების აღმასვლა“ - აღნიშნულია, რომ ცივილიზებულთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ადამიანები, რომლებიც კონფუციანურ იდეალებს იყვნენ ნაზიარებნი, ხოლო არაცივილიზებულებს წარმოადგენდნენ ისინი, რომლებიც ამ იდეალებს არ იცნობდნენ. დი კოსმოს ამ ფორმულირების მიხედვით, ჩინურ საზოგადოებაში აღნიშნული კულტურული დიქტომია მაინცდამაინც არ გულისხმობდა ცივილიზებულთა მხრიდან არაცივილიზებულთა მიუღებლობას ან მათ შევიწროებას, რადგან კონფუციანიზმში, „ცივილიზებული“ ვალდებული იყო სანიმუშოდ მოქცეულიყო არაცივილიზებულთა გულის მოსაგებად.⁸²

კონფუციანიზმში სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულების ბუნდოვანებამ (მშვიდობა - გულის მოგებით თუ მშვიდობა - იძულებით) მეცნიერები დააფიქრა ამ ფილოსოფიური სკოლის დუალიზმზე - პაციფისტურ თუ და იძულებით კონფუციანიზმზე, რის გარშემო მსოფლიო აკადემიაში განხილვები დღემდე აქტიურია.

სამეცნიერო წრეებში კონფუციანიზმის რიგი საკითხების მიმართ ფართო კონსენსუსის არარსებობის მიუხედავად, სახეზეა, რომ კონფუციანიზმი ჩინეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ჩინელი ერის

⁸² Di Cosmo, N.. Ancient China and Its Enemies: The Rise of Nomadic Power in East Asian History (Cambridge: Cambridge University Press, 2002), 104-105, 2002.

ფილოსოფიურ, რელიგიურ-სპირიტუალისტურ და პოლიტიკურ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. ეს გავლენები იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ჩინეთში კონფუციანიზმის ინტელექტუალური მემკვიდრეობის მიმართ ინტერესი დღესაც მძლავრია.

XX საუკუნის მიწურულს ჩკპ-სა და ჩინური აკადემიაში კონფუციანიზმი კვლავ გახდა პოლიტიკური და სამეცნიერო ჭვრეტის ობიექტი. ამავე პერიოდთან დაკავშირებულია ჩინური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის შექმნის იდეაც, რომელიც ჩინეთში დღემდე აქტუალურად რჩება და გარკვეულწილად, ნასაზრდოვია სწორედ კონფუციანური პოლიტიკური ფილოსოფიით.

კონფუციანიზმის მიმართ შესამჩნევად დიდი დაინტერესება გამოვლინდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის, სი ძინპინის მმართველობის პერიოდში (2013-დღემდე). ჩინეთის პრეზიდენტმა არაერთგზის დააფიქსირა საკუთარი პოზიცია კონფუციანიზმის როლზე კაცობრიობის განვითარების წინაშე. აღნიშნულს მოწმობს 2014 წელს ჩინეთში სი ძინპინის მონაწილეობით მოწყობილი კონფუცის 2565-ე წლისთავისთვის მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმი, სადაც ჩკპ-ის ელიტების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კონფუციანური პაციფიზმის მნიშვნელობაზე თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.⁸³ სიმპოზიუმზე სი ძინპინმა განაცხადა, რომ ჩინელ ერს მშვიდობა განსაკუთრებით უყვარს და აფასებს მას; ჩინელების მხრიდან მშვიდობის მიმართ ასეთი განწყობა გამომდინარეობს სწორედ კონფუციანური ღირებულებებიდან, რომელიც ძველჩინური ფრაზებით დასტურდება: „ქვეყნის საუნჯეა მეგობრული და კარგი მეზობლების ყოლა;“ „შორეული ნათესავები არ

⁸³ Quansheng, Z. The influence of Confucianism on Chinese politics and foreign policy, Asian Education and Development Studies, 2, 2018.

არიან ისეთივე კარგები, როგორც შენი ახლო მეზობლები“ და „ნუ უსურვებ სხვას იმას, რასაც არ უქმნიდი საკუთარ თავს“. სი ძინპინის მიხედვით, „ურთიერთმოყვარეობის იდეა ღრმადაა გამჯდარი ჩინელი ხალხის სულიერებაში, რაც კვლავ რჩება ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ფილოსოფიად.“⁸⁴

კონფუციანიზმის რეაქტუალიზაციასთან დაკავშირებით, ჩინური სამეცნიერო აკადემია კონფუციანურ ფილოსოფიაში მოდერნიზაციის შესაძლებლობებს ხედავს, რაც ჩინური საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის შექმნის წინაპირობა გახდებოდა.⁸⁵

ლეგიზმის, „ცისქვეშეთის,“ კონფუციანიზმის, ჩინური სახელმწიფო იდენტობისა და ჩინური საგარეო პოლიტიკის კორელაციის კვლევის პარალელურად, მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ასევე შეინიშნება დაინტერესება - ჩინური საერთაშორისო წესრიგების ისტორიული ნაირსახეობების შესახებ.

ამ თემაზე, დიუკის უნივერსიტეტის ისტორიულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პრასენჯიტ დუარამ (Prasenjit Duara) მის სტატიაში - „ჩინური მსოფლიო წესრიგი ისტორიულ პერსპექტივაში“ - განიხილა ჩინური საერთაშორისო წესრიგის არსი. ავტორის აზრით, ჩინური საიმპერატორო დინასტიების მიერ დამყარებული საერთაშორისო წესრიგი ფრიად განსხვავდებოდა ვესტფალური და ცივი ომის პერიოდების საერთაშორისო წესრიგებისგან, რადგან ის ფორმალურადაც არ წარმოადგენდა

⁸⁴ Xi Jinping's Speech in Commemoration of the 2,565th Anniversary of Confucius' Birth - Library CHINA US Focus. ბოლო ნახვა 01.28.2022. <http://library.chinausfocus.com/article-1534.html>.

⁸⁵ Quansheng, Z. The influence of Confucianism on Chinese politics and foreign policy, Asian Education and Development Studies, 6-7, 2018.

თანაბარუფლებიან სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების სისტემას. ჩინური საერთაშორისო წესრიგი მეტად პატერნალისტური და იერარქიული იყო, რომელიც მეცნიერებაში „სახარკო სისტემად“ (იგივე „ცეფენგი“) მოიხსენიება. აღსანიშნავია, რომ სახარკო სისტემის ანალოგიას დასავლური ისტორია არ იცნობს.⁸⁶

საინტერესოა, კონკრეტულად რით განსხვავდებოდა ჩინური სახარკო სისტემა დასავლური ტიპის საერთაშორისო წესრიგისგან?

სტენფორდის უნივერსიტეტის ისტორიულ მეცნიერებათა პროფესორმა და ემერიტუსმა, მარკ მენქალმა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას სცადა. მის სტატიაში - „ცინგის სახარკო სისტემა: ინტერპრეტაციული ესე“- მან აღნიშნა, რომ ჩინეთის იმპერიული სახარკო სისტემის მოდელის გააზრება ეპისტემოლოგიურ სირთულესთან არის დაკავშირებული და შეუძლებელია ამ მოდელის გაგება არსებული დასავლური პარადიგმების ფარგლებში.⁸⁷

მ. მენქალის მიხედვით, ჩინურ საერთაშორისო წესრიგში ჩინეთი ცივილიზებული საზოგადოების ადმინისტრატორი იყო, ხოლო იმპერატორი წარმოადგენდა მედიატორს ცასა და მიწას შორის; ჩინეთის იმპერატორს ბიოლოგიურ ასპექტებთან ერთად, ასევე არაბიოლოგიური (ღვთიური) მახასიათებლები გააჩნდა: ერთი მხრივ, ის იყო „სამოთხის შვილი“, ფლობდა „სამოთხის მანდატს“, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანი, რომელიც იდგა ცივილიზაციის სათავეში.⁸⁸

⁸⁶ Duara, P. The Chinese World Order in Historical Perspective, China and the World 02, no. 04, 2019. <https://doi.org/10.1142/S2591729319500238>.

⁸⁷ Mancall, M. The Ch'ing Tribute System: An Interpretive Essay, In The Chinese World Order: Traditional China's Foreign Relations, edited by John King Fairbank, Cambridge, MA and London, England: Harvard University Press, 63-89, 2013.

⁸⁸ იქვე. 63-89.

ჩინური საერთაშორისო წესრიგის თავისებურებების შესახებ საინტერესო ინფორმაციას შევხდებით წიგნში - „აშშ, ჩინეთი და მსოფლიო წესრიგისთვის ბრძოლა“. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ჩინური საერთაშორისო წესრიგი არამხოლოდ კონფუციანიზმს, არამედ არანაკლებ ძლიერ ჩინურ ფილოსოფიურ სკოლას - ლეგიზმს ეფუძნებოდა. ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ჩინური საერთაშორისო წესრიგი არა ცალკეული ფილოსოფიური სკოლის პროდუქტია, არამედ რამდენიმეს სინთეზია.⁸⁹ ნაშრომის ფარგლებში ასევე დადგინდა ჩინური საერთაშორისო წესრიგის დასასრულის პერიოდი - XX ს-ის დასაწყისი, როდესაც დასავლურმა ვესტფალიურმა სისტემამ გაფართოების უმაღლეს ფორმას მიაღწია და შესაბამისად, ჩინური საერთაშორისო წესრიგი აბსოლუტურად შთანთქა.⁹⁰

მეცნიერების გარკვეული ნაწილის აზრით, ჩინური საერთაშორისო წესრიგი უფრო მეტად იმ სივრცესთან ასოცირდებოდა, სადაც ჩინეთი წარმოდგენილი იყო, როგორც მეტაფიზიკური და ეთიკურ-კულტურული კატეგორია და არა, როგორც ტრადიციული გაგების ჰეგემონი ერი-სახელმწიფო. ეს მოსაზრება გამყარებულია იმით, რომ ჩინეთის სივრცეზე მონღოლთა და მანჯურიელთა დინასტიების მმართველობისას ჩინური სახელმწიფოებრივი ადმინისტრირებისა და კულტურის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების უგულებელყოფა ვერ მოხერხდა, რადგან აღნიშნული დინასტიებისთვისაც ჩინური სახელმწიფოებრივი მმართველობის უნარები და კულტურა იმდენად ძლიერი და ყოვლისმომცველი აღმოჩნდა, რომ იძულებულნი გახდნენ მას დამორჩილებოდნენ.⁹¹

⁸⁹ Ikenberry G. John & Wang, J. & Zhu, F. America, China, and the struggle for world order: ideas, traditions, historical legacies, and global visions, New York, NY: Palgrave Macmillan, 45-47, 2015.

⁹⁰ იქვე, 45-46; 52; 56, 2015.

⁹¹ Suisheng, Z. Rethinking the Chinese World Order: the imperial cycle and the rise of China, Journal of Contemporary China, 24:96, 961-982, 2015.

მეტად საინტერესოა ჩინური საერთაშორისო წესრიგის გეოგრაფიული კომპონენტის საკითხიც. ფაქტია, ჩინური საერთაშორისო წესრიგის დაფარვის არე აღმოსავლეთ აზიის სამეფოთა დიდ ნაწილზე ვრცელდებოდა, რაზეც მეტყველებდა რეგიონში ჩინური დამწერლობის, პროდუქციის, ბიუროკრატიული ადმინისტრირების ტრადიციისა და კულტურის გავრცელების დონე.

ჩინური საერთაშორისო წესრიგის მასშტაბის აღქმის კარგ მაგალითს ასევე ვიეტნამისა და კორეის განვითარების ისტორია წარმოადგენდა, რადგან ორივე სამეფოს მმართველობის სტრუქტურა სწორედ ჩინური სახელმწიფოებრივი ადმინისტრირების მოდელიდან გამომდინარეობდა. მათ დამწერლობასა და ენაზე ჩინური ენის გავლენასთან ერთად დამკვიდრებული იყო კონფუციანური მოხელეთა შერჩევის სისტემა. საუკუნეების განმავლობაში ჩინური საერთაშორისო წესრიგი ვრცელდებოდა იაპონიაზეც, რომლის განვითარებაზე ჩინურმა მსოფლმხედველობამ, კულტურამ და დამწერლობამ დიდი გავლენა მოახდინა.⁹²

სინოლოგები ფიქრობენ, რომ ჩინური იმპერიული საერთაშორისო წესრიგის ფუნდამენტური კვლევით შესაძლებელია თანამედროვე ჩინური მახასიათებლების საერთაშორისო წესრიგის მოდელის სამომავლო შტრიხების გამოვლენა. სინოლოგთა წრეებში ამ საკითხის გარშემო ძირითდად ორი პოზიცია გვხვდება:

მკვლევართა ჯგუფი № 1: დასავლური პოსტვესტფალიური წესრიგისგან განსხვავებით, ჩინურ საერთაშორისო წესრიგში, ძალა, ჰეგემონიის დამყარების განმსაზღვრელი ფაქტორი არ იყო. პოსტვესტფალიური წესრიგი ხასიათდებოდა იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრიდან

⁹² Suisheng, Z. Rethinking the Chinese World Order: the imperial cycle and the rise of China, *Journal of Contemporary China*, 24:96, 961-982, 2015.

ძალაზე ორიენტირებული კოლონიალური საგარეო პოლიტიკით, რომელიც საბოლოო მიზნად ისახავდა პერიფერიებში რესურსების დატაცებას და ადგილობრივებზე ზეგავლენის მოხდენას. ამ თვალსაზრისით, ჩინური საერთაშორისო წესრიგი მეტად განსხვავდებოდა. ჩინური ცივილიზაცია ძალის გამოყენების გარეშე წარმოადგენდა მეზობელი ერების მიზიდულობის ცენტრს - უფრო მეტს, ვიდრე კლასიკური გაგების ჰეგემონი. აღნიშნული დასტურდება მონღოლების (იუენის დინასტია, 1271–1368 წწ) და ჩრდილო-აღმოსავლელი მანჯურიელთა (ცინგის დინასტია, 1644–1911 წწ) მიერ ჩინეთის მართვით. ორივე დინასტია ძალდატანების გარეშე მოექცა ჩინური მსოფლმხედველობრივი ტრადიციების გავლენის ქვეშ.

მკვლევართა ჯგუფი N2: ჩინური საერთაშორისო წესრიგი დასავლური კლასიკური რეალიზმის ანალოგი ჩინური მოდელის - ლეგიზმის ანარეკლი იყო, რომელშიც ხისტი ძალა და საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგია ძალაუფლების განმსაზღვრელ ფაქტორად განიხილებოდა. ისტორიულ ჩინურ საერთაშორისო წესრიგში „ჩინეთი“ წარმოჩენილი იყო, როგორც მაღალგანვითარებული ცივილიზაცია, რომლის მიმართ მეზობელ ერებსა და ხალხებს მორჩილება უნდა გამოეხატათ. ბუნებრივია, რომ აღნიშნული დიქტომია რეგიონში „კულტურულ“ ცენტრსა და „უკულტურო“ პერიფერიას შორის უთანასწორობას გამოიწვევდა, რაც შორს დგას ჩინური პაციფისტური ფილოსოფიური სკოლების განცხადებული მსოფლმხედველობრივი პრინციპებისგან.⁹³

⁹³ Suisheng, Z. (2015) Rethinking the Chinese World Order: the imperial cycle and the rise of China, Journal of Contemporary China. 2-22.

ჩინური მახასიათებლების საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის შესახებ ზემო ხსენებულმა სამეცნიერო დისკუსიებმა, კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა ჩინეთის, როგორც საერთაშორისო სუბიექტის, სტრუქტურული ანალიზის შესწავლის საჭიროება.

1.3 ჩინეთის აღმასვლის სტრუქტურული ანალიზი (სამი კრიტიკული თეორიის მაგალითზე)

სეულის „იონსეის“ უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებისა და დიპლომატიის კურსის პროფესორი, ვუსან კიმი (Woosang Kim) და ნორვეგიაში მოღვაწე ამერიკელი მკვლევარი, სკოტ გეიტსის მიხედვით, ჩინეთის აღმასვლის შესწავლის მდიდარ თეორიულ საფუძვლებს აბრამო ფ. კენეტ ორგანსკის „ძალის გადაცემის“ თეორია გვთავაზობს. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული თეორია 60 წლის წინ შეიქმნა და რელევანტობას დღემდე არ კარგავს.

ვ. კიმა და ს. გეიტსმა ორგანსკის თეორიის ორ პოსტულატი გამოყვეს: 1) სახელმწიფოს საგარეო ძლიერების ხარისხი ქვეყნის შიდა განვითარებიდან გამომდინარეობს. ქვეყნების შიდა განვითარების დინამიკა ცვალებადია და შესაბამისად, საერთაშორისო დონეზე სახელმწიფო ძლიერების ხარისხი ამ შიდა დინამიკის ცვლილების პროპორციულად იზრდება ან კლებულობს. 2) საერთაშორისო სისტემა იერარქიულია, სადაც მხოლოდ ერთი ჰეგემონი არსებობს. ეს სისტემა ძალის გადაცემის ციკლებით ხასიათდება, როდესაც არსებული ჰეგემონის ჩანაცვლება სისტემაში აღმავალი სახელმწიფოს მიერ ხდება; ახალი ჰეგემონის დამკვიდრებას შესაძლოა თან ახლდეს სამხედრო დაპირისპირება.⁹⁴

⁹⁴ Kim, W. & Gates, S. Power transition theory and the rise of China, *International Area Studies Review*, 18(3), 219-226, 2015.


მეტი სიცხადისთვის, მნიშვნელოვანია „ძალის გადაცემის“ თეორიის იმ ნიუანსების მიმოხილვა, რომელიც წარმოდგენილია 1989 წლის იაცეკ კაგლერისა და თავად თეორიის ავტორის ერთობლივ ნაშრომში - „ძალის გადაცემა: რეტროსპექტიული და პროსპექტული ანალიზი“.

ი. კაგლერისა და ფ. ორგანსკის ტერმინოლოგიით ჰეგემონი იგივე საერთაშორისო სისტემის „დომინანტური სახელმწიფოა“ (Dominant Nation). აღნიშნული მეცნიერები ასეთ სახელმწიფოდ აშშ-ს, ხოლო მის წინამორბედად - ბრიტანეთის იმპერიას ასახელებენ.

ძალის გადაცემის თეორიის მიხედვით, საერთაშორისო იერარქიული სისტემა ინვერტირებულ პირამიდას ჰგავს, სადაც „დომინანტური სახელმწიფო“ სათავეშია, მის ქვემოთ „დიდი ძალები (ქვეყნები)“ (Great Powers), შემდგომ „საშუალო ძალები“, „პატარა ძალები“ და ბოლოს „კოლონიები“ არიან წარმოდგენილნი. „დიდი ძალების“ კატეგორია იმ ქვეყნებს მოიცავს, რომელთაც ისტორიის კონკრეტულ ფორმაციაში საკმარისი ძალა/უნარი არ აქვთ „დომინანტური სახელმწიფოს“ ადგილი დაიკავონ, თუმცა „დიდი ძალები“ ჰეგემონის ჩანაცვლების ყველაზე დიდ პოტენციალს ფლობენ. „დიდ ძალებს“ ასევე გააჩნიათ „დომინანტური სახელმწიფოს“ მიერ ინიცირებული საერთაშორისო წესრიგის ლეგიტიმაციის ფუნქცია და სწორედ ამიტომ, ამ სახელმწიფოებზე დიდი პასუხისმგებლობა მოდის - რამდენად ეფექტურად და დაბრკოლებების გარეშე იარსებებს „დომინანტი სახელმწიფოს“ ინიცირებული საერთაშორისო წესრიგი.

ავტორებმა დაასკვნეს, რომ საერთაშორისო წესრიგი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა მყარი, როდესაც „დიდი ძალების“ ნაწილი კმაყოფილია „დომინანტური სახელმწიფოს“ მიერ დადგენილი თამაშის წესებითა და რესურსების გადანაწილებით სისტემით. აქედან გამომდინარე, „დომინანტური

სახელმწიფო“ და მისი მართული საერთაშორისო წესრიგი „დიდი ძალების“ პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერის გარეშე ვერ იარსებებს.⁹⁵



ფიგურა № 1: საერთაშორისო წესრიგის სტრუქტურა.

ფიგურაზე გამოსახული წერტილები ასახავენ ქვეყნების კმაყოფილების დონეს საერთაშორისო წესრიგის მიმართ.

წყარო: Kugler, Jacek, and Abramo FK Organski. "The power transition: A retrospective and prospective evaluation." *Handbook of war studies* 1, no. 9 (1989).

„ძალის გადაცემის“ თეორიის ინვერტირებულ პირამიდაში თანამედროვე ჩინეთი „დიდი ძალების“ (GREAT POWERS) კატეგორიაში იკავებს ადგილს. აღსანიშნავია, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი მუდამ საუბრობდა, რომ ჩინეთისთვის ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი მომგებიანია და

⁹⁵ Kugler, J. & Organski, A. The power transition: A retrospective and prospective evaluation. *Handbook of war studies* 1, no. 9, 171-194, 1989.

შესაბამისად, სავსებით ლოგიკურია, რომ ჩინეთს ამ წესრიგის ლეგიტიმაცია წლების მანძილზე აწყობდა.

„ძალის გადაცემის“ თეორიულ ჩარჩოზე დაყრდნობით, ცალსახაა, რომ ამ ეტაპზე, ჩინეთი სწორედ იმ ფაზაშია, როდესაც „დიდი ძალები“ უკმაყოფილებას გამოხატავენ არსებული წესრიგის კოორდინატორის მიმართ. ყოველივე ეს მიანიშნებს „დიდი ძალის“ მიერ „დომინანტური სახელმწიფოს“ ჩანაცვლების ტრანზიციის წინაპირობების სიმპტომატიკაზე და ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის კრიზისზე თანამედროვე დროში.

უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო სისტემაში ჩინეთის აღმასვლისა და მისი ქვეყნის შესაძლო შედეგების პროგნოზირების მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობების დარგში სოციალური მეცნიერებების თეორიების გამოყენების რამდენიმე ხაზგასასმელი ფაქტი გამოვლინდა. ერთ-ერთი ასეთი ყურადსაღები მცდელობა განახორციელა პრადის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ჯერემი ალან გარლიკმა - სტატიაში - „არც ისე მარტივია: კომპლექსურობის თეორია და ჩინეთის აღმასვლა“.

სტატიაში წარმოდგენილია მოსაზრება, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ჩინეთის აღმასვლის პროცესის კვლევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე ის უმნიშვნელო ფაქტორები, რომლებზეც საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტური სკოლები სათანადო ყურადღებას არ ამახვილებენ. ამ მიზნით, სტატიაში განხილულია „კომპლექსურობის თეორია“, რომელსაც, როგორც ავტორი ამტკიცებს,

საერთაშორისო ურთიერთობებზე დაკვირვების მეთოდოლოგიად ქცევის პერსპექტივა აქვს.⁹⁶

ზოგადად, „კომპლექსურობის თეორიას“ გამოყენების ფართო დიაპაზონი გააჩნია. ის საკმაოდ პოპულარულია მენეჯმენტისა და ორგანიზაციული საქმის წარმოების, ადამიანთა ჯგუფის ქცევის სოციოლოგიისა და ეკოსისტემების ანალიზისას.

„კომპლექსურობის თეორიის“ მიხედვით, დიდი სისტემები მეტად კომპლექსური სტრუქტურებია, რომლებიც მრავალი ურთიერთდამოკიდებული ელემენტისგან შედგებიან, სადაც ეს სისტემური ელემენტები არა ცალკეულად, არამედ ერთიანად არსებობენ. აღნიშნული თეორიის ამოსავალი სწორედ ასეთ კომპლექსურ სისტემებში ურთიერთდამოკიდებულ ელემენტთა იდენტიფიცირებაა, მოსალოდნელი შედეგებისა თუ საფრთხეების მიმართ მზაობის ამაღლებისთვის.

საკუთრივ „კომპლექსური სისტემები“ ის მოცემულობებია, რომელშიც რთულია ცენტრალური მაკონტროლებელი რგოლის დადგენა. ასეთი სისტემა შეიძლება იყოს ნებისმიერი, რომელშიც მრავალ ელემენტს შორის სპონტანური ურთიერთკავშირის ალბათობა არსებობს. გარკვეულ შემთხვევებში ამ სისტემების ელემენტები ხშირად სწრაფი ადაპტაციისა და სიტუაციურად მოქმედების უნარით ხასიათდებიან.

„კომპლექსურობის თეორიას“ ადარებენ „ქაოსის თეორიას.“ ამ უკანასკნელის მიხედვით კომპლექსური სისტემა (მაგალითად, ეკოსისტემა) სისტემურ ელემენტებს შორის შემთხვევითი ურთიერთმიმართებებით იმართება. ასეთ სისტემებში უმნიშვნელო ელემენტების აქტივობასაც კი დიდი სისტემური (მასშტაბური) ცვლილების ინიცირება შეუძლია და სისტემის

⁹⁶ Garlick, J. Not So Simple: Complexity Theory and the Rise of China China Report, 2016.

შიგნით სრულიად არაპროგნოზირებადი მოვლენების განვითარების ხელშეწყობა - „პეპლის ეფექტი.“

მიუხედავად იმისა, რომ „კომპლექსურობის თეორია“ სოციალურ მეცნიერებებში დიდი სისტემების ანალიზის აპრობირებული მეთოდია, ჯ. გარლიკის აზრით, ამ თეორიას ჯერ საკმარისი ცდა არ გაუვლია, რათა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის კვლევის მეთოდად დამკვიდრებულიყო, თუმცა, ამ ეტაპზე, ექსპერიმენტის სახით შეიძლება მისი გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსური სისტემების ანალიზისთვის. ამ მიზნით, ავტორმა მის ნაშრომში ჩინეთის აღმასვლის ფენომენი „კომპლექსურობის თეორიის“ ოთხი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტის ჭრილში განიხილა:

❖ მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი № 1). არასწორხაზოვნება (non-linearity):

გულისხმობს კომპლექსურ სისტემებში ელემენტებს შორის ფარული და შეუმჩნეველი ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ დიდ სისტემებში მოვლენების განვითარების პროცესებზე. ამ მიდგომის მიხედვით, სისტემებში მოვლენათა განვითარების ნაკადი არასწორხაზოვანია.

➤ „არასწორხაზოვნების“ სქემის მიმდინარეობა საერთაშორისო ურთიერთობებში:

სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ჩინეთისა და აშშ-ის სამხედრო აქტივობები » საერთაშორისო მედიის მხრიდან მოვლენების გაშუქება » მოვლენების გაშუქებაზე ჩინეთისა და აშშ-ის სამთავრობო და შიდა საზოგადოებრივი რეაქციები (განწყობები) » ჩინეთ-აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაუარესება ან/და სამხედრო დაპირისპირება.

- „არასწორხაზოვნების“ მეთოდის გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსური სისტემის ანალიზისას:


საერთაშორისო მედიის (სისტემის ელემენტი №.1) მიერ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში (სისტემის ელემენტი №.2) ჩინეთსა (სისტემის ელემენტი №. 3) და აშშ-ის (ელემენტი №.4) სამხედრო აქტივობების გაშუქებაზე (ელემენტთაშორისი ურთიერთმიმართების შედეგი №.1) ჩინეთისა და აშშ-ს სამთავრობო (სისტემის ელემენტი №.4) და საზოგადოებრივი (სისტემის ელემენტი №.5) რეაქციები (ელემენტთაშორისი ურთიერთმიმართების შედეგი №.2).

დასკვნა: ზემოხსენებულ მოვლენათა განვითარებაზე დაყრდნობით, ჩინეთ-აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაუარესება ან/და სამხედრო ესკალაცია სისტემის დასრულებული შედეგია, რომელიც დადგა სისტემურ ელემენტთა არასწორხაზოვანი/არაპირდაპირი ურთიერთქმედების შემდგომ.

- მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი №. 2). უკუკავშირი (feedback)/უკუკავშირთა უსასრულო ციკლი: მიზნად ისახავს სისტემებში იმ გამღიზიანებლების იდენტიფიცირებას, რომლებიც კონკრეტული მოვლენის პროვოცირებას ახდენენ. ეს მიდგომა მსგავსია სოციოლოგიურ მეცნიერებებში „თოვლის გუნდის ეფექტთან“, რომელიც გულისხმობს ერთი მოვლენის შედეგად სხვადასხვა მოვლენის წარმოქმნას და მათ უფრო დიდ მასშტაბებში გადასვლას.

აღსანიშნავია, რომ სისტემურ გამღიზიანებელთა სრული ურთიერთმიმართებების დადგენა ძირითადად კომპლექსურ სამუშაოებთანაა დაკავშირებული, რადგან გამღიზიანებლები შესაძლოა უსასრულოდ ურთიერთქმედებდნენ.

- გამღიზიანებელთა უკუკავშირის სამაგალითო სქემა:



- მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი №. 3). აღმოცენება (Emergence) - ეს მიდგომა ყურადღებას ამახვილებს სისტემის მიკრო დონეებში არსებულ პროცესებზე, რომლებიც ხელს უწყობენ სისტემის მაკრო დონეზე ახალი გარემო ფაქტორების აღმოცენებას.

➤ აღმოცენების სამაგალითო სქემა:

კლიმატი » კლიმატის ცვლილება » საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ახალი ელემენტის დაბადება » დასავლეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილება.

- მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი №. 4). კომპლექსური ადაპტაციური სისტემები (CAS): აპრიორი განიხილავს დიდ სისტემას მრავალი თვითორგანიზებადი და ადაპტაციური ელემენტების ურთიერთმიმართების სივრცედ. „CAS“-ის ჭრილში, სისტემა დეცენტრალიზებულია და შესაბამისად, მისი ფუნქციონირება დამოკიდებული არაა ცენტრალიზებული რგოლის არსებობაზე.

➤ „CAS“ (მაგალითები):

ეკოსისტემები; ორგანიზაციები; ქალაქები; ჭიანჭველების კოლონიები; ადამიანის იმუნური სისტემა და ა.შ.

„კომპლექსურობის თეორიაში“ „CAS“-ს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან სისტემაზე დაკვირვებისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სისტემის მიკრო დონის ავტონომიურ პროცესებზე, რომლებიც ზემოქმედებას განიცდიან სისტემის ახალი ფენომენების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ანალიზისას „CAS“-ის ეს მიდგომა ერთობ პრობლემურია (თეორიულ დონეზე), რადგან სისტემის მაკრო დონიდან (მაგ: მსოფლიო წესრიგი) ავტონომიური პროცესების გამოცალკევება, როგორც დამოუკიდებელი ელემენტებისა, მიზანშეწონილი არაა. თავად ჯ. გარლიკიც სკეპტიკურია „CAS“-ის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემების კვლევის მეთოდებში ცალკეულად დანერგვის მიმართ.⁹⁷

ჯ. გარლიკის ექსპერიმენტულმა მიდგომებმა დაბადა შეკითხვა - რამდენად გამოდგება „კომპლექსურობის თეორიის“ ოთხი მიდგომა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემების ანალიზისას?

⁹⁷ Garlick, J. Not So Simple: Complexity Theory and the Rise of China, China Report, 293-299, 2016.

საერთაშორისო ურთიერთობების დარგისადმი ზემოხსენებული ექსპერიმენტული მიდგომა სავსებით გამართლებულია შემდეგი თეზისის ჭეშმარიტების შემთხვევაში: თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები კომპლექსური სისტემაა. სისტემური მიკრო და მაკრო მოვლენების შესწავლა და ურთიერთმიმართებების დადგენა უფრო მეტ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტებს მოითხოვს, ვიდრე საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტურ თეორიებშია შემოთავაზებული.

ზემოხსენებული თეზისის დაცვის მიზნით, ჯ. გარლიკის სტატიაში ასევე წარმოდგენილია ცხრილი საერთაშორისო ურთიერთობების სამი დომინანტური სკოლის მიერ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ჩინეთის აღმასვლის ფენომენის შესწავლასთან დაკავშირებით. ცხრილში გამოყენებულია კენეტ უოლცის ნეორეალიზმი, ალექსანდრ ვენდტის კონსტრუქტივიზმი და ჯონ მერშაიმერის თავდასხმითი რეალიზმი (იხ. ცხრილი № 2).

საერთაშორისო სისტემაში ჩინეთის აღმასვლა			
	ნეორეალიზმი	თავდასხმითი რეალიზმი	კონსტრუქტივიზმი
კონცეფცია	საერთაშორისო სისტემის <u>ანარქიულობა</u> სახელმწიფოებს იძულებულს ხდის დაიცვან მხოლოდ საკუთარი ეროვნული ინტერესები	საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა იწვევს სახელმწიფოთა აგრესიულ ქცევას	საერთაშორისო ურთიერთობები კონსტრუირებულია ისტორიული და სოციალური გარემოებებით
ანარქიის შედეგი/გავლენა	ზომიერი და თავშეკავებული პოლიტიკის განხორციელებით, საერთაშორისო სუბიექტი ცდილობს საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას/შენარჩუნებას	აღმავალი ძალის მიზანია დომინირება. შესაბამისად, საერთაშორისო სისტემაში დგება არსებულ ჰეგემონთან დაპირისპირების გარდაუვალი მომენტი	ანარქიული საერთაშორისო სისტემა კი არ განსაზღვრავს სახელმწიფო ქცევას, არამედ - თავად სახელმწიფოები
ჩინეთის აღმასვლის	საერთაშორისო სისტემაში „გადარჩენის“ მიზნით, ჩინეთი	ჩინეთ-აშშ-ს შორის სამხედრო კონფლიქტი გარდაუვალი იქნება	ჩინეთი საერთაშორისო სისტემაში ახალ ელემენტებს

ინტერპრეტაცია	საკუთარ ეროვნულ ინტერესებს დაიცავს		შემოიტანს - მისი აღმასვლა მშვიდობიანია იქნება
ჩინეთის აღმასვლის შედეგების პროგნოზი	საერთაშორისო სისტემაში „გადარჩენის“ ინსტინქტი ჩინეთს იძულებულს ხდის განაგრძოს სხვა სახელმწიფოებთან კონკურენცია. გრძელვადიანი შედეგები უცნობია	ჰეგემონიისთვის ჩინეთ-აშშ შორის იქნება შეიარაღებული დაპირისპირება	არანაირი ომი: საერთაშორისო სისტემა გაივლის გარკვეულ მოდიფიკაციას და მასზე (შესაძლოა) აისახოს ჩინური მახასიათებლები

ცხრილი №.2: საერთაშორისო სისტემაში ჩინეთის აღმასვლა.

წყარო: Garlick, J. (2016). Not So Simple: Complexity Theory and the Rise of China. China Report.

სახეზეა, რომ ცხრილ №.2-ში წარმოდგენილი სკოლები ფლობენ შესაბამის თეორიულ რესურსს ჩინეთის აღმასვლასთან დაკავშირებულ მოვლენებზე დაკვირვებისთვის, თუმცა, ამავდროულად, ჩნდება განცდა, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემები საჭიროებენ პროცესებზე დაკვირვების უფრო მრავალფეროვანი მიდგომების არსებობას.

„კომპლექსურობის თეორია“ არა ძველი პარადიგმების ჩანაცვლების, არამედ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში კომპლექსური სისტემების ახალი ანალიტიკური მეთოდებით გამდიდრებას ისახავს მიზნად, რაც სასარგებლოა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის თეორიული განვითარებისა და ჩინეთის შემდგომი კვლევისთვის.

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ჩინეთის აღმასვლის სტრუქტურული ანალიზის ექსპერიმენტული მიდგომის დემონსტრირების საჭიროების კიდევ ერთი მაგალითია ცნობილი იტალიელი მარქსისტის, ანტონიო გრამშის „კულტურული ჰეგემონიის თეორია.“

ა. გრამშის მიხედვით, კულტურული ჰეგემონია ძალაუფლების ყველაზე ეფექტური და ხანგრძლივი ინსტრუმენტია, რადგან ეკონომიკურ საკითხთან ერთად, კულტურას, კლასებს შორის ურთიერთობების განმსაზღვრელ ფაქტორად მოიაზრებს.

ა. გრამშის ნაშრომებში⁹⁸ კულტურა წარმოდგენილია მუდამ მოქმედ, ცოცხალ და ტრანსფორმაციულ პროცესად, სადაც ნებით თუ უნებლიეთ, ყველა ინდივიდი მონაწილეობს. კულტურა ასევე ის რელიეფია, რომელშიც ხდება ძალის აკუმულირება.

ინტერესმოკლებული არაა ვიცოდეთ, რომ იტალიელი მარქსისტის აზროვნებაზე და საკუთრივ, კულტურული ჰეგემონიის თეორიის განვითარებაზე დიდი გავლენა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის წარმატების წინაპირობებმა მოახდინეს. ამ მასშტაბური ისტორიული პროცესის ანალიზისას, ა. გრამშიმ გამოავლინა რევოლუციის წარმატების მიზეზი და დაასკვნა, რომ ცარისტულ რუსეთში სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობდა - სწორედ ის რგოლი, რომელიც მოქალაქეებში ხელისუფლების ძალაუფლების ლეგიტიმაციას ახდენს.

⁹⁸ ა. გრამში ავტორია „საპრობილის ჩანაწერებისა, რომელიც მოცულობა აღემატება 3000 გვერდს. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება ერთხმად აღიარებს, რომ „საპრობილის ჩანაწერებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კულტურული მარქსიზმის და პოლიტიკურ მეცნიერებებში კულტურათა კვლევების განვითარებაზე.

ა. გრამშის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, ძალაუფლების ლეგიტიმაციას ასევე სჭირდება სახელმწიფოში ძლიერი პოლიტიკური საზოგადოების არსებობა. სახელმწიფოში პოლიტიკური საზოგადოება ძალაუფლების ლეგიტიმაციას ხისტი, ხოლო სამოქალაქო საზოგადოება - რბილი ძალით ახორციელებს. ა. გრამში სამოქალაქო საზოგადოების კატეგორიაში მოიაზრებდა რელიგიურ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს, კულტურულ ინსტიტუტებს, გამომცემლობებს, მედია და მოქალაქეთა გაერთიანებებს, ხოლო პოლიტიკურ საზოგადოებაში - პოლიტიკურ, შეიარაღებულ, საპოლიციო და იურიდიულ-ადმინისტრაციულ ძალებს.

როგორც გამოჩნდა, ა. გრამში სამოქალაქო და პოლიტიკურ საზოგადოებას ერთმანეთისგან მკვეთრად განასხვავებდა, მაგრამ ამავედროულად მათ ერთმანეთთან თანაარსებობის გარეშე ვერ წარმოიდგენდა. საქმე იმაშია, რომ ა. გრამში სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნებაში აღიარებდა როგორც ხისტ, ასევე რბილ ძალის სიმბიოზის არსებობას. სწორედ ამ პოზიციისგან გამომდინარეობს გრამშისეული განსაზღვრების ძალაუფლების ფორმულაც: $\text{ჰეგემონია} = \text{თანხმობა} + \text{იძულება}$.

ა. გრამშის დეფინიციით, სამოქალაქო საზოგადოება რიგით მოქალაქეებს რბილი ძალის (კულტურა) მეშვეობით უზიძგებს გამოხატონ ნებაყოფლობითი თანხმობა ხელისუფლების ჰეგემონური ფორმის მიმართ, ხოლო პოლიტიკური საზოგადოება ახდენს ძალაუფლების ლეგიტიმაციას ხისტი და ძალისმიერი მეთოდებით.

ხისტი და რბილი მეთოდებით სოციალურ კლასებს შორის დროებითი ალიანსის ჩამოყალიბებას ა. გრამში უწოდებდა „ისტორიულ ბლოკს.“

მოგვიანებით, ა. გრამშის „ისტორიული ბლოკის“ ცნების მნიშვნელობა მეცნიერ-მკვლევართა ნაწილის მიერ უფრო მეტად გაიშალა და გამოვლინდა მსოფლიო ისტორიაში „საერთაშორისო ისტორიული ბლოკების“ არსებობის შემთხვევები, სადაც უკვე სახელმწიფოები მორჩილებას ირიბად გამოხატავენ საერთაშორისო ურთიერთობების ჰეგემონური მოდელის მიმართ.⁹⁹

კულტურული ჰეგემონიის თეორიის ჭრილში განსაკუთრებული მნიშვნელობა საზოგადოებაში ინტელექტუალების როლს ენიჭება. ა. გრამში ინტელექტუალებს არამხოლოდ ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენლებად მოიაზრებდა, არამედ უფრო ფართო პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლებად: პროფესორები, აკადემიკოსები, ჟურნალისტები, მწერლები, მსახიობები, სასულიერო პირები, ტექნიკოსები, პოლიტიკოსები, სამოქალაქო მოსამსახურეები, იურისტები, არმიის ოფიცრები.

ა. გრამშის დაკვირვებით, ინტელექტუალები პასუხისმგებლები იყვნენ საზოგადოებაში კულტურული გარემოსა და მსოფლმხედველობის - „*Weltanschauung*“ ჩამოყალიბებაზე. ამრიგად, თუ მუშათა კლასი სახელმწიფოში მატერიალურ კეთილდღეობას უზრუნველყოფდნენ, ინტელექტუალები - ცოდნასა და კულტურას აწარმოებდნენ.¹⁰⁰

სახელმწიფოში კულტურული ჰეგემონიის დამყარებაში ასევე დიდი როლი მიუძღვით სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, საჯარო დაწესებულებებს, პარლამენტს, საკანონმდებლო აქტივობებს, პოლიტიკურ

⁹⁹ ძნელაძე, ივლიანე. „ანტონიო გრამში: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის დიებაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკური კვლევების სამეცნიერო ჟურნალი „პოლიტო/Logos, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 6, 2021.

¹⁰⁰ Hoare, G. & Sperber, N. An Introduction to Antonio Gramsci: His Life, Thought and Legacy, London: Bloomsbury Academic, 30, 2016.

პარტიებს, ეკლესიებს, პრესას, რადიოს, თეატრს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, სალიტერატურო საზოგადოებებს, მათ შორის არქიტექტურასა და ურბანიზმს.¹⁰¹

ილუსტრაციისთვის, ა. გრამშის ძალაუფლების კონცეფციის შედარება შესაძლებელია მითოლოგიურ არსებასთან - კენტავრთან. კენტავრის სხეულის ზედა ნაწილი ანთრომორფულია და მეტაფორულად მიუთითებს ადამიანურ რაციონალიზმსა და მორჩილებისკენ/თანხმობისკენ მისწრაფებაზე, ხოლო მეორე ნაწილი - ცხოველური, ხისტ ძალას გამოხატავს, რაც მისი არსებობისთვის სავსებით დამახასიათებელი ბუნებრივი მდგომარეობაა.

ა. გრამშის „საპყრობილის ჩანაწერების“ მკვლევრების ჯორჯ ჰოარეს და ნატან სპერბერის აზრით, იტალიელი მარქსისტის ნააზრევი იმდენად მრავალკომპონენტურია, რომ მათი ერთ კონკრეტულ დასკვნამდე დაყვანა შეუძლებელია. ა. გრამშის ინტელექტუალური დანატოვარი მუდამ იძლევა ახალი აღმოჩენების საშუალებას.¹⁰²

ა. გრამშის კონცეფციების სხვადასხვა დისციპლინების პრიზმებიდან ინტერპრეტაციის მრავალმა შესაძლებლობამ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებს უზიბგა ინტერესი გამოეხატათ მისი თეორიებით მიმართ.

1983 წელს პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილმა პროფესორ ემერიტუსმა რობერტ კოქსმა გამოაქვეყნა გახმაურებული სტატია - „გრამში, ჰეგემონია და საერთაშორისო ურთიერთობები: ესეისტიკის მეთოდი.“ სტატიაში აღინიშნა, რომ ა. გრამშის ჰეგემონიის ცნებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეიტანოს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის შემდგომი განვითარებისთვის. საქმე იმაშია, რომ რ. კოქსისთვის ა. გრამშის თეორიული შესწავლის ობიექტი

¹⁰¹ Hoare, G. & Sperber, N. An Introduction to Antonio Gramsci: His Life, Thought and Legacy, London: Bloomsbury Academic, 30, 2016.

¹⁰² იქვე.

არამხოლოდ სოციალური, არამედ საერთაშორისო ურთიერთობებიც იყო. თავად იტალიელ მარქსისტს ღრმად სწამდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები სოციალური კონფლიქტების სივრცის ანარეკლს წარმოადგენდა.¹⁰³

სწორედ ა. გრამშის ჰეგემონიის თეორიაზე დაყრდნობით, რ. კოქსმა კულტურული ჰეგემონიის ცნება შემდეგი ფორმით განმარტა: მსოფლიო ჰეგემონია შიდა დონეზე დომინანტური სოციალური კლასის მიერ დამყარებული ჰეგემონური მოდელის გაფართოებაა მისი სახელმწიფოებრივი საზღვრების გარეთ. შიდა დონეზე ამ ჰეგემონურ მოდელში ფუნქციონირებადი ეკონომიკა, პოლიტიკა, ტექნოლოგია და კულტურა საერთაშორისო დონეზე სხვა ქვეყნების იმიტაციის ობიექტი ხდება. ასეთი ფორმის მიზანძვა ყველაზე აქტიურად პერიფერიული ქვეყნების მიერ ხორციელდება, თუმცა უშედეგოდ, რადგან პერიფერიებს ჰეგემონური ქვეყნების მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის პროცესი ჯერ არ გაუვლიათ და შესაბამისად, მათ მომწიფების დამაკვაყოფილებელი დონე არ აქვთ. მსოფლიო ჰეგემონია ასევე წარმოდგენილია იმ საერთაშორისო ინსტიტუციების, უნივერსალური ნორმებისა და მექანიზმების სახით, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოთა ქცევის წესების ჩამოყალიბებაზე, სადაც ჰეგემონის ინტერესების ავანგარდში (გლობალური) სამოქალაქო საზოგადოებაა.¹⁰⁴

დასავლეთ ევროპის ინტელექტუალური ისტორიის მკვლევრის, უოლტერ ლ. ადამსონის აზრით, ა. გრამშის ჰეგემონიის კონცეფციამ შეძლო კლასიკური მარქსიზმის თეორი ლაქების ამოვსება, რადგან ძალაუფლების

¹⁰³ Cox, R. W. Gramsci, Hegemony and International Relations: An Essay in Method, Millennium, 58. 1983.

¹⁰⁴ იქვე, 133-137.

დამყარების არაეკონომიკურ ფაქტორებზე (კულტურა, იდეოლოგია, ენა და სხვა) გაამახვილა ყურადღება.¹⁰⁵

XX საუკუნის 30-იან წლების ა. გრამშის კონცეფციები შესაძლებელს ხდის ჩინეთის აღმასვლის სტრუქტურული ანალიზის თაობაზე ჩამოყალიბდეს რამდენიმე პოსტულატი:

- ჩინეთის მსოფლიო ჰეგემონიის სტატუსის მიღება დიდწილად დამოკიდებული იქნება საერთაშორისო დონეზე ჩინური კულტურისა და მსოფლმხედველობის გავრცელების ხარისხზე;
- საერთაშორისო დონეზე ჩინური კულტურისა და მსოფლმხედველობის გავრცელებას ლეგიტიმაცია საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოებამ (ცნობილი ინტელექტუალები, მწერლები, ხელოვანები, სამეცნიერო ცენტრები და ა.შ) და ინსტიტუტებმა (საერთაშორისო ორგანიზაციები, კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ) უნდა მიანიჭონ;
- ჩინეთის მსოფლიო ჰეგემონიის სტატუსის მიღებას ჩინეთის მიერ კულტურული ჰეგემონიის საერთაშორისო დონეზე გავრცელება დააჩქარებს;
- თუ ჩინეთი გახდება მსოფლიო ჰეგემონი კულტურული ჰეგემონიის დამყარების ინსტრუმენტების გამოყენების გარეშე, მისი პირველობა მხოლოდ მცირე დროითი დიაპაზონით განისაზღვრება, რადგან ხანგრძლივი ჰეგემონია დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ღრმადაა გამჯდარი საერთაშორისო საზოგადოებაში ჰეგემონი სახელმწიფოს კულტურული და მსოფლმხედველობრივი პოზიციები.

¹⁰⁵Adamson, W. Hegemony and Revolution: Antonio Gramsci's Political and Cultural Theory, 170-180, 1980.

თავი II. XXI საუკუნეში ჩინური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარების ტენდენციები

2.1 საერთაშორისო ურთიერთობათა არადასავლური თეორიები

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ჩინეთის აღმასვლის ფონზე, ჩინურ აკადემიაში ერთმნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის განვითარების მიმართ. შექმნილმა გარემოებამ ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობების „ჩინური სკოლის“ თაობაზე აქტიური სამეცნიერო განხილვების ინიცირებას, თუმცა ასეთი მასშტაბური პროექტის სისრულეში მოყვანას წინ სხვადასხვა სირთულე დახვდა.

პირველ სირთულეს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობათა დასავლური თეორიების პაროქიალიზმი - მისი აღმატებული მდგომარეობა მსოფლიოს დანარჩენი ფილოსოფიების მიმართ. ეს სირთულე იწვევს მეორე, უფრო კომპლექსურ მოვლენას - დასავლური საერთაშორისო ურთიერთობების სკოლების ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური არათავსებადობა არადასავლური კატეგორიის ცოდნასთან. მესამე სირთულეა, ზოგადად, პოლიტიკურ მეცნიერებებში და საერთაშორისო ურთიერთობებში ობიექტივიზმის პრობლემა.

ზემოხსენებულმა სამმა სირთულემ მნიშვნელოვანწილად შეაფერხა საერთაშორისო ურთიერთობების არადასავლური თეორიების განვითარების პერსპექტივები (ზოგიერთი მკვლევარი იყენებს ტერმინს - პოსტდასავლური ან გლობალური საერთაშორისო ურთიერთობების თეორია).

აღნიშნულ თეორიულ ჭრილში, რა თქმა უნდა, უაღრესად საინტერესოა ჩინეთის ფენომენის გაშუქება. საკითხი შედარებით ახალია, მკვლევრისთვის

ეგზოტიკურია და შემდგომი განვითარებისათვის სოლიდურ რესურსსაც ფლობს.

საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორის, დევიდ კენგის დაკვირვებით არადასავლური ქვეყნების (ავტორს მხედველობაში აქვს კონკრეტულად აზიის რეგიონი) ისტორიული და კულტურული სპეციფიკის სრულად აღქმა ისეთ გავლენიან სკოლებს არ შეუძლიათ, როგორიცაა რეალიზმი და ლიბერალიზმი.¹⁰⁶ აღსანიშნავია, რომ დ. კენგის პერსპექტივას მსოფლიოში აღიარებული ინდური წარმოშობის პროფესორიც ამიტავ აჩარია (Amitav Acharya) იზიარებს, რომლის მტკიცებით თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა ყოველგვარი არადასავლურის მარგინალიზაციას ეწევა.¹⁰⁷

პრობლემის ამგვარად განხილვა გვაბრუნებს 80-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობების თეორიათა სამეცნიერო გადააზრების მნიშვნელოვან ეპიზოდთან - ე.წ. მესამე დებატთან. ეს პერიოდი იმით გამოირჩეოდა, რომ მეცნიერ-მკვლევრები მეტად დაინტერესდნენ ცოდნის იმ სფეროებით, რომლებიც მაქსიმალურად იქნებოდა დაცლილი სუბიექტივიზმისგან.

მესამე დებატი ფორმალურად 1989 წელს გაიხსნა, როდესაც გამოქვეყნდა იოსეფ ლაპიდის ცნობილი სტატია - *„მესამე დებატი: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის პერსპექტივები პოსტპოზიტივიზმის ეპოქაში.“* მესამე დებატის გაჩენამ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი

¹⁰⁶ Noesselt, N. Is There a 'Chinese School' of IR? SSRN Scholarly Paper. Rochester, NY: Social Science Research Network, <https://doi.org/10.2139/ssrn.2134863>. 8-9, 2012.

¹⁰⁷ Acharya, A. Global International Relations (IR) and Regional Worlds: A New Agenda for International Studies, *International Studies Quarterly* 58, no. 4, <https://doi.org/10.1111/isqu.12171>. 647, 2014.

თეორიების მიმართ სკეპტიკურად განწყობილ მკვლევრებს საშუალება მისცა ეწარმოებინათ ღია დებატი რეალიზმის, ლიბერალიზმისა და სტრუქტურალიზმის (ასევე მათი ნეო-ვარიაციები) სკოლის წარმომადგენლებთან. ხშირად, ამ პერიოდის მკვლევრებს მემამბოხეებად ან დისიდენტებად მოიხსენიებენ.

მესამე დებატი მოიცავდა პოზიტივიზმსა და პოსტპოზიტივიზმს შორის აქტიურ დებატს, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამეცნიერო დაკვირვების მეთოდები და ჰიპოთეზების დაშვების საზრისიანობა. დებატი ფაქტობრივად ნიშნავდა ღია შეტევას XX ს-ის ფუნდამენტური დისკურსების მიმართ.¹⁰⁸

ი. ლაპიდმა ასეთი სამი დებატი გამოყო:

1. 1920 – 1930 წწ. იდეალიზმი - რეალიზმი;
2. 1950-1960 წწ. ისტორია - მეცნიერება;
3. 1980 წ. პოზიტივიზმი - პოსტპოზიტივიზმი.¹⁰⁹

მესამე დებატის პერიოდში წინა პლანზე რელატივიზმის ცნება წამოვიდა. პოსტპოზიტივისტებისათვის რელატივიზმი საკმაოდ ძლიერ არგუმენტი იყო, რომ პოზიტივიზმის აბსოლუტური ემპირიციზმი გაკრიტიკებულიყო.

რელატივიზმის მიხედვით, შეუძლებელია სახელმწიფოთა ქცევის გაზომვა/ანალიზი ერთიანი, მეცნიერულად შეთანხმებული სტანდარტით. სწორედ ამიტომ, პოსტპოზიტივიზმი ხაზს უსვამს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში პლურალიზმის არსებობის საჭიროებას. ი.

¹⁰⁸ Balzacq, T. & Baele, S. The Third Debate and Postpositivism, Oxford Research Encyclopedia of International Studies, 1, 2014. <https://doi.org/10.1093/acrefore/9780190846626.013>.

¹⁰⁹ Lapid, Y. The Third Debate: On the Prospects of International Theory in a Post-Positivist Era, International Studies Quarterly 33, no. 3, 236, 1989. <https://doi.org/10.2307/2600457>.

ლაპიდის მტკიცებით, პლურალიზმი ენდემური თეორიების განვითარებისთვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა.¹¹⁰

80-იანი წლების ინერციამ საერთაშორისო ურთიერთობების არადასავლური თეორიების მიმართ ინტერესი გამოკვეთა, რომლებსაც თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისთვის უნდა შეეთავაზებინა დასავლური ისტორიისგან „დაცლილი“, ადგილობრივი მსოფლმხედველობების თეორიად განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები.

თანამედროვე დროში, ზემოხსენებული შინაარსის დებატის ერთ-ერთი ინიციატორი ა. აჩარიაა, რომელმაც ფართო სამეცნიერო წრეებში „გლობალური საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის“ (global IR) ჩამოყალიბების საკითხი წამოაყენა.

„Global IR“-ის მთავარი მიზანი არსებული საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის გამრავალფეროვნებაა. ეს გულისხმობს თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში სხვადასხვა ქვეყანაში აღმოცენებული სკოლებისა თუ თეორიების წარმომადგენლობის ზრდის ხელშეწყობას.

ა. აჩარიას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა დასავლური პროდუქტია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც ისტორიული

¹¹⁰ Lapid, Y. The Third Debate: On the Prospects of International Theory in a Post-Positivist Era, *International Studies Quarterly* 33, no. 3, 243-244, 1989. <https://doi.org/10.2307/2600457>.

მოცემულობა, დასავლეთში არ ჩასახულა, რადგან მანამდე არსებობდნენ „სხვა და უფრო ძველი ცივილიზაციები - ინდური, ჩინური და ისლამური.“¹¹¹

წამოყენებული პრობლემატიკის ფარგლებში, ა. აჩარიამ შეიმუშავა მომავალი, უფრო ეგალიტარული საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპები და ხედვები:

1. **პლურალისტული უნივერსალიზმი** - წარმოადგენს დასავლურცენტრული პარტიკულარისტული უნივერსალიზმის საწინააღმდეგო ხედვას. ა. აჩარიას აზრით, დასავლური იმპერიალიზმის ამოსავალი წერტილი იყო სწორედ პარტიკულარისტული უნივერსალიზმის გავრცელება, რომელსაც ავტორი ეგალიტარული საერთაშორისო ურთიერთობების ხელის შემშლელ ფაქტორად მოიაზრებს.
2. **მსოფლიო ისტორია** - ავტორის შეფასებით, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა მოვლენების შეფასებას ახდენს მხოლოდ დასავლური ისტორიის პრიზმიდან და არა საერთო ისტორიის პერსპექტივიდან. მაშ, როგორ უნდა მოხდეს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში მსოფლიო ისტორიის გაკვეთილების ასახვა? ა. აჩარიას აზრით, მომავალი საერთაშორისო ურთიერთობები უნდა ეყრდნობოდეს, როგორც დასავლური, ასევე არადასავლური ისტორიული გამოცდილების სინთეზს.
3. **ცოდნის დივერსიფიცირება** - ავტორის ნააზრევში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო

¹¹¹ Acharya, A. Towards a Global IR?, in McGlinchey, Stephen, Rosie Walters & Christian Scheinpflug, International Relations Theory, Bristol: E-International Relations Publishing. 76-78. 2017. <https://www.e-ir.info/publication/international-relations-theory/>.

ურთიერთობათა დისციპლინაში არსებული ცოდნის შემდგომ დივერსიფიცირებას, რადგან „global IR“-ის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიული ცოდნის შემდგომი განვითარება და აზროვნების ლოგიკის დიაპაზონის ზრდაა.

4. **ახალი რეგიონალიზმი** - ერთი შეხვედრით რეგიონალიზმი თითქოს გლობალიზმის საწინააღმდეგოა, თუმცა ავტორის აზრით, შესაძლებელია ისეთი რეგიონალიზმის ინიცირება, რომელიც არამხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული სივრცის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციო-კულტურულ განზომილებას მოიცავს, არამედ პასუხისმგებელი იქნება მრავალ რეგიონს შორის ურთიერთობების შედეგად გლობალური არქიტექტურის კონტურების ჩამოყალიბებაზე.
5. **მსოფლმხედველობითი ღიაობა** - გულისხმობს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ყოველგვარი მონომოდალიზმის აღკვეთას/შეჩერებას.
6. **ძალის პრიმატის ლოგიკის ნიველირება** - უახლესი ისტორიის განმავლობაში და დღემდე, საერთაშორისო ურთიერთობებში ერი-სახელმწიფოს სტატუსი განისაზღვრება ძალის კომპონენტით, რაც პირდაპირ თუ ირიბად აისახება საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინაზეც. საქმე იმაშია, რომ არსებულ საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინაში ე.წ. მესამე სამყარო ან გლობალური სამხრეთი (ქვეყნების ნუსხა, რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული ანგარიშგასაწევი საერთაშორისო აქტორის სტატუსი) დიდ წილად თამაშგარე მდგომარეობაში რჩებიან რაიმე სახის სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას. ა. აჩარიას აზრით, ასეთი დიფერენციაცია დიდ შეცდომას

წარმოადგენს, რადგან სწორედ მარგინალიზებულ ქვეყნებში არაერთხელ დაიბადა გლობალური კეთილდღეობის ხელისშემწყობი აზრი/იდეა. მაგალითად, მსოფლიო ბანკის დაარსების ავტორი ჩინეთში „გომინდანის“ დამაარსებელი სუნ იატსენი იყო.¹¹² ატომური იარაღის ექსპერიმენტების აკრძალვის საკითხი ინდოეთის პირველმა პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ წამოაყენა. გაეროს მიერ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მიღებაზე უდიდესი როლი შეასრულა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულმა პროგრესმა და გამოცდილებამ.¹¹³

ზემოხსენებულ პრინციპებსა და ხედვებზე დაყრდნობით, ა. აჩარიამ „მულტიპლექსური მსოფლიოს“ (Multiplex World) შექმნის იდეა წამოაყენა. ავტორის თქმით, „მულტიპლექსურ მსოფლიოში“ საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული „G“ მოდელების (მაგ, დიდი ოცეული (G20), დიდი შვიდიანი (G7) და სხვ.) ფორმირების ტენდენცია და პროცესები „G +“ განზომილებაში უნდა გადავიდეს. საკუთრივ სიტყვა - „მულტიპლექსური“ გულისხმობს მრავალმხრივობას და განიმარტება სისტემად, რომელიც შედგება მრავალი დინამიკური და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებული ელემენტისგან.¹¹⁴

საყურადღებოა, რომ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ა. აჩარიას მსოფლიო წესრიგის იდეას, რადგან

¹¹² იმპერიული ჩინეთის უკანასკნელი დინასტიის დამხობის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში ჩინეთი მესამე სამყაროს ქვეყნების რიგებში იყო.

¹¹³ Acharya, A. Towards a Global IR? in McGlinchey, Stephen, Rosie Walters, and Christian Scheinpflug. 2017. *International Relations Theory*. Bristol: E-International Relations Publishing. 78-82. <https://www.e-ir.info/publication/international-relations-theory>

¹¹⁴ Acharya, A. After Liberal Hegemony: The Advent of a Multiplex World Order. *Ethics & International Affairs* 31, no. 3, 271–285, 2017. doi:10.1017/S089267941700020X.

ლიბერალური მსოფლიო წესრიგი პრაქტიკაში რეგიონული აღმოჩნდა, ვინაიდან ემსახურება მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის ინტერესს. აქედან გამომდინარე, ეს წესრიგი ლიმიტირებული და ინკლუზიურობის პრინციპს მოკლებულია. ანალოგიურის თქმის შესაძლებლობას იძლევა მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგი. ა. აჩარიას დაკვირვებით, მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგი დაფუძნებულია მხოლოდ რამდენიმე დიდი ქვეყნის ინტერესზე და ბუნებრივია ყველას ინტერესებს ვერ გაითვალისწინებს.¹¹⁵

ა. აჩარიას „მულტიპლექსურ მსოფლიოში“ ვერ იარსებებს ჰეგემონი სახელმწიფო თუ ჰეგემონური იდეა. ეს გულისხმობს იმას, რომ ახალ წესრიგში ამერიკის შეერთებულ შტატები ვეღარ შეძლებს მსოფლიო წესრიგსა და საერთაშორისო ინსტიტუციებზე დომინირებას. ავტორის იდეის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს კინოთეატრი, სადაც ერთი ქერის ქვეშ, მომხმარებლებს სხვადასხვა ჟანრის ფილმის არჩევა შეუძლიათ.¹¹⁶

თეორიულ ჭრილში, „მულტიპლექსურ მსოფლიოს“ ქვაკუთხედი ახალი ტიპის გლობალიზაცია იქნება. ახალ გლობალიზაციაში ა. აჩარია მოიაზრებს მსოფლიო დაკავშირებადობაში გლობალური ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტიზაციას, ვიდრე, როგორც წარსულში იყო, ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობას. მსოფლიოში დღეისთვის მიმდინარე გლობალური ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელოვანი განვითარება მიუთითებს იმაზე, რომ ახალი გლობალიზაციის „მართვის სადავეები“ შესაძლოა აზიაში გადავიდეს. ჩინეთის შემთხვევაში, ახალი გლობალიზაციის მოთხოვნებს პასუხობს „სარტყელი და გზის ინიციატივა,“ რაც საერთაშორისო სისტემაში ქვეყნის პოზიციებს გააძლიერებს. ა. აჩარიას თქმით, ახალი

¹¹⁵ Acharya, A. After Liberal Hegemony: The Advent of a Multiplex World Order. *Ethics & International Affairs* 31, no. 3, 271–285, 2017. doi:10.1017/S089267941700020X

¹¹⁶ იქვე.

გლობალიზაცია მისი წინამორბედისგან ასევე იმით იქნება გამორჩეული, რომ მსოფლიოში მეტად იქნება დაცული სუვერენიტეტის პრინციპი, რაზეც იგივე არ ითქმის მრავალი ათწლეულობის მანძილზე დასავლური იმპერიებისგან მართულ გლობალიზაციის პროცესზე.¹¹⁷

2.2 ჩინეთში საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის შესწავლის სტადიები

მკვლევართა ნაწილისთვის, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში დასავლური პაროქიალიზმის დამღევის ინტელექტუალურ რესურსს დღეს ჩინეთი ფლობს. კითხვაზე - თუ რატომ არ არის ამ დრომდე საერთაშორისო ურთიერთობების ჩინური კრიტიკული თეორია გავრცელებული, ცნობილი ჩინელი მეცნიერი ცინ იაცინის აზრით, ჩინური აღმასვლის ფონზე, ასეთი თეორიის შექმნის საჭიროება, მომავალში სულ უფრო მეტად გამოიკვეთება.¹¹⁸

ჩინელ მეცნიერ-მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ჩინური მახასიათებლების საერთაშორისო ურთიერთობების თეორია აუცილებლად უნდა დაეფუძნოს მის ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებს და იყოს თავსებადი ჩინელი ერის სოციალური ონტოლოგიის თავისებურებებთან.¹¹⁹ ამ მეცნიერ-მკვლევრებს ასევე სწამთ, რომ ჩინური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის შექმნის ინტელექტუალური ბაზისი ჩინური მახასიათებლების ცოდნაშია: კონფუციანიზმი, მარქსიზმ-ლენინიზმ-მაოიზმი და „ცისქვეშეთის“ კატეგორია.

¹¹⁷ Acharya, A. After Liberal Hegemony: The Advent of a Multiplex World Order, *Ethics & International Affairs* 31, no. 3, 271–285, 2017. doi:10.1017/S089267941700020X

¹¹⁸ Yong-Soo, E. What Is at Stake in Building ‘Non-Western’ International Relations Theory? *Asian Studies Review* 44, no. 1, 3. 2020. <https://doi.org/10.1080/10357823.2019.1673932>.

¹¹⁹ Yong-Soo, E. What Is at Stake in Building ‘Non-Western’ International Relations Theory? *Asian Studies Review* 44, no. 1, 26, 2020. <https://doi.org/10.1080/10357823.2019.1673932>

ამ კონტექსტში, მიზანშეწონილია რობერტ კოქსის ცნობილი სიტყვების მოშველიება: „თეორია ყოველთვის ვიღაცისთვისაა და რაღაც მიზნისთვის“.¹²⁰

მსოფლიოში ჩინური ფილოსოფიური სკოლების ინტელექტუალური მასშტაბის მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც ცალკეული აკადემიური დისციპლინა, ჩინეთისათვის შედარებით ახალია და მოიცავს განვითარების სამ სტადიას:

1. თეორიამდელს - 1978-1990 წწ;
2. თეორიის შემსწავლელს - 1991-2000 წწ;
3. ინოვაციურს - 2007 წ. - დღემდე.

მკვლევარმა ცინ იაცინმა, რომელმაც ჩინეთში ჩაატარა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის განვითარების ისტორიის აღწერა, განაცხადა, რომ პირველი სტადიის პერიოდში ჩინურ მეცნიერებაში დომინანტური იყო მარქსიზმ-ლენინიზმ-მაოიზმი.¹²¹ ამ დროის თეორიული პროდუქტია ასევე მათ „სამი სამყაროს თეორია“, რომლის თანახმად საერთაშორისო ურთიერთობები წარმოდგენილია სამ სამყაროდ. პირველი - ჰეგემონური სახელმწიფოები (აშშ და სსრკ); მეორე - განვითარებული ქვეყნები (მათ ასახელებს ევროპას, კანადას და იაპონიას). მესამე - ჩინეთი და დანარჩენი აზია.

„თეორიის შესწავლის“ სტადიაში დამკვიდრდა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი დასავლური თეორიები. ჩინეთში რეალიზმი და ლიბერალიზმი პოპულარული გახდა და შესაბამისად, მეცნიერ-მკვლევრებმა ამ თეორიების გამოყენება ჩინური საგარეო პოლიტიკის ანალიზისთვის. მოგვიანებით (2001-2007 წლებში), ჩინელი მეცნიერ-მკვლევრები დაიწყეს. ასევე

¹²⁰ Shimizu, K. ed. Critical International Relations Theories in East Asia: Relationality, Subjectivity, and Pragmatism, London, Routledge, 57, 2019. <https://doi.org/10.4324/9781351110235>

¹²¹ Kumar, S. Theorising Chinese International Relations and the Rise of China. Relaciones Internacionales, 25, 2018. <https://doi.org/10.242197815/23142766e024>

დაინტერესდნენ საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივისტული სკოლით.¹²² ამ სტადიის პერიოდში ჩინეთმა მოახერხა დასავლური საერთაშორისო ურთიერთობების კონცეპტუალური და თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების შესწავლა. თუმცა, პარალელურ რეჟიმში, დაიწყო მსჯელობა ჩინური მახასიათებლების თეორიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

ზოგადად, „ჩინური მახასიათებლების“ კონცეფციის დამკვიდრება ჩკპ-ის გავლენიანი ლიდერის დენ სიაოპინის მოღვაწეობის პერიოდთანაა დაკავშირებული, ხოლო ჩინურ სამეცნიერო წრეებში ჩინური მახასიათებლების საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის საკითხის გააქტიურების ინიციატივას პეკინის უნივერსიტეტის სახელგანთქმულ მარქსისტ მეცნიერ ლიანგ შოუდეს მიაწერენ.¹²³

2007 წლიდან, „თეორიის ინოვაციის“ სტადიაში, ჩინური სამეცნიერო წრეები უკვე დიდ ინტერესს ავლენენ ჩინური მახასიათებლების საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის შექმნაზე. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა, ჩინური უმაღლესი ხელმძღვანელობის ლექსიკონში ისეთი ტერმინების აქტუალიზაცია/გაჩენა, როგორიცაა: „ჰარმონიული სამყარო“, „მშვიდობიანი განვითარება“, „ჩინური ოცნება“, „სარტყელი და გზა“ და ა.შ.¹²⁴

ჩინეთში საერთაშორისო ურთიერთობების „თეორიის შემსწავლელი და ინოვაციის“ სტადია ხარისხობრივად და რაოდენობრივად ნაწილობრივ გამოიკვლია კორეელ მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფმა. აღნიშნული კვლევის

¹²² Yaqing, Q. Development of International Relations Theory in China, *International Studies*, Delhi, v.46, No.2, 185-201, 2009.

¹²³ Cunningham-Cross, L. Ghostly Encounters with the Parochial/Global Discipline of International Relations, 140, 2014.

¹²⁴ Kumar, S. Theorising Chinese International Relations and the Rise of China. *Relaciones Internacionales*, 26, 2018. <https://doi.org/10.242197815/23142766e024>

ობიექტი საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების თემაზე 1994-2014 წლებში გამოცემული ყველა გავლენიანი ჩინური ჟურნალ გახლდათ ი. კვლევის მიზნად განისაზღვრა - ჩინურ ჟურნალებში დაბეჭდილ სტატიებში პოსტპოზიტივისტური თეორიის გამოყენების სიხშირის დადგენა.

მონაცემთა შეგროვების ფარგლებში, მეცნიერ-მკვლევრებმა მოიძიეს სტატიები შემდეგი საკვანძო სიტყვებით: კრიტიკული თეორია, ფემინიზმი, მეცნიერული რეალიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი და კონსტრუქტივიზმი, მათ შორის, ფრანკფურტის სკოლა, ი. ჰაბერმასი, რ. კოჰსი, რ. ეშლი, ემანსიპაცია, კრიტიკული უსაფრთხოება და კრიტიკული სოციოლოგია. შესწავლილი 11,607 ჟურნალიდან, აღმოჩნდა, რომ პოლიტიკის მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მხოლოდ 569 (4.9 %) ავტორი იყენებდა პოსტპოზიტივისტურ მიდგომას.¹²⁵

ზემოხსენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფმა დაასკვნა: პოსტპოზიტივიზმის ქვეშ არსებული თეორიების მიმართ ჩინელი მკვლევრების ნაკლები ინტერესი მიუთითებს იმაზე, რომ ჩინეთში დომინანტურია დასავლური პოზიტივისტური რეალიზმი და ლიბერალიზმი.

კვლევის ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ ჩინელი მეცნიერების ნაწილი, რომლებიც მუშაობენ „ჩინური მახასიათებლების“ გამომხატველი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარებაზე, დიდ წილად ეფუძნებიან საერთაშორისო ურთიერთობების მარქსისტულ თეორიას და ნაკლებად - ენდემურ წიაღში აღმოცენებულ ცოდნას.¹²⁶

მიუხედავად ამისა, ჩინეთში „თეორიის ინოვაციის“ სტადიაში ენდემური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის შექმნის გამოკვეთილმა ამბიციამ

¹²⁵ Yong-Soo, E. What Is at Stake in Building 'Non-Western' International Relations Theory? Asian Studies Review 44, no. 1, 2020 <https://doi.org/10.1080/10357823.2019.1673932>

¹²⁶ იქვე. 30-31.

მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩინური ცოდნის პერსპექტივიდან საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის თაობაზე სამეცნიერო პროექტების წამოწყებას.

2.3 საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის ჩინური მიდგომები

ჩინელი ერის სწრაფმა ეკონომიკურმა აღმასვლამ და მისი, როგორც ანგარიშგასაწევ საერთაშორისო სუბიექტად ფორმირებამ, ჩკპ-ის დღის წესრიგში დააყენა მსოფლიო მეცნიერებაში ჩინური მსოფლმხედველობის გავრცელების საკითხი, რადგან ჩინეთი სახელმწიფო და საერთაშორისო წესრიგის ადმინისტრირების მდიდარ ისტორიას ფლობს. ამ ისტორიული პრაქტიკის რეაქტუალიზაცია კი პირდაპირ პასუხობს ჩინეთში საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ჩინური ცოდნით შევსების არსებულ მზარდ მოთხოვნას.

საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის ჩინური მიდგომების განვითარების მიმართულებით რევოლუციური ნაბიჯები გადადგა („თეორიის ინოვაციის“ სტადია) გამოჩენილმა ჩინელმა ფილოსოფოსმა და საზოგადო მოღვაწემ იან შუტონგმა, რომელიც ავტორია მონოგრაფიისა: „ანტიკური ჩინური აზროვნება, თანამედროვე ჩინური ძალა.“

აღიარებულია, რომ ზემოაღნიშნული მონოგრაფია ჩინეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფილოსოფიური საფუძვლების შესწავლის თემაზე ერთ-ერთი საუკეთესოა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მონოგრაფია არადასავლური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარების საექტაპო პლაცდარმია.

მონოგრაფიის ანალიზამდე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მას კულტურული რევოლუციის პირობებში, ავტორი 16 წლის ასაკში ჩინეთის

უკიდურეს ჩრდილოეთში გაგზავნეს სამუშაოდ, სადაც მან ცხოვრების 9 წელი გაატარა. სამუშაო ადგილზე უმძიმესი და სიცოცხლისთვის შეუსაბამო პირობების მიუხედავად, როგორც ავტორი იხსენებს, ამ 9 წელიწადში მან დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძინა. მისი შეფასებით, მას კულტურული რევოლუციის დროს, ჩინელი ერი დარწმუნდა, რომ მას შეუძლია ნებისმიერი სირთულის დაძლევა.¹²⁷

მონოგრაფიის რედაქტორის დენიელ ბელის აზრით, ი. შუტონგი თანამედროვე ჩინეთის ყველაზე გავლენიანი ექსპერტია საგარეო პოლიტიკის დარგში. ეს ასევე დასტურდება იმით, რომ 2008 წლის ჟურნალ „Foreign Policy“-ის გამოცემაში, ი. შუტონგი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ინტელექტუალთა ასეულში დასახელდა.¹²⁸

მონოგრაფია სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: პირველ ნაწილში განხილულია პრე-ცინის პერიოდის მნიშვნელოვანი ჩინური ფილოსოფიური სკოლები და გაანალიზებულია შვიდი ჩინელი ფილოსოფოსის მსოფლმხედველობა: გუან წი, ლაო წი, კონფუცი, მენციუსი, სიუნ წი (xunzi), მო წი და ჰანფეი (hanfei).

წიგნის მეორე ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კონფუციანელ სიუნ წის (ჩვ.წ. 313-238 წწ.) ფილოსოფიის რექტულიზაციაზე. ი. შუტონგის შეხედულებით, სიუნ წის მოღვაწეობის პერიოდში ჩინურ სამთავროებს შორის განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობდა დაპირისპირება, კონკურენცია, ჰეგემონიისთვის ბრძოლა. მყისიერად იქმნებოდა ახალი ალიანსები და ამის შესაბამისად, სამეფოების რეფორმაცია

¹²⁷ Daniel, B, Introduction in Yan Xuetong. Ancient Chinese thought, modern Chinese power, Princeton University Press, 2013.

¹²⁸ იქვე.

ხდებოდა. სწორედ ამიტომ, ავტორი სიუზ წის შემოქმედებას ზედმიწევნითი სიფრთხილით მოეკიდა.

წიგნის მესამე ნაწილში წარმოდგენილია მეომარ სამეფოთა სტრატეგიები და ჰეგემონიის მიღწევის რამდენიმე გზა, შესაბამისად, ყურადღება გამახვილებულია ამ უძველესი პრაქტიკის გადააზრების მნიშვნელობაზე თანამედროვე დროში.

ინტერესს მოკლებული არაა ცოდნა, რომ აღნიშნული მონოგრაფიის პროექტი განხორციელდა ავტორიტეტული ჩინური საერთაშორისო ურთიერთობების „ცინხუას სკოლის“ ფარგლებში, რომლის დამფუძნებელი თავად პროფესორი ი. შუტონგია.

მეტად საინტერესოა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ „ცინხუას სკოლის“ მიმართ სხვა ჩინელ მეცნიერ-მკვლევრებს. მათი დიდი ნაწილის აზრით, „ცინხუას სკოლა“ განსაკუთრებულია, რადგან დიდი მიზნები აქვს: 1) საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის გამდიდრება, ჩინური ფილოსოფიის აღორძინების პერიოდის (ჩვ.წ. 770-222 წწ.) ტექსტების შესწავლითა და რეაქტუალიზაციით; 2) ძველჩინური ინტელექტუალური საფუძვლების შესწავლა, თანამედროვე ჩინეთის საერთაშორისო სტატუსის/პოზიციონირების გაძლიერებისთვის.¹²⁹

„ცინხუას“, სხვა საერთაშორისო ურთიერთობების სკოლებისგან მას გამოარჩევს ის, რომ მის ფარგლებში, სახელმწიფოთა სამხედრო და ეკონომიკურ კომპონენტებთან ერთად, ასევე შეისწავლება ქვეყნების მმართველთა ქცევის მორალურ-ეთიკური ასპექტები, რომელსაც ჩინეთის ათასწლოვანი ისტორიაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ

¹²⁹ Feng, Z, The Tsinghua Approach and the Inception of Chinese Theories of International Relations, The Chinese Journal of International Politics, Volume 5, Issue 1, 74-103, 2012.

ანტიკურ ჩინურ აზროვნებაში მორალის კატეგორია ინდივიდუალიზმის ჩარჩოებით არ იზღუდებოდა, როგორც ეს დასავლური ისტორიისთვის იყო დამახასიათებელი. ძველჩინური მსოფლმხედველობით, მორალი და ეთიკა საზოგადოების მიმართ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობაზე მიუთითებდა.

სხვადასხვა ჩინელი ფილოსოფოსი მორალსა და ეთიკას იდეალური პოლიტიკური მმართველობის - ე.წ. ჰუმანური ავტორიტეტის (Humane Authority) ძირითად შემადგენლად განიხილავდა. „ჰუმანური ავტორიტეტი“ კონფუციანური კონცეფციაა და იდეალიზებული ჩინური მმართველობის ფორმაა, რომელიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში აქცენტს მორალითა და ეთიკით ნასაზრდოები იდეების მნიშვნელობაზე აკეთებს. შეიძლება ითქვას, რომ „ჰუმანური ავტორიტეტი“ პიროვნებისა თუ სახელმწიფოს განვითარების საბოლოო ფორმაა და შესაბამისად, საზოგადო იმიტაციის ობიექტია. ი. შუტონგის აზრით, კონფუციანური „ჰუმანური ავტორიტეტი“ თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ფილოსოფოსი სიუნ წიც ჰეგემონიის უმაღლეს განსხეულებად სწორედ „ჰუმანურ ავტორიტეტს“ მიიჩნევდა.¹³⁰

როგორც აღინიშნა, „ცინხუას სკოლის“ მონოგრაფიის ფარგლებში მოხდა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი შვიდი ჩინელი ფილოსოფოსის ძირითადი პოზიციების დადგენა. აღმოჩნდა, რომ ფილოსოფოსები მო წი (მოჰიზმი) და ლაო წი (ტაოიზმი) საერთაშორისო ურთიერთობებს უნაწევრო სისტემურ ერთობლიობად განიხილავდნენ. ფილოსოფოსთა ეს პოზიცია თანამედროვე მკვლევარს მიაჩნდება იმაზე, რომ საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის დიაპაზონის შემცირება ცალკეული მოვლენების ანალიზით გაუმართლებელია. არგუმენტის სახით გამოდგება ლაო წის საერთაშორისო სისტემის მშვიდობის პარადიგმა, რომელიც ამბობს შემდეგს:

¹³⁰ Xuetong, Y. Ancient Chinese thought, modern Chinese power, Princeton University Press, 86 2013.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ხასიათის ტრანსფორმაციისთვის საჭიროა მასშტაბური (სისტემური) ცვლილებების ინიცირება. საერთაშორისო მშვიდობის დამყარების საუკეთესო და ეფექტური გზა პატარა და სუსტი სახელმწიფოებისგან დაკომპლექტებული საერთაშორისო მოდელის შექმნა; ამ მოდელში დიდი და საშუალო ქვეყნები აღარ იარსებებენ, რადგან მოხდება მათი ხელოვნურად შემცირება, რაც სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის წინაპირობას ხელს შეუწყობდა. ამ მოდელის კონცეპტუალური საფუძვლები ლაო წის ფილოსოფიაში იმალება, რომელსაც მიაჩნდა, რომ ადამიანური ბუნება ჩანასახშივე ეგოისტური და მიდრეკილია კონფლიქტისაკენ; შესაბამისად, საჭიროა მისი მოთოკვა.¹³¹

ლაო წის მსგავსად, მოწ'-იც კონფლიქტის მიზეზად ეგოიზმს ასახელებდა და ამბობდა:

„ყოველ ხელისუფალს მხოლოდ საკუთარი სამეფო უყვარს და სხვათა არა; მაშასადამე, ხელისუფალნი სხვათა სამეფოს იმ მიზეზით ესხმიან თავს, რომ სარგებელი მოუტანონ თავისას.“

მო წის მშვიდობის კონცეპტის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ თუ ერთ სამეფოს ექნებოდა ისეთივე დამოკიდებულება მეორესთან, როგორც საკუთარი თავის მიმართ, ეს ხელს შეუწყობდა ისეთი ტიპის საერთაშორისო სტრუქტურის ფორმაციას, სადაც აპრიორი აღიკვეთებოდა კონფლიქტების დაწყების მოტივები.¹³²

გუან წისა და ჰანფეის დაკვირვების საგანი საერთაშორისო ურთიერთობებში შეფარდებითი ძალა იყო, რაც მიაჩნებოდა ფილოსოფოსების

¹³¹ Xuetong, Y. Ancient Chinese thought, modern Chinese power, Princeton University Press, 26-27.32, 2013.

¹³² Mozi 14 Impartial Love In Xuetong, Y. Ancient Chinese thought, modern Chinese power. Princeton University Press, 26-27.33-36. 2013.

გამძაფრებულ ინტერესზე სახელმწიფოთა სიდიდის, ეკონომიკის, ტერიტორიისა და სამხედრო ძალის მიმართ. ორივე ფილოსოფოსი სახელმწიფოთა ურთიერთობების წამყვან კომპონენტად მატერიალურ ძალას ასახელებდა, თუმცა გუან წისთვის საერთაშორისო ურთიერთობებში ასევე მნიშვნელოვანი იყო კონცეფციებისა და იდეების როლი.¹³³

კონფუცი და მენციუსი საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ რგოლად პიროვნებას (ინდივიდს) ასახელებდნენ. „ცინხუას სკოლამ“ გამოიკვლია, რომ კონფუცი საერთაშორისო ურთიერთობების წესრიგში განსაკუთრებულ ყურადღებას მმართველების ქცევასა და მათ მორალურ-ეთიკური მახასიათებლების შესწავლაზე ამახვილებდა. კონფუციანელი მენციუსიც ბუნებრივია ანალოგიურად იფიქრებდა. მისი პოზიციით, სახელმწიფოთა ნგრევა და აღმასვლაც მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებული იყო მმართველის მორალურ-ეთიკურ თვისებებთან.¹³⁴

მმართველის მორალურ-ეთიკური მახასიათებლების მნიშვნელობისა და როლის ძველჩინური გაგების ანალოგიაა პლატონის „რესპუბლიკა“, სადაც ფილოსოფოსმა სოკრატემ დაასაბუთა სახელმწიფო მართვის სადავეების გადაცემა ბრძენსა და მაღალი ზნეობის მქონე ხელისუფლისთვის (ფილოსოფოსი მეფე).

აღსანიშნავია, რომ კონფუციისა და მენციუსის მსგავსად, სიუნ წიც საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ხაზს უსვამდა პიროვნების გავლენის დონეებს, თუმცა უფრო მეტ ყურადღებას სახელმწიფოს მართვის სტრუქტურულ ნიუანსებზე ამახვილებდა. იგი ფიქრობდა, რომ მმართველის მორალურ-ეთიკურ მახასიათებლებთან ერთად, არანაკლებად მნიშვნელოვანია

¹³³Mozi 14 Impartial Love In Xuetong, Y. Ancient Chinese thought, modern Chinese power. Princeton University Press, 36-38, 2013.

¹³⁴ Xuetong, Y. Ancient Chinese thought, modern Chinese power, Princeton University Press, 28, 2013.

მმართველის სამსახურში არსებული კადრების კეთილსინდისიერება და მათი პიროვნული თვისებები. ამით სიუზნ წი მიუთითებდა იმაზე, რომ ადამიანის ბუნება დაბადებიდან მიისწრაფვის სარგებლისაკენ და შესაბამისად, აღნიშნული მოცემულობა მმართველმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს კადრების შერჩევის პროცესში.¹³⁵ იგი ამბობდა:

„ადამიანები იბადებიან ძლიერი სურვილებით. როდესაც სურვილები არ სრულდება, იწყება მათი [აღსრულების საშუალებების] ძიება... კონკურენციას მიჰყავართ უწესრიგობამდე და უწესრიგობას სიღარიბემდე. წინათ მმართველებს უწესრიგობა სძულდათ.“¹³⁶

ლეგისტი და მატერიალისტი ჰანფეი ფიქრობდა, რომ უკვე მისი მოღვაწეობის პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობებში მორალითა და ეთიკით ვერაფერს მიაღწევდი. მისი აზრით, საერთაშორისო კონფლიქტის პირველმიზეზი სახელმწიფოში საარსებო რესურსებზე დატაცების ლოგიკის მოუცილებადობა იყო. ჰანფეი წერდა:

„[საერთაშორისო პოლიტიკაში] გარემოებები იცვლებიან. თუ წინათ კონფლიქტი მორალით წყდებოდა, უკანასკნელ პერიოდში [(ჩვ.წ. 280- 233 წწ)], კონფლიქტების ბედი გონიერებასა და ძალაზე გახდა დამოკიდებული.“¹³⁷

„ცინხუას სკოლის“ მიერ ინიცირებულ პროექტზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ჩინური მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების შემდეგი სქემის შედგენა:

¹³⁵ Xuetong, Y. Ancient Chinese thought, modern Chinese power, Princeton University Press, 29-30; 34, 2013.

¹³⁶ 礼之用，和为贵，(论语·学而). Cf. Legge vol. 1, 143, 1893, In from Zhao Tingyang. All Under Heaven: The Tianxia System for a Possible World Order, Univ of California Press, Vol. 3. 6, 2021.

¹³⁷ Hanfeizi 49 Five Vermin, Cited from Xuetong, Y. Ancient Chinese thought, modern Chinese power, Princeton University Press, 29. 2013.

საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის ჩინური მიდგომები			
ფილოსოფოსები/ ფილოსოფიური სკოლები	საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ობიექტი	და იქმნა დრო	საერთაშორისო ურთიერთობებისადმი დამოკიდებულება
გუან ჯი	შეფარდებითი ძალა; სახელმწიფოების პოლიტიკური გავლენის, ეკონომიკისა და სამხედრო ძლიერების ხარისხი, მათ შორის, კონცეპტუალური და იდეური ასპექტები	სა ხელმწიფო	დუალისტური მიდგომა: მატერიალური და კონცეპტუალური (დეტერმინიზმი)
კონფუცი მენციუსი	მმართველთა/ლიდერთა მორალური და მსოფლმხედველობითი პოზიციები	ინ დივიდუა	კონცეპტუალური დეტერმინიზმი
ლაო ჯი მო ჯი	საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა; სისტემის მამოძრავებელი კონცეფციები, იდეები და ნორმები; სისტემაში კონსტრუირებული კონცეფციების, იდეებისა და ნორმების წარმოშობის წყაროები	ფ ემტყის	
სიუნ ჯი	მმართველთა/ლიდერთა, ასევე მისი კადრების (მინისტრები) მორალური და მსოფლმხედველობითი ასპექტები სახელმწიფოს პოლიტიკური ძალის ხარისხი. ¹³⁸	პ ემტყის	დუალისტური მიდგომა მატერიალისტული და კონცეპტუალური დეტერმინიზმი

¹³⁸ პოლიტიკური ძალის ხარისხი - სახელმწიფოს მოსახლეობის, ტერიტორიის, ეკონომიკისა და სამხედრო ძლიერების სათანადო და შესაბამისი მსოფლმხედველობითი და იდეოლოგიური პოლიტიკის წარმოების უნარი.

ჰანგეი	სამხედრო ძალა, ეკონომიკა, მოსახლეობა, ტერიტორია და საარსებო რესურსები	სახელმწიფო	მატერიალისტული დეტერმინიზმი
--------	---	------------	-----------------------------

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ჩინური ცოდნით გამდიდრების კუთხით, არანაკლებ საყურადღებოა ჩინელი ფილოსოფოსის ჟაო ტინგიანის „ცისქვეშეთის“ თეორია (tianxia theory). მის წიგნში - „ცისქვეშეთი: ტიანქსიას სისტემა შესაძლო მსოფლიო წესრიგისთვის“ (*All Under Heaven: The Tianxia System for a Possible World Order*) - გადმოცემულია არსებული ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ალტერნატიული მოდელის შინაარსობრივი და თეორიული ასპექტები.

ჟაოს აზრით, ძველჩინური „ცისქვეშეთის“ კონცეფცია აპრიორი არ გამოხატავდა მხოლოდ ჩინური ცივილიზაციის, როგორც მაღალ განვითარებული ცენტრის გარშემო ჩამოყალიბებულ საერთაშორისო წესრიგს, არამედ ასევე უნივერსალური ფილოსოფიური კატეგორია იყო, რომელიც ჰარმონიული და პარიტეტზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის მოდელის იდეას მოიცავდა. ჟაოს თქმით, „ცისქვეშეთის“ კონცეფცია არსებული ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის კარგი ალტერნატივაა, რომელშიც არცერთი ერი, მიუხედავად მათი ზომისა თუ ძლიერებისა, არ იქნება მარგინალიზებული.¹³⁹

სხვადასხვა ჩინელი მეცნიერ-მკვლევრის მსგავსად, ჟაოს იდეის მოტივაციის წყარო აღმოჩნდა არსებული ლიბერალური საერთაშორისო

¹³⁹ Zhao, T. All Under Heaven: The Tianxia System for a Possible World Order. Vol. 3. University of California Press, 1, 2021.

წესრიგის პარტიკულარიზმი. ეს გულისხმობს იმას, რომ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი ზოგადად წესრიგის ისეთი მოდელია, სადაც გაბატონებულია კონკრეტულ სახელმწიფოთა ჯგუფების მსოფლმხედველობითი პოზიციები და მათთვის დამახასიათებელი მართვის სისტემები. ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგზე დაკვირვებისას, ჟაოს დაასკვნა, რომ ამ წესრიგში ყველაფერზე წინ სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესები დგანან, რაც იმპერიალიზმის არსებობის პირველწყაროა. მისი ალტერნატიული წესრიგი სწორედ ეროვნული ინტერესების დომინანტის დათრგუნვას ითვალისწინებს.¹⁴⁰

ჟაოს მოდელში საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე მაღალი კატეგორიაა „მსოფლიო“ და არა ერი-სახელმწიფო. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი პოლიტიკური ზედამხედველის ფუნქცია ექსკლუზიურად საერთაშორისო ინსტიტუციას აკისრია, რომელიც მხოლოდ მსოფლიოს (სისტემის) ინტერესების გატარებაზე იქნება ორიენტირებული. ჟაოს მოდელში დაუშვებელია საერთაშორისო სუბიექტების მარგინალიზება, რადგან საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა ყოვლისმომცველი, ჰარმონიული თანაცხოვრების, ურთიერთპატივისცემისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობის სივრცეა.¹⁴¹

„ცისქვეშეთის“ მოდელი საერთაშორისო წესრიგის უმაღლეს მატერიალურ და მეტაფიზიკურ ფორმას გამოხატავს. ჟაოს თქმით, წესრიგის ჩინური გაგება მეტად განსხვავდება დასავლურისგან, რადგან ამ უკანასკნელის ამოსავალი წერტილი ინდივიდია, ხოლო ჩინურის კი - ოჯახი. ჟაოს ნააზრევს მიმართ სხვადასხვა მეცნიერ-მკვლევარი მეტად კრიტიკულია. მათი აზრით,

¹⁴⁰ Zhao, T. All Under Heaven: The Tianxia System for a Possible World Order. Vol. 3. University of California Press, 1, 2021.

¹⁴¹ Feng, Z. The Tianxia System: World Order in a Chinese Utopia. Global Asia. 2022.

ქაოს ნაშრომებს აკლიათ მეცნიერული აზრის გადმოცემის სიცხადე და შინაარსობრივი თანმიმდევრობა. თუმცა, ქაოს ნააზრევი ზოგიერთი მეცნიერ-მკვლევრისთვის დამაფიქრებელი და მეტად აქტუალური აღმოჩნდა. მაგალითად, ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის პროფესორის, უილიამ კალაჰანის შეფასებით, ქაოს იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა ჩინეთის ყოფილი პრეზიდენტის ჰუ ძინ ტაოს „ჰარმონიული სამყაროს შენების ოთხ პუნქტიან მონახაზზე“. ეს მონახაზი ცნობილია იმით, რომ ის გაჟღერდა გაერთიანებული ერების მე-60 საიუბილეო სამიტზე და წარმოადგენდა მსოფლიო პოლიტიკის გადატვირთვის გეგმას, ოთხი პოსტულატის მიხედვით:¹⁴²

1. ცივი ომის მენტალობის აღმოფხვრა; ერებს შორის კოლექტიური თანამშრომლობისა და ურთიერთდობის განმტკიცება;
2. მულტილათერალური სავაჭრო სისტემის გაძლიერება - მისი ღიაობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის უზრუნველყოფა გლობალურ დონეზე;
3. ერებს შორის ინკლუზიურობის პრინციპის დაცვა; ცივილიზაციებს შორის ჰარმონიული თანაარსებობა;
4. გაეროს შემდგომი რეფორმირება იმგვრად, რომ მასში იყოს გაგონილი პატარა და საშუალო ზომის ქვეყნების ხმა.¹⁴³

ქაოს კონცეფციით ასევე დაინტერესდა ცინხუას უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის მეცნიერ-მკვლევარი, ჟანგ ფენგი, რომელმაც ცალკეული რეცენზია მიუძღვნა ქაოს თეორიას. ჟ. ფენგის

¹⁴² Callahan, W. Chinese Visions of World Order: Post-Hegemonic or a New Hegemony? *International Studies Review* 10, no. 4, 752-758, 2008. doi:10.1111/j.1468-2486.2008.00830.x.

¹⁴³ Hu Makes 4-Point Proposal for Building Harmonious World, 2021. <http://www.china.org.cn/english/features/UN/142408.htm>.

აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ჟაოს ნაშრომებში ვერ შევხვდებით ალტერნატიული მსოფლიო წესრიგის ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის კონკრეტულ მონახაზს, ის მაინც ერთ-ერთი პირველი ჩინელი მეცნიერია, რომელმაც გამოიჩინა ინიციატივა მსოფლიო აკადემიაში დაეწყო დებატი საერთაშორისო ურთიერთობების ჩინური ცოდნით შევსების თაობაზე.

„ცისქვეშეთის“ კონცეფციის რეაქტუალიზაციას ასევე შეეცადა საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური სკოლის ჩინელი წარმომადგენელი, ჩინეთის ისტორიის მკვლევარი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე შუ ჯილინი.

შ. ჯილინის ინტერესის საგანია ნაციონალიზმი. მას მიაჩნია, რომ ეს უკანასკნელი საერთაშორისო და შიდა კონფლიქტების პირველმიზეზია. მეცნიერ-მკვლევრის აზრით, სწორედ ნაციონალიზმის შედეგად ორი მსოფლიო ომი მოხდა; ნაციონალიზმმა ჩინეთსაც მრავალი პრობლემა მოუტანა (ტიბეტი და სინძიანი) და ჩინეთის მშვიდობიანად განვითარების შემდგომ პერსპექტივას დღემდე აბრკოლებს. შ. ჯილინის პოზიციით, ნაციონალიზმი დასავლური პროდუქტია და ის ჩინეთში სწორედ დასავლეთიდან შევიდა.

გლობალურ დონეზე ნაციონალიზმის პრობლემის საბოლოოდ გადაჭრის საკითხები შ. ჯილინის „ახალი ცისქვეშეთის“ კონცეფციაშია გადმოცემული. მის წიგნში - „ჩინეთის აღმასვლის გადააზრება: ლიბერალური კრიტიკა“- „ახალი ცისქვეშეთი“ ალტერნატიული, ნაციონალიზმისგან დაცლილი საერთაშორისო წესრიგის მოდელია, რომელიც ძველჩინური „ცისქვეშეთის“ იდეას ეყრდნობა.

შ. ჯილინის „ახალი ცისქვეშეთი“ თანამედროვე ტიპის უნივერსალური ცივილიზაციური წესრიგია და სხვადასხვა ცალკეული ცივილიზაციების სიმბიოზს წარმოადგენს. ამასთან, შ. ჯილინის წესრიგი არც სინოცენტრულია და

არც ევროცენტრული, არამედ მრავალი თანასწორი ცივილიზაციის თანაარსებობის სივრცეს წარმოადგენს. შ. ჯილინმა დეტალურად შეისწავლა ძველჩინური „ცისქვეშეთის“ წესრიგი და დაასკვნა, რომ ის ყოველგვარი რასობრივი და ეთნიკური დიფერენციაციისგან დაცლილი იყო და მასში სხვადასხვა ხალხთა ასიმილაცია, ინტეგრაცია და განსხვავებულთა მშვიდობიანად თანაცხოვრება პრობლემას არ წარმოადგენდა.¹⁴⁴

მაშ, რით განსხვავდება ძველჩინური „ცისქვეშეთი“ შ.ჯილინის „ახალი ცისქვეშეთის“ კონცეფციისგან?

საქმე იმაშია, რომ შ. ჯილინისთვის ძველჩინური „ცისქვეშეთი“ მკაცრად ცენტრალიზებული და იერარქიული საერთაშორისო წესრიგი იყო, რომლის ეპიცენტრი ჩინური ცივილიზაცია გახლდათ. „ახალი ცისქვეშეთი“ კი აბსოლუტურად დაცლილია ამ იერარქიულობისგან და შესაბამისად, მასში ცენტრი და პეგემონი არ არსებობს. უფრო კონკრეტულად, ჯილინისეული „ცისქვეშეთი“ თანამედროვე უნივერსალური ცივილიზაციაა, რომელიც სხვადასხვა ხალხებსა თუ ერებს შორისაა გაზიარებული. შ. ჯილინის აზრით, თანამედროვე ჩინეთის, როგორც „ღერძული ცივილიზაციის“ მისიაა ხელი შეუწყოს „ახალი ცისქვეშეთის“ საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებას.¹⁴⁵

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტერმინი „ღერძული ცივილიზაცია“ „ღერძული პერიოდის“ კონკრეტული ლოკალიზაციის არეზე მიუთითებს, სადაც კაცობრიობის განვითარების ისტორიის ფუნდამენტური მსოფლმხედველობები დაიბადა. „ღერძული პერიოდის“ თეზისის ავტორი ცნობილი ფსიქიატრი და ფილოსოფოსი კარლ თეოდორ იასპერსია, რომელიც

¹⁴⁴ Jilin, X & Ownby, D. Rethinking China's Rise : A Liberal Critique. Cambridge, New York. Cambridge University Press. 127-128; 135-137, 2018.

¹⁴⁵ იქვე. xxvii.

კაცობრიობის „ღერძულ პერიოდად“ ძვ.წ. 800-200 წლებს მიიჩნევდა. კ. თ. იასპერსის თანახმად, სწორედ ამ პერიოდში აღორძინდა ძველჩინური ფილოსოფია; საფუძველი ჩაეყარა ძველინდურ რელიგიურ-ფილოსოფიურ ტრაქტატებსა (უპანიშადები) და ბუდიზმს; წარმოიშვა ზოროასტრიზმი ირანში; წინასწარმეტყველებმა მოიცვეს პალესტინის ტერიტორია; შეიქმნა ჰომეროსის, პარმენიდეს, ჰერაკლიტეს, პლატონის, თუკიდიდესა და არქიმედეს შემოქმედება ძველ საბერძნეთში.¹⁴⁶

ჩინური მახასიათებლების საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარების ჭრილში, ასევე აღსანიშნავია “ნიუ იორკის ახალი სკოლის” საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორის, ელ ეიჩ ემ ლინგის „ვორლდიზმის“ თეორია და „რამდენიმე სამყაროს“ კონცეფცია, რომელთა ძირითადი ასპექტები გადმოცემულია მის მონოგრაფიაში - „მსოფლიო პოლიტიკის ტაო (გზა).“

აღნიშნული მონოგრაფია იწყება ვესტფალიური სამყაროს განხილვით. ლინგის პოზიციით, ვესტფალიური სამყარო ვესტფალიის ზავის (1648) პროდუქტია, რომელიც არსებობას დღემდე განაგრძობს. ვესტფალიის ზავის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრდა ორი ძირითადი პრინციპი: ტერიტორიული სუვერენიტეტი და სახელმწიფოთაშორისი კომერციული ურთიერთობები. თუმცა, ლინგის შეფასებით, ვესტფალიური სამყარო ასევე იქცა ევროპული მერკანტილიზმის, იმპერიალიზმისა და კოლონიზაციის სივრცედ. ავტორის მსჯელობის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობებში უთანასწორობისა და კონფლიქტების მიზეზი სწორედ

¹⁴⁶ Jaspers, K. The Axial Age of Human History: A Base for the Unity of Mankind, November 1, 1948. <https://www.commentary.org/articles/karl-jaspers/the-axial-age-of-human-history-a-base-for-the-unity-of-mankind/>.

ვესტფალიური სამყაროს არსებობის ლოგიკაშია, რადგან საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტები თომას ჰობსის „ბუნებითი მდგომარეობის“ პოზიციის შესაბამისად არსებობენ და შესაბამისად, მათ მუდამ გადარჩენისთვის უწყევთ ბრძოლა.¹⁴⁷

ვესტფალიურ წესრიგში (იხ. ნიმუში №2) გაბატონებული კონცეფციებისა თუ იდეებისადმი გამკლავების მიზნით, ლინგმა მსოფლიო მშვიდობის ახალი პარადიგმა შეიმუშავა, რომელიც ძველჩინური ფილოსოფიის „ინ-იანგ“-ის კონცეფციას დააშენა. ლინგის ჩანაფიქრის მთავარ მიზნად ისეთი ალტერნატიული საერთაშორისო წესრიგის მოდელის ინიცირება განისაზღვრა, რომელიც ვესტფალიური წესრიგის ჩანაცვლებას კი არ გამოიწვევდა, არამედ მასთან ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური პარიტეტის დამყარებას მოახერხებდა.

ლინგის თეორია - „ვორლდიზმი“ წესრიგის „ინ-იანგ“-ისეული მოდელია, რომელიც მიმართულია სხვადასხვა „სამყაროებსა“ თუ „ცივილიზაციებს“ შორის ოპტიმალური ბალანსისა და ჰარმონიული თანაარსებობის პირობის უზრუნველყოფისაკენ. ლინგის „რამდენიმე სამყარო“ საერთაშორისო ქვე-წესრიგია და ამავდროულად, არადასვლურ ქვეყანათა ჯგუფიც, რომლებიც ვესტფალიური სამყაროსთვის უცხო იყო. „ვორლდიზმის“ თეორიისა და „რამდენიმე სამყაროს“ კონცეფციის მთავარი საზრისი იმაშია, რომ მსოფლიოს ისტორიაში ერთხელ და სამუდამოდ იმ ტიპის საერთაშორისო ურთიერთობათა წესრიგი შეიქმნას, სადაც განსხვავებული პოლარობები არა ანტაგონისტურად იქნებიან განწყობილნი, არამედ ერთმანეთს შეავსებენ.

ძველჩინურ კონცეფციასთან ერთად, ლინგის ნააზრევზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა იაპონიის „კიოტოს სკოლის“ ფუძემდებლისა და

¹⁴⁷ Ling, L.H.M. The Dao of World Politics: Towards a Post-Westphalian, Worldist International Relations, (1st ed.), Routledge, 11, 2013. <https://doi.org/10.4324/9781315887777>

ფილოსოფოსის ნიშიდა კიტაროს (1870-1945 წწ.) „სამყართა სამყარო“ ან „გლობალური სამყაროს ფორმაციის“ კონცეფციამ, რომლის მიხედვით მსოფლიო თანაარსებობის ერთადერთი პირობა, ერთი სიმრთელის გარშემო სხვადასხვა „სამყართა“ თუ „ცივილიზაციათა“ ჰარმონიული თანაარსებობაა.¹⁴⁸



ნიმუში № 2: არსებული საერთაშორისო წესრიგი ლინგის მიხედვით.

წყარო: Ling, L.H.M. (2013). The Dao of World Politics: Towards a Post-Westphalian, Worldist International Relations


ლინგის მონოგრაფიაში წარმოდგენილი „ინ-იანგ“-ის დამახინჯებული ვარიანტი შეიქმნა იმ მიზნით, რომ მკითხველმა კარგად დაინახოს, თუ როგორაა ვესტფალიურ წესრიგში პარიტეტის პრინციპი დარღვეული. ლინგი ასევე თვლიდა, რომ ვესტფალიურ წესრიგში პოლარობებს შორის ასიმეტრია შესაძლოა მომავალში კვლავ გაიზარდოს.¹⁴⁹

საინტერესოა, თუ როგორ გამოიყურება სქემატურად ავტორისეული ოპტიმალური საერთაშორისო წესრიგი. ლინგის მიხედვით, საერთაშორისო

¹⁴⁸ Ling, L.H.M. The Dao of World Politics: Towards a Post-Westphalian, Worldist International Relations, (1st ed.), Routledge, 14, 2013. <https://doi.org/10.4324/9781315887777>

¹⁴⁹ იქვე. 17-18.

ურთიერთობების ოპტიმალური მოდელი კლასიკური „ინ-იანგ“-ის რევიზირებული ნიმუშია, რომელიც განსხვავებულთა კომპლემენტარულობისა და ურთიერთბალანსისკენ მიისწრაფვის (იხ. ნიმუში № 3).



ნიმუში № 3: სხვადასხვა სამყაროს ჰარმონიული თანაარსებობის პირობა.

წყარო: Ling, L.H.M. (2013). The Dao of World Politics: Towards a Post-Westphalian, Worldist International Relations

ლინგის მოდელზე დაყრდნობით, ოპტიმალური საერთაშორისო წესრიგი მოიცავს ორ ქვე-წესრიგს: 1) დასავლური მსოფლმხედველობის გავლენით ფორმირებული ვესტფალიური სამყარო და 2) „რამდენიმე სამყარო,“ იგივე - არადასავლეთი. როგორც ჩანს ლინგის მოდელში პოლარობები განცალკევებულია, თუმცა ამავედროულად ერთმანეთს ავსებენ და პარიტეტზე დაფუძნებულ თანაარსებობის პირობას ქმნიან. ამ მოდელში წარმოდგენილი (ცენტრში) საშუალოდო ზონა (გვერდულა ხაზები) განასახიერებენ ორ ქვე-წესრიგს შორის თანასწორი კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების სივრცეს, რომელსაც ავტორი „დიალოგიკას“ ანუ დიალოგის ლოგიკას უწოდებდა.

ძველჩინური ინტელექტუალური მემკვიდრეობის რეაქტუალიზაციის საკითხებზე სამეცნიერო წრეებში არსებულ აქტივობებზე მსჯელობისას, რთულია არ შევხვით ცნობილი ამერიკელი მეცნიერის სემუელ ჰანტინგტონის გახმაურებულ ნაშრომს - „ცივილიზაციათა შეხლას.“

ჯერ კიდევ XX-ს 90-იან წლებში ს. ჰანტინგტონი ვარაუდობდა, რომ პოსტცივი ომის წესრიგის „ცენტრალური კონფლიქტი იქნება კონფლიქტი დასავლეთისა და ისლამური, ასევე კონფუციანური ცივილიზაციების წარმომადგენელ ზოგიერთ ქვეყანას შორის, რომლებიც ემუქრებიან დასავლეთის ფასეულობებს, ინტერესებსა და ძლევამოსილებას.“¹⁵⁰

ს. ჰანტინგტონის ნააზრევში გამოჩნდა ერთგვარი მინიშნება, რომ დროთა განმავლობაში სულ უფრო გააქტიურდება არადასავლურ ცივილიზაციებში საკუთარი ფესვებისკენ დაბრუნების ტენდენცია.

¹⁵⁰ ჰანტინგტონი, ს. ცივილიზაციათა შეხლა, ჟურნალიდან საზოგადოება და პოლიტიკა II, 1999. <http://www.cipdd.org/upload/files/almanax2.pdf>

თავი III. ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობები

ბოლო პერიოდში ინფორმაციული ცივილიზაციის¹⁵¹ პირობებში ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის წინააღმდეგ მიმართულმა ღონისძიებებმა შესამჩნევად იმატა. ცხადია, ამ პროცესით ჩინეთი მეტად დაინტერესებულია, რადგან მას საკუთარი გაზრდილი პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობებით შესწევს ძალა არსებული წესრიგის დამცველებთან ღია კონკურენცია აწარმოოს. თუმცა, ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის დაცვა კოლექტიური დასავლეთის ინტერესების ამჟამინდელი პრიორიტეტია, მათ შორის, ევროკავშირისა, რომელმაც ჩინეთი საკუთარ სისტემურ მეტოქედ და გეოპოლიტიკურ საფრთხედ მრავალჯერ დაასახელა.

3.1 ჩინეთ-ევროკავშირის თანამშრომლობა და კონკურენცია

ჩინეთ-ევროკავშირის თანამშრომლობაზე და ურთიერთკონკურენციაზე მსჯელობისას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ უკანასკნელ ათწლეულში ჩინეთის ეკონომიკის სწრაფი ზრდის ტემპები; მმართველი კომუნისტური პარტიის მიერ გადადგმული უპრეცედენტო ნაბიჯები ჩინელი ერის კონსოლიდაციისა და განმტკიცების საქმეში; მსოფლიოსათვის „სარტყელი და გზის“ პროექტის ინიცირება; პრეზიდენტ სი ძინპინის საუკუნის ამოცანა - 2049 წლისთვის თანამედროვე სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც

¹⁵¹ გულისხმობს ინფორმაციის მისი მატარებლისგან დამოუკიდებლად გავრცელების და შეუზღუდველად სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფელი გლობალური ტექნოლოგიური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. იხ. ხვიჩია, ე. ინფორმაციული ცივილიზაცია გლობალიზებულ სამყაროში და საქართველო, სადისერტაციო ნაშრომი, 7.

იქნება „აყვავებული, ძლიერი, დემოკრატიული, კულტურულად განვითარებული და ჰარმონიული.“¹⁵²

აღნიშნული პროცესები მიუთითებენ იმაზე, რომ თანამედროვე ჩინეთმა დაასრულა დენ სიაოპინის (1904-1997) ცნობილი დოქტრინა - „დამალე შენი სიძლიერე, დაელოდე შენ დროს“ და დაიწყო ახალი ამბიციური საგარეო პოლიტიკის წარმოება.¹⁵³

ჩინეთის მსოფლიო დონეზე გააქტიურების პერიოდი დაკავშირებულია 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან, ხოლო მისი დაწინაურების ხანად შეიძლება მოვიაზროთ 2013-2017 წლები, როდესაც საგარეო სტრატეგიული ჰორიზონტის გაფართოებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა აღინიშნა:

- **ეკონომიკა და ფინანსები** - 2015 წელს მუშაობას იწყებს ჩინეთის სპონსორობით ჩამოყალიბებული აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი, რომელიც მოიცავს 103 სახელმწიფოს, მათ შორის, 17 ევროპულ ქვეყანას.¹⁵⁴
- **სამხედრო შესაძლებლობები** - 2017 წლის ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-19 ეროვნულ კონგრესზე პრეზიდენტმა სი ძინპინმა ხაზი გაუსვა ე.წ. ჩინური მახასიათებლების მქონე სამხედრო ძალების

¹⁵² სირბილაძე, ი. ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები საქართველოს დასავლური გზის კვალდაკვალ: მზარდი, თუმცა შეზღუდული პარტნიორობა? თბილისი, 5, 2020.

¹⁵³ Rana, K. China's Foreign Ministry: Fit for Purpose in the Era of Xi Jinping, BRI and 'Major Country Diplomacy with Chinese Characteristics? Institute of Chinese Studies, Delhi, India, DiploFoundation, 195, 2019.

¹⁵⁴ Yongnian, Z. & Chi, Z. The Belt and Road Initiative and China's Grand Diplomacy. China and the World, Vol. 01, No. 03, 6, 2018.

მოდერნიზაციის მნიშვნელობას;¹⁵⁵ ამ პერიოდში გამოიკვეთა ჩინეთის ინტერესების გააქტიურება სამხრეთ ჩინეთის ზღვაში.¹⁵⁶

- **კულტურა** - მსოფლიოს 162 ქვეყანაში განთავსებულია 541 ჩინური ენისა და კულტურის შემსწავლელი ცენტრი - ე.წ. კონფუცის ინსტიტუტი.¹⁵⁷ „ჰანზანის“ (კონფუცის ინსტიტუტის სათაო ოფისი) მონაცემებზე დაყრდნობით, 2008-2017 წლებში, მსოფლიო მასშტაბით ჩინური ენისა და კულტურის შემსწავლელ ცენტრებს 2 მილიარდ დოლარზე მეტი მოხმარდათ.¹⁵⁸
- **დაკავშირებადობა** - 2013 წელს ჩინეთის პრეზიდენტმა მსოფლიოს გააცნო მისი მმართველობის ექსკლუზიური პროდუქტი - „ერთი სარტყელი-ერთი გზა.“¹⁵⁹
- **პოლიტიკა** - ჩინეთის კომუნისტური პარტიის წესდებაში „მაღედუნიის იდეებთან, დენ სიაოპინის თეორიასთან, სამმაგი წარმომადგენლობის იდეასთან და განვითარების სამეცნიერო კონცეფციასთან“ ერთად მოქმედებაში შევიდა პრეზიდენტ სი ძინპინის შემაჯამებელი ხედვა.¹⁶⁰

¹⁵⁵ Secure a Decisive Victory in Building a Moderately Prosperous Society in All Respects and Strive for the Great Success of Socialism with Chinese Characteristics for a New Era, (2017). ბოლო ნახვა 01.06.2021. [Xinhuanet](#).

¹⁵⁶ Rudd, K. Xi Jinping, China and the Global Order: The Significance of China's 2018 Central Foreign Policy Work Conference, An Address to the Lee Kuan Yew School of Public Policy National University of Singapore, 2, 2018

¹⁵⁷ Sands, G. Are Confucius Institutes in the US Really Necessary? ბოლო ნახვა 01.06.2021. [The Diplomat](#).

¹⁵⁸ United States Senate Permanent Subcommittee on Investigations Committee on Homeland Security and Governmental Affairs. China's Impact on The U.S. Education System, [Report](#).

¹⁵⁹ Rana, K. China's Foreign Ministry: Fit for Purpose in the Era of Xi Jinping, BRI and 'Major Country Diplomacy with Chinese Characteristics? Institute of Chinese Studies, Delhi, India DiploFoundation, 195, 2019.

¹⁶⁰ Constitution of the Communist Party of China. 19th National Congress of the Communist Party of China. ბოლო ნახვა 01.06.2021, [Xinhuanet](#).

ჩინეთის გლობალურ დონეზე დაწინაურების შეუქცევად პროცესს გამოხმაურება მოყვა ევროკავშირისგან. 2019 წელს ახლად დაკომპლექტებული ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუციის - ევროკომისიის პრიორიტეტად „გეოპოლიტიკური კომისიის“ შექმნა განისაზღვრა, რაც გულისხმობდა ევროკავშირის მეტ ჩართულობას მსოფლიო გეოპოლიტიკურ პროცესებში.¹⁶¹ ამავე წელს, ევროკავშირმა ჩინეთი მის გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ კონკურენტად და „სისტემურ მეტოქედ“ დაასახელა.¹⁶² ერთ-ერთი მიზეზით, ჩინეთის მიმართ ევროკავშირის ასეთი მწვავე განხადება „სარტყელი და გზის“ ფარგლებში ევროპაში ჩინეთის „საეჭვო“ ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდით იყო განპირობებული.¹⁶³

ევროკავშირის მხრიდან ჩინეთის „გეოპოლიტიკურ კონკურენტად“ დასახელების მიუხედავად, მხარეებს შორის დღემდე სტრატეგიული ურთიერთობებია დამყარებული. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთ-ევროკავშირის თანამშრომლობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავდროულად, ყველაზე ნაკლებად გააზრებულია.¹⁶⁴

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ორი სუბიექტის ურთიერთობების თანამშრომლობის ისტორიის ძირითადი ასპექტების მიმოხილვა.

¹⁶¹ European Commission. Speech in the European Parliament Plenary Session. ბოლო ნახვა 01.06.2021, ec.europa.eu. 7.

¹⁶² European Commission. EU-China – A Strategic Outlook. ბოლო ნახვა 01.06.2021, eur-lex.europa.eu. 1.

¹⁶³ Hackler, M. Rapprochement amid readjustment: how China sees issues and trends in its changing relationship with the EU, Asia Eur J 18. 251, 2020.

¹⁶⁴ Leal-Arcas, R. The Eu and China in a New World Order: Challenges Ahead, EUCROSS Jean Monnet network working paper, 4-5, 2019.

ჩინეთ-ევროკავშირის შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1975 წელს დამყარდა; 1978 წელს ხელი მოეწერა პირველ სავაჭრო შეთანხმებას; 1985 წელს მოხდა სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიცირება და დაიდო „სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის“ შეთანხმება. 1998 წელს კი გაიმართა პირველი ჩინეთ-ევროკავშირის სამიტი.¹⁶⁵ 2003 წლიდან ჩინეთი და ევროკავშირი არიან სტრატეგიული პარტნიორები;¹⁶⁶ 2004 წელს ევროკავშირი იქცა ჩინეთის პირველ სავაჭრო პარტნიორად,¹⁶⁷ ხოლო 2020 წელს კი ჩინეთი გახდა ევროკავშირის პირველი სავაჭრო პარტნიორი.¹⁶⁸

ჩინელი მეცნიერ-მკვლევრების აზრით, 2004 წლიდან მოყოლებული ჩინეთი მაქსიმალურად ცდილობდა დასავლეთთან პარტნიორობის განმტკიცებას; მათ მიერ დადგენილი წესების მიხედვით მოქმედებას; აქტიურად ახორციელებდა ეკონომიკის ლიბერალიზაციას და აქტიურად უერთდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას.¹⁶⁹

ჩინეთ-ევროკავშირის სტრატეგიულ თანამშრომლობას ცხადყოფს მათ შორის არსებული მაღალი დონის დიალოგი, სექტორული დაახლოების პლატფორმები, სხვადასხვა სახის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული ფორმატები.¹⁷⁰ დღესაც ორივე მხარე ღიად

¹⁶⁵ [EU-China Relations: Chronology](#).

¹⁶⁶ Geeraerts, G. The EU-China Partnership: Balancing Between Divergence and Convergence, Asia Eur J 17, 1-2, 2019.

¹⁶⁷ Leal-Arcas, R. The Eu and China in a New World Order: Challenges Ahead, EUCROSS Jean Monnet network working paper, 5, 2019.

¹⁶⁸ Anthony, I., Zhou, J., Yuan, J., Su, F., & Kim, J. China-EU Connectivity in an Era of Geopolitical Competition, Stockholm International Peace Research Institute, 11, 2021.

¹⁶⁹ Chen, Z. China, the European Union and the fragile world order. JCMS: Journal of Common Market Studies, 54(4), 6, 2016.

¹⁷⁰ Geeraerts G. The EU-China Partnership: Balancing Between Divergence and Convergence. Asia Eur J 17, 7, 2019.

საუბრობს ამ ურთიერთობების განვითარებისა და ხელშეწყობის მნიშვნელობაზე.¹⁷¹

მიუხედავად ამისა, ევროკავშირი ჩინეთის ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართ მეტად სკეპტიკურია. ევროკავშირის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში დომინირებს აზრი, რომ „სარტყელი და გზა“ რეალურად ჩინეთის გეოპოლიტიკური ინსტრუმენტია და მის განცხადებულ საგარეო პოლიტიკურ მიზნებს არ შეესაბამება.¹⁷²

გლობალურ დონეზე ჩინეთის „სარტყელ და გზასთან“ კონკურენციის მიზნით, ევროკავშირისთვის დაკავშირებადობის სფერო მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. ეს დადასტურდა 2018 წელს, როდესაც ევროკავშირმა აზია-ევროპის დაკავშირების მისეული ხედვა შეიმუშავა, რომლის მიზნად გლობალურ დონეზე ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება განისაზღვრა.¹⁷³

„სარტყელი და გზის“ ალტერნატიული გზების ძიებამ ასევე საფუძველი ჩაუყარა 2019 წლის „ევროკავშირი-აზიის დაკავშირების ფორუმს,“ რომლის ფარგლებში განიხილება ევროპისა და აზიის ქვეყნების ურთიერთობების საკვანძო-სტრატეგიული მიმართულებები, ჩინეთის მონაწილეობის გარეშე.¹⁷⁴ ფორუმზე ევროკავშირსა და იაპონიას შორის გაფორმდა შეთანხმება „მდგრადი დაკავშირებადობისა და ხარისხიანი ინფრასტრუქტურის განვითარების

¹⁷¹ სირბილაძე, ი. ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები საქართველოს დასავლური გზის კვალდაკვალ: მზარდი, თუმცა შეზღუდული პარტნიორობა? თბილისი, 2, 2020.

¹⁷² Hackler, M. Rapprochement amid readjustment: how China sees issues and trends in its changing relationship with the EU, Asia Eur J 18. 251, 2020.

¹⁷³ European Commission. Connecting Europe and Asia - Building blocks for an EU Strategy, ბოლო ნახვა 09.05.2021 [EEAS](#).

¹⁷⁴ European Commission. EU Charts New Ground in Global Connectivity - Looks to Boost Strategic Ties with Asia, ბოლო ნახვა 09.05.2021 [EEAS](#).

შესახებ.” დოკუმენტში ხაზი გაესვა, რომ მომავალი პროექტები დაფუძნებული იქნება „ღიაობაზე, გამჭვირვალობაზე, ინკლუზიურობაზე და წესებზე დამყარებულ ნორმებზე.“¹⁷⁵

2021 წელს დაკავშირებადობის საკითხებზე ევროკომისიამ გააფართოვა მისი სტრატეგიული ჰორიზონტი და მიიღო ახალი დოკუმენტი - „გლობალური კარიბჭე.“ დოკუმენტის მიზნად განისაზღვრა მსოფლიოში ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ჯანდაცვის, განათლებისა და კვლევის სისტემების გაძლიერება. „გლობალური კარიბჭის“ მთავარ პრინციპებად დასახელდა: დემოკრატიული ღირებულებები და მაღალი სტანდარტები, კარგი მმართველობა და გამჭვირვალობა, თანასწორი პარტნიორობა, მწვანე და სუფთა პოლიტიკა, უსაფრთხოება და კერძო სექტორის ინვესტიციების დაჩქარება. ევროკომისიის პრეზიდენტის და ევროკომისიის უმაღლესი წარმომადგენლის/ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, სტრატეგიაში გათვალისწინებულია ურთიერთკოორდინაციის პრინციპი ყველა ჩართულ მონაწილეს შორის.¹⁷⁶

სხვადასხვა ექსპერტი ევროკავშირის ახალ „გლობალურ კარიბჭეს“ განიხილავს, როგორც „სარტყელი და გზის“ ალტერნატივად, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობებში უფრო კონკურენტუნარიანი ეპოქის დაწყებას და ბენეფიციარი ქვეყნების ჩინეთზე დამოკიდებულების შემცირებას.

ევროკავშირის მხრიდან ჩინეთის მიერ ევროპის კონტინენტზე განხორციელებული ინვესტიციების გასაკონტროლებლად ასევე შემუშავდა

¹⁷⁵ EEAS. The Partnership on Sustainable Connectivity and Quality Infrastructure between the European Union and Japan, ბოლო ნახვა 11.05.2021, [EEAS](#).

¹⁷⁶ Global Gateway. n.d. European Commission - European Commission. ბოლო ნახვა 18.09.2022 [ec.europa.eu](#)

„პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების კონტროლის მექანიზმი“ (FDI).¹⁷⁷

ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობების გაუარესებამ კულმინაციას მიაღწია მაშინ, როდესაც 2021 წლის მარტში ევროკავშირის ახლადამოქმედებული ადამიანის უფლებათა გლობალური სანქციების რეჟიმით (EUGHRSR) ჩკპ-ის წევრებს სანქციები დაუწესდათ სინძიან-უიგურეთის ავტონომიურ რეგიონში უიგურთა უფლებების შელახვის გამო.¹⁷⁸ შემთხვევა ჩინეთს მყისიერი რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია და ევროკავშირის პასუხი ანალოგიური სანქციით გასცა.¹⁷⁹

ევროკავშირის მხრიდან ჩინეთის კონკურენტად აღქმის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთისა და „ვიშეგრადის ოთხეულის“ (V4) ქვეყნების (უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი) ურთიერთობების ისტორია. იყო პერიოდი, როდესაც „V4“-ის ქვეყნებისთვის მეტად საინტერესო გახლდათ „სარტყელი და გზა,“ რადგან პროექტი ფლობდა შესაძლებლობას ცენტრალური ევროპის სატრანზიტო როლის განვითარებისთვის.¹⁸⁰

ჩინეთთან პარტნიორობის კუთხით ოთხეულში ყველაზე დაწინაურებულად უნგრეთი შეიძლება მოვიაზროთ. მისთვის ჩინეთთან

¹⁷⁷ Anthony, I., Zhou, J., Yuan, J., Su, F., & Kim, J. China–EU Connectivity in an Era of Geopolitical Competition, Stockholm International Peace Research Institute, 14, 2021.

¹⁷⁸ European Council. EU Imposes Further Sanctions Over Serious Violations of Human Rights Around the World. ბოლო ნახვა 02.06.2021. [consilium.europa](https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2021/06/02/eu-sanctions-xinjiang/).

¹⁷⁹ Western sanctions on China over Xinjiang trigger furious response. ბოლო ნახვა 02.06.2021, [Aljazeera](https://www.aljazeera.com/news/2021/06/02/eu-sanctions-xinjiang/).

¹⁸⁰ Goreczky, P. Kizeková, A. Jakóbowski, J. Brezani, P. China in Central and Eastern Europe: Expectations, Threats and Opportunities in Search of Joined V4 Priorities. Think Visegrad, 11, 2019.

თანამშრომლობის განვითარება საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა, ხოლო „სარტყელი და გზის“ განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა თავსებადი იყო მის ეროვნულ ინტერესებთან. 2015 წელს უნგრეთი პირველი ევროპული ქვეყანა გახდა, რომელმაც ხელი მოაწერა ჩინეთთან „სარტყელი და გზის“ თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმს.¹⁸¹

რაც შეეხება ჩეხეთ-ჩინეთის ურთიერთობებს, მათ შორის თანამშრომლობა 2016 წლიდან გაღრმავდა, როდესაც პრაღაში ჩინეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი განხორციელდა. ამ პერიოდში ჩეხეთისთვის ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მისმა პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა აღნიშნული ვიზიტი მხარეებს შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპის დასაწყისად შეაფასა.¹⁸²

ჩინურ-პოლონური ურთიერთობების ქვაკუთხედს ეკონომიკა წარმოადგენს. პოლონეთი ჩინეთის მიმართ პრაგმატული პოლიტიკის გატარების მომხრეა. ასევე, პოლონეთი „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის“ (AIIB) ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი და „სარტყელი და გზის“ მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყანაა.¹⁸³

სლოვაკეთი ღიად აცხადებდა ჩინეთთან ღრმა და ყოვლისმომცველი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელობას, სლოვაკეთში ჩინური ინვესტიციების შემოდინების გაძლიერების მიზნით. ჩინეთ-სლოვაკეთს შორის ურთიერთობებში აღსანიშნავია 2017 წელს მიღებული „ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების სამწლიანი სამოქმედო გეგმის“ პროგრამა.¹⁸⁴

¹⁸¹ Hungary is first European country to sign up to China's Silk Road vision 2015. ბოლო ნახვა 07.06.2021 [GCR](#).

¹⁸² Chinese President Xi Jinping arrives in Prague amid protests, ბოლო ნახვა 07.06.2021 [DW](#).

¹⁸³ Goreczky, P. Kizeková, A. Jakóbowski, J. Brezani, P. China in Central and Eastern Europe: Expectations, Threats and Opportunities in Search of Joined V4 Priorities. Think Visegrad, 11. 2019.

¹⁸⁴ იქვე, 11-12.

ჩინეთსა და „ვიშეგრადის“ ქვეყნებს შორის წარსულში მზარდი თანამშრომლობის დინამიკის მიუხედავად, დღეს ურთიერთობების პროცესი მეტად შეფერხდა. ამის მიზეზია ერთი მხრივ, ევროკავშირის ინსტიტუციებისა და სხვადასხვა წევრი ქვეყნების კრიტიკული დამოკიდებულება ჩინეთის მმართველი პარტიის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ევროპის რეგიონში არსებული სკეპტიციზმი ჩინეთის ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებული მაღალი ფინანსური ვალდებულებების თაობაზე.

ევროკავშირის მხრიდან ჩინეთის კონკურენტად და მის გეოპოლიტიკურ მეტოქედ აღქმაზე ასევე მიუთითებს ჩინეთსა და 14 ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყანას შორის მაღალი დონის თანამშრომლობის სივრცე, რომელიც ცნობილია, როგორც „14+1“ პლატფორმა.¹⁸⁵ თანამშრომლობის პლატფორმის საწყის ეტაპზე, მხარეებს შორის ურთიერთობები სწრაფად განვითარდა. ეს განსაკუთრებით გამოიხატა მაშინ, როდესაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ჩინეთმა დაიწყო მასიური ინვესტიციების განხორციელება ევროპის სარკინიგზო კორიდორების, გზების, რკინიგზების, პორტების, აეროპორტებისა და სხვა დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.¹⁸⁶

„14+1“-ის მონაწილე ქვეყნები:

ალბანეთი	ჩრდილოეთ მაკედონია
ბოსნია-ჰერცეგოვინა	მონტენეგრო
ბულგარეთი	პოლონეთი

¹⁸⁵ 2021 წელს ლიეტუვამ პლატფორმა დატოვა და მოუწოდა დანარჩენ წევრ ქვეყნებს ანალოგიური ქმედებისაკენ. ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრის გებრელიუს ლანდსბერგის განცხადებით, ჩინეთთან ურთიერთობებისას, საჭიროა, ევროკავშირის ერთსულოვნება. 2022 წელს პლატფორმა ასევე დატოვეს ესტონეთმა და ლატვიამ.

¹⁸⁶ Anthony, I., Zhou, J., Yuan, J., Su, F., & Kim, J. China–EU Connectivity in an Era of Geopolitical Competition, Stockholm International Peace Research Institute, 6, 2021.

ხორვატია	რუმინეთი
ჩეხეთი	სერბეთი
საბერძნეთი	სლოვაკეთი
უნგრეთი	სლოვენია

დამკვირვებლები:

ავსტრია	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ბელარუსი	შვეიცარია
ევროკავშირი	

პლატფორმის ინიცირებიდან მცირე პერიოდის გასვლის შემდგომ, ევროპულ მედიაში გააქტიურდა მოსაზრებები, რომ ჩინეთი „ფორმატს იყენებდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის განხეთქილების ხელშეწყობისთვის.¹⁸⁷

„14+1“ ფორმატის გარდა, ასევე არსებობს „5+1“ პლატფორმა, რომელიც მოიცავს ჩინეთ-სკანდინავიის ქვეყნების თანამშრომლობას. პლატფორმაში ყურადღება გამახვილებულია მდგრადი განვითარების სფეროზე, ხალხთაშორისი ურთიერთობების დივერსიფიცირებასა და სამეცნიერო მიმართულებაზე.¹⁸⁸

ჩინეთ-ევროკავშირის შორის ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის მიუხედავად, სავარაუდოა, რომ ევროკავშირთან „სარტყელი და

¹⁸⁷ Kavalski, E. China's 16+1" Is Dead? Long Live the 17+1, ბოლო ნახვა 12.06.2021, [The Diplomat](#).

¹⁸⁸ Miskimmon, A., O'Loughlin, B., & Zeng, J. One Belt, One Road, One Story? Towards an EU-China Strategic Narrative, Palgrave Macmillan. 50,57. 2021.

გზის“ და მსგავსი ფინანსური, თუ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მომავალში უფრო მეტად გართულდება. საქმე იმაშია, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა არსებულ ეტაპზე მიმართულია ჩინეთის გლობალური ამბიციების „მოთოკვისკენ.“ წესით და რიგით, ევროკავშირის მხრიდან ჩინეთის „მოთოკვის“ დღის წესრიგმა მათი დაშორიშორების ტენდენცია უნდა გააღრმავოს. ევროკავშირში ასეთი განწყობების არსებობა 2020 წელს ევროკომისიის პრეზიდენტის განცხადებით დასტურდება, რომლის თანახმად, საერთაშორისო წესრიგის მიმართ ჩინეთის და ევროკავშირის ხედვები ერთმანეთისგან ძირეულად განსხვავდება.¹⁸⁹

3.2 ჩინეთ-ევროკავშირის მსოფლმხედველობითი სისტემები

მსოფლიო მეცნიერებაში მუსირებს მოსაზრება, რომ ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობების ნორმალიზებას რეალურად აბრკოლებს მათ შორის არსებული განსხვავებული მსოფლმხედველობითი სისტემები.

ჩინეთ-ევროკავშირის მსოფლმხედველობით სისტემებს შორის არსებულ განსხვავებათა შედარებამდე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო სუბიექტი, პოსტსუვერენული გაერთიანებაა, რომელიც მიმართულია სუვერენიტეტის ინსტიტუციებისთვის დათმობაზე.¹⁹⁰ ჩინეთის შემთხვევაში კი აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია გვხვდება - ჩინეთი ერი-სახელმწიფოა და მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია სუვერენიტეტი.¹⁹¹

¹⁸⁹ EU-China Summit: Defending EU interests and values in a complex and vital partnership, Press release by President Michel and President von der Leyen, ბოლო ნახვა 05.06.2021, [European Council](#).

¹⁹⁰ Chen, Z. China, the European Union and the fragile world order. JCMS: Journal of Common Market Studies, 54(4), 8, 2016.

¹⁹¹ Geeraerts, G. The EU-China Partnership: Balancing Between Divergence and Convergence, Asia Eur J 17, 9, 2019.

XXI საუკუნის დასაწყისში ევროკავშირში დომინირებდა მოსაზრება, რომ ჩინეთში ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად ეტაპობრივად დამკვიდრდებოდა ლიბერალური დემოკრატია.¹⁹² რეალობაში კი სულ სხვა რამ მოხდა - ჩინეთმა დასავლური მმართველობის საწინააღმდეგო კურსი შეინარჩუნა.

მეცნიერ-მკვლევართა გარკვეული ჯგუფის შეფასებით, ჩინეთი კონფუციანური ცივილიზაციური სახელმწიფოა, ხოლო ევროკავშირი ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული პოსტსუვერენული გაერთიანებაა. შესაბამისად, მათ შორის არსებობს შემდეგი ძირეული განსხვავებები: ცენტრალიზმი (ჩინეთი) და ფედერალიზმი (ევროკავშირი); წესრიგი და თავისუფლება; ერთპარტიული და შეზღუდული მმართველობა; სოციალური წესრიგი და აზრთა სხვადასხვაობა; უმრავლესობის მმართველობა და უმცირესობების ძალაუფლება.¹⁹³

რეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა ნაწილისათვის, ჩინეთ-ევროკავშირის მსოფლმხედველობით სისტემებს შორის ძირეული განსხვავება ჩინეთს მომავალში უფრო გააძლიერებს და საერთაშორისო ასპარეზზე მას უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგებს, საკუთარი პრინციპებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.¹⁹⁴

ლიბერალური სკოლის მეცნიერ-მკვლევართა ავტორიტეტულ ნაწილში საპირისპიროდ ფიქრობენ. მათი აზრით, ჩინეთის მსოფლიო დონეზე

¹⁹² Anthony, I., Zhou, J., Yuan, J., Su, F., & Kim, J. China–EU Connectivity in an Era of Geopolitical Competition, Stockholm International Peace Research Institute, 1, 2021.

¹⁹³ He, W. Sino-Western Cultural Collisions on Belt and Road” Initiative: A Comparison of Confucian Culture and Christian Culture, China and the World: Ancient and Modern Silk Road, Volume 01, Issue 03, 2, 2018.

¹⁹⁴ Ikenberry, G. The Rise of China and the Future of the West: Can the Liberal System Survive? Foreign Affairs, 87(1), 23, 2008.

დაწინაურება არ ნიშნავს იმას, რომ ჩინეთს უკვე საკმარისი იდეოლოგიური რესურსი აქვს, რომელიც არსებული საერთაშორისო წესრიგის ალტერნატივის შექმნას უზრუნველყოფდა.¹⁹⁵

ლიბერალების პოზიციას ბუნებრივია საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქცივისტული სკოლის წარმომადგენლები შეეწინააღმდეგებოდნენ. მათი პოზიციით, ჩინეთს ძლიერი იდეოლოგიური რესურსი კონფუციანიზმის სახით გააჩნია.¹⁹⁶

ჩინეთ-ევროკავშირის მსოფლმხედველობათა შორის შეუთავსებლობას პრობლემად არ უყურებენ ჩინელი მეცნიერ-მკვლევრების გარკვეული ნაწილი. მათი აზრით, ჩინეთ-ევროკავშირის მსოფლმხედველობითი პოზიციების განსხვავება მხოლოდ პირობითია, რადგან ორივე სუბიექტი ერთმანეთზე ეკონომიკურად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული.¹⁹⁷

მეცნიერ-მკვლევართა მცირე ნაწილში ის აზრიც დაფიქსირდა, რომ ჩინეთ-ევროკავშირის მიერ კოვიდ 19-ის პანდემიის წინააღმდეგ მიმართული საერთო ძალისხმევები მომავალში ხელს შეუწყობდა მხარეებს შორის პოზიტიური დღის წესრიგის დაბრუნებას და დააბრკოლებდა ერთმანეთისგან დაშორიშორების (გაუცხოების) მიმდინარე ტენდენციასაც.¹⁹⁸

ჩინეთ-ევროკავშირის განსხვავებებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის ბოლოდან ჩინეთმა მის პრიორიტეტად მრავალპოლუსიანი სამყაროს ფორმირების ხელშეწყობა

¹⁹⁵ Callahan, W. China's Asia Dream": The Belt Road Initiative and the new regional order, London School of Economics and Political Science, UK, 2, 2016.

¹⁹⁶ იქვე.

¹⁹⁷ Hackler, M. Rapprochement amid readjustment: how China sees issues and trends in its changing relationship with the EU. Asia Eur J 18, 256, 2020.

¹⁹⁸ Hackler, M. Rapprochement amid readjustment: how China sees issues and trends in its changing relationship with the EU. Asia Eur J 18, 256, 2020.

დაიხა.¹⁹⁹ მართალია დღეისთვის მრავალპოლუსიანი სამყაროს ცნება არაერთგვაროვანია, მაგრამ ჩინეთი ამ ტერმინის გამოყენებას კვლავ განაგრძობს.²⁰⁰

ჩინეთისგან განსხვავებით ევროკავშირი ტერმინ - მულტილატერალიზმს იყენებს. აღნიშნულს ცხადყოფს 2016 წლის ევროკავშირის გლობალური სტრატეგია, სადაც სიტყვა „მრავალპოლუსიანობა“ დოკუმენტში საერთოდ არ ფიგურირებს, მაშინ როდესაც „მულტილატერალიზმი“ 18 ჯერაა ნახსენები.²⁰¹

ჩინეთ-ევროკავშირის მსოფლმხედველობით განსხვავებათა შედარების კუთხით, მეტად დამაფიქრებელია, ევროპულ მედიაში არსებული ნარატივები ჩინეთის გლობალურ ამბიციებთან და მასშტაბურ პროექტებთან დაკავშირებით:

„*The Economist*“ - ჩინეთის „სარტყელი და გზა“ ეკონომიკური განვითარების პროექტია, რომელიც ნაცვალგების პრინციპებს ეფუძნება; პროექტი ჩინეთს ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობებში ცალკეულ პოლუსად წარმოჩინდეს. ჩინეთი პასუხისმგებელია აზიაში ეკონომიკურ წესრიგზე.

„*Le Monde*“ და „*Le Figaro*“ - „სარტყელი და გზა“ ჩინეთის გლობალურ ექსპანსიის ნაწილია და აზიური სუპერძალის ინსტრუმენტია.

„*Der Spiegel*“ - „სარტყელი და გზა“ გეოპოლიტიკური პროექტი, ხოლო ჩინეთი, მულტიპოლარული სამყაროს ერთ-ერთი ცენტრია.²⁰²

¹⁹⁹ Sino-Russian Joint Statement in 1997, ბოლო ნახვა 05.06.2021 [CNTV](#).

²⁰⁰ Scott, D. A. Multipolarity, Multilateralism and Beyond? EU- China Understandings of the International System, *International Relations*, 27(1), 40-44, 2013.

²⁰¹ A Global Strategy for the European Union's Foreign and Security Policy, ბოლო ნახვა 05.06.2021 [EEAS](#).

²⁰² Miskimmon, A. O'Loughlin, B., & Zeng, J. One Belt, One Road, One Story? Towards an EU-China Strategic Narrative,” *Palgrave Macmillan*. 131. 2021

ჩინეთ-ევროკავშირის მსოფლმხედველობრივი განსხვავებები ნათლად ჩანს მათ სტრატეგიულ და სამთავრობო დოკუმენტებში. მაგალითად, ამ კუთხით მეტად საინტერესოა ჩინეთის ორი სამთავრობო დოკუმენტი: 1) „ევროკავშირის შესახებ ჩინეთის პოლიტიკის დოკუმენტი“ (2018) და 2) „ჩინეთის კომუნისტური პარტიის წესდება“ (2017).

პირველ დოკუმენტში წარმოდგენილია ჩინეთის ევროკავშირთან ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები: სტრატეგიული თანამშრომლობის სახელმძღვანელო პრინციპები; პოლიტიკა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა; სოციალური ურთიერთობები; ვაჭრობა და ფინანსური სფეროები; მდგრადი განვითარება და მეცნიერება. დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ჩინეთისთვის ევროკავშირთან „სარტყელი და გზის“ სტრატეგიული ჰორიზონტის გაფართოებას და მოლოდინს, რომ ევროკავშირი განაგრძობს „ერთი ჩინეთის პრინციპის“ პატივისცემას.²⁰³

საერთაშორისო დონეზე „ერთი ჩინეთის პრინციპის“ პატივისცემა ჩკპ-ის წესდებაშია ასახული, რომელიც პარტიის თეორიულ კომპასს წარმოადგენს. წესდებაში მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში მთავარი ქვაკუთხედი სუვერენიტეტის პატივისცემაა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩკპ-ის წესდებაში სტრუქტურულად და შინაარსობრივად მეტად განსხვავდება დასავლური ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სამთავრობო დოკუმენტებისგან.²⁰⁴

ჩინეთ-ევროკავშირის მსოფლმხედველობრივი განსხვავებების კარგი მაგალითი 2018 წლის 22-23 ივნისს ჩატარებული ჩინეთის საგარეო პოლიტიკის

²⁰³ China's Policy Paper on the European Union, ბოლო ნახვა 01.06.2021, Xinhuanet.

²⁰⁴ Constitution of the Communist Party of China. 19th National Congress of the Communist Party of China. ბოლო ნახვა 01.06.2021, Xinhuanet.

ცენტრალური კონფერენციაზე გაჟღერებული მიზნებია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩინეთის ისტორიაში ასეთი ტიპის მაღალი დონის კონფერენცია სულ ოთხჯერ ჩატარდა - 1971, 1991, 2006 და 2014 წლებში.²⁰⁵ შეხვედრაზე ჩინეთის პრეზიდენტის სი ძინპინის მეთაურობით განისაზღვრა, რომ:

- ჩინური დიპლომატია აბსოლუტურ დაქვემდებარებაში გადავა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან;
- ცენტრალიზმის პრინციპი დიპლომატიური საქმიანობის სისტემის მთავარი საყრდენი გახდება;
- საფუძველი ჩაეყრება ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში კადრების აყვანის ახალ პოლიტიკას, რაც გულისხმობს დიპლომატიური პერსონალის პარტიული კადრებიდან დაკომპლექტებას;
- ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ცენტრალური ასპექტი იქნება „სოციალიზმის დიპლომატიის წარმოება ჩინური მახასიათებლებით.“²⁰⁶

მაღალი დონის კონფერენციაზე გამოთქმული შემაჯამებელი ხედვები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჩინეთში კვლავ აქტუალურია ცენტრალიზმი და ერთპარტიულობა, რაც ევროკავშირის მსოფლმხედველობასთან არათავსებადია და მხარეებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების ხელის შეშლელი ფაქტორია.

²⁰⁵ Xi urges breaking new ground in major country diplomacy with Chinese characteristics, ბოლო ნახვა 04.06.2021, Xinhuanet.

²⁰⁶ Rudd, K. Xi Jinping China and the Global Order: The Significance of China's 2018 Central Foreign Policy Work Conference, An Address to the Lee Kuan Yew School of Public Policy National University of Singapore. 3-7, 2018.

თავი IV. ნოოლოგია და ჩინელი ერის პოლიტიკური ფსიქოტიპი

4.1 ნოოლოგია: თეორიათა სისტემა საზოგადოების

თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონების შესახებ

ემზარ ხვიჩიას 2020 წლის მონოგრაფია - „ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები“ - ერი-სახელმწიფოების ფუნდამენტური კვლევის, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის არადასავლური ცოდნით შევსებისა და დასავლური პაროქიალიზმის დამღევის პირველი ქართული მეცნიერული ალტერნატივაა. აღნიშნული მონოგრაფია თეორიათა სისტემის - „ნოოლოგიის“ შესახებ ძირითად საკითხავ და ამ ეტაპზე, ბოლო სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ეს ნაშრომი დარგთაშორისი ბუნებისაა, თუმცა მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ჰომოსაპიენსთა მოდემის ისტორიაში (გარკვეული ეტაპიდან) მუდამ აქტუალური და ფარულად რეალიზებადი ფსიქიკური მახასიათებლების შესწავლა-გამოვლენას ეთმობა, რომლებიც პირდაპირ გავლენას კაცობრიობის შემდგომ მსვლელობაზე ახდენდნენ.²⁰⁷

2020 წლის მონოგრაფია შედგება სამი ძირითადი თავისგან:

²⁰⁷ ე. ხვიჩიას უფრო ადრეული შრომებია: „ერი როგორც ფილოსოფიური კატეგორია და ონტოლოგიურ-გნესეოლოგიური პრინციპი (1997 წელი); „ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია (2004 წელი); სადოქტორო დისერტაცია - „ინფორმაციული ცივილიზაცია გლობალიზებულ სამყაროში და საქართველო (2012 წელი); სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული ინტერნეტსტატიები და ტელეგადაცემები.²⁰⁷

I. თავი. „ნოოსფერულ სტიქიათა თეორია:“

ამ თავში გადმოცემულია - „ნოოლოგიის“ მიღების მეცნიერული საფუძვლები და მეთოდები; გარკვეული ეტაპის შემდგომ ბიოსფეროს მიმართ ჰომოსაპიენსთა დესტრუქციული დამოკიდებულებისა და მათი დიდ ჯგუფებად გაერთიანებისკენ მისწრაფების მთავარი მაპროგნოზირებელი ფსიქიკური ფაქტორები .

II თავი. „ციკლური ლოგიკა: ნოოლოგიურ სტიქიათა თეორია“

მონოგრაფიის მეტად ფილოსოფიური ნაწილი, რომელიც თეორიის ლოგიკურად დაზუსტებას ეძღვნება. ავტორი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით აანალიზებს ფილოსოფიურ მეცნიერებებში ყველაზე განხილვად და დღემდე გადაუჭრელ პრობლემას - მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართებას. ამ ურთიერთმიმართების ავტორისეული განსაზღვრებით კაცობრიობის განვითარების ისტორია, როგორც თვითორგანიზაციის უზოგადესი ლოგიკის რეალიზაცია, ციკლური ხასიათისაა.

III თავი. „დედამიწის ნოოსფეროს ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა“

ეს თავი წინა ორი თავის სინთეზია, სადაც თეორიის კერძო რეალიზაციაა წარმოდგენილი. შესაბამისად, განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების არსი და ხასიათი, რის მიხედვით შემოთავაზებულია მსოფლიო წესრიგის ნოოლოგიური ოპტიმალური მოდელი.

სახელმძღვანელოს დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ ნოოლოგიის რომელიმე არსებულ სამეცნიერო დისციპლინასთან მისადაგება შეუძლებელია, რადგან ნოოლოგიის ფარგლებში მიღებული შედეგები ცოდნის სფეროს სრულიად ახლებურად გააზრებას გულისხმობს, ერთგვარი პარადიგმული ნახტომია და შესაბამისად, საჭიროებს ახალ აკადემიურ დისციპლინად

დამკვიდრებას. მიუხედავად ამისა, ნოოლოგიის მეცნიერული ექსკლუზიურობა მისი არიდების საფუძველს არ იძლევა, რადგან მკითხველი, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ნოოლოგიას მისთვის ყველაზე ახლო და მონათესავე ინტერესთა სფეროებს უსადაგებს. აღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ ნოოლოგიის ერთ-ერთ სიძლიერედ კი. ამ თავში ჩვენ სწორედ ამ მიდგომით ვიხელმძღვანელებთ და ე. ხვიჩიას მონოგრაფიას გავაშუქებთ პოლიტიკის, ისტორიის, ფილოსოფიის, ანთროპოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინების პოზიციებიდან.

ნოოლოგიის თეორიათა სისტემის შექმნაზე დიდი გავლენა მოახდინა ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიამ.“ როგორც დ. უზნაძე იუწყებოდა, „განწყობა“ სუბიექტსა და გარე სამყაროს შორის შუამავალი რგოლია, რომელიც სუბიექტის ფსიქიკის სიმრთელის ნაწილი და ამავედროულად, ქცევის წინმსწრები მექანიზმია. ეს იმას ნიშნავს, რომ განწყობის ფენომენი ყოველთვის დიდ ზეგავლენას ახდენდა ადამიანთა ცხოვრებაზე და ზოგადად, ისტორიულ პროცესების მსვლელობაზე. ნოოლოგიის პირველი თავი - „ნოსფერულ სტიქიათა თეორია“ სწორედ დ. უზნაძის „განწყობის თეორიის“ რეაქტუალიზაცია და ლოგიკური გაგრძელებაა.²⁰⁸

მაშ, რა არის „ნოსფერულ სტიქიათა თეორია“ და რამდენად კორელანტურია ის „განწყობის თეორიასთან“?

დ. უზნაძისგან განსხვავებით, ე. ხვიჩიამ სუბიექტის განწყობის აბსოლუტურად უცვლელი ელემენტის არსებობა აღმოაჩინდა. მის მონოგრაფიაში საუბარია იმაზე, რომ ცოცხალი ორგანიზმის

²⁰⁸ ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითმმართველი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 8-9, 2020.

არსებობას/მოქმედებას, თან ახლავს მარადაქტუალური ციკლური რიგითობის წესით ურთიერთდაკავშირებული რეალიზებადი ასპექტები, რომელთა რიცხვი ოთხია: მართვის ასპექტი, ფორმის ასპექტი, ძლევის ასპექტი და ცხრომის ასპექტი. სავსებით შესაძლოა, რომ ცოცხალ ორგანიზმებში მოქმედების ოთხი ფაზის მარადაქტუალობა ნაკარნახევი იყოს ბიოსფეროს სირთულეებთან ადაპტაციისა და განმკლავების ინსტინქტით. ამ ასპექტის ციკლური მონაცვლეობა მოქმედების ადეკვატურობის განმსაზღვრელი პირობაა.

მოქმედების ოთხი ასპექტი:

1) **მართვის ასპექტი** - ნებისმიერ მოქმედებას თან ახლავს სამოქმედო საშუალებების მიმართვის აქტუალიზაცია. მოქმედების დაწყებამდე სუბიექტს უყალიბდება მისი ქმედების მართვის განწყობა, რაც დაკავშირებულია სამოქმედო არეზე თანდაყოლილი თუ ხელოვნური ინსტრუმენტების (სამოქმედო საშუალებები) მომართვასთან.²⁰⁹


2) **ფორმის ასპექტი** - სამოქმედო საშუალებათა მომართვის შემდგომ, დგება მათი განხორციელების ფორმის შექმნის/განსაზღვრის საჭიროება, რაც ამავედროულად, მოიცავს მოქმედების არეზე სხვადასხვა ობიექტებს შორის ურთიერთკავშირების დამყარებასა და მათი მიმდინარეობისთვის გარეგნული საშუალებების მინიჭებას.

3) **ძლევის ასპექტი** - მოქმედების ფორმის ქმნის აქტის შემდგომ, სუბიექტში ირთვება მოქმედების არეზე არსებულ ხელისშემშლელ ფაქტორთა გადალახვის ასპექტი. შესაბამისად, სუბიექტში აქტიურდება ხელოვნური თუ ბუნებრივი ბარიერების მიმართ დამღევის განწყობა.

²⁰⁹ ე.ხვიჩიასთან ეს ინსტრუმენტებია: ბუნებრივი თუ ხელოვნური ინსტრუმენტები, თანდაყოლილი და შეძენილი უნარ-ჩვევები, სხვა ინდივიდებზე გავლენის მოხდენის ბერკეტები და ა.შ

4) **ცხრომის ასპექტი** - სუბიექტის მხრიდან მოქმედების არეზე ხელისშემშლელ ფაქტორთა დამლევის შემდგომი ასპექტი დამაბულობისა და სტრესის მოხსნისკენ მისწრაფებაა (რელაქსაცია).

ნოოლოგიური ტერმინოლოგიით, მოქმედების ოთხი ასპექტის ლოგიკურ ურთიერთკავშირს ფენომენს ეწოდება - „განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი.“ ეს უკანასკნელი სუბიექტის განწყობის სფეროს ელემენტია.²¹⁰




სქემა № 4: „განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი“

„განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის“ შესწავლისას, ე. ხვიჩიამ დაადგინა, რომ ბიოსფეროში მხოლოდ ჰომოსაპიენსის არსებობის შემთხვევაში მოხდა მოქმედების ლოგიკური

²¹⁰ ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითემარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 11, 2020.

ფაზებიდან ერთ-ერთთან თვითგაიგივების აქტი და მასზე სამუდამოდ ფიქსაცია. ნოოლოგიური ტერმინოლოგიით, ამ თვითგაიგივების აქტს ეწოდება „თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაცია.“

ე. ზვიჩიას გადმოსახედით, თვითრეფლექსიურმა თვითიდენტიფიკაციამ ჰომოსაპიენსთა ცხოვრებაში იმდენად დიდი პარადიგმული ცვლილებები გამოიწვია, რომ შეგვიძლია შევადაროთ ადამიანში „სულის შთაბერვის აქტს.“²¹¹ ჰომოსაპიენსის მიერ მოქმედების ლოგიკურ ასპექტთაგან ერთ კონკრეტულზე შეჩერებამ და მასთან თვითგაიგივების პროცესის ინიცირებამ, ჰომოსაპიენსთა ბუნებრივი გარემოდან (ბიოსფეროს) სრულიად ახალ განზომილებაში ტრანზიცია გამოიწვია. ნოოლოგიური ტერმინოლოგიით, ამ ტრანზიციის დანიშნულების ადგილი სინამდვილის სრულიად ახალი ნაწილია და მას ნოოსფერო (იხ. სქემა № 5) ეწოდება.




²¹¹ ზვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა დამდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 18, 2020.

სქემა № 5: ჰომოსაპიენსის მიერ ბიოსფეროს დატოვება და ნოოსფეროში ტრანზიცია

რთულია იმის დადგენა, თუ რა კონკრეტულმა გარემო-ფაქტორებმა განაპირობა ადამიანის მიერ მოქმედების ოთხი ასპექტიდან მხოლოდ ერთ-ერთზე შეჩერება, თუმცა სავარაუდოა, რომ მასზე დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ბუნებრივ და გეოგრაფიულ გარემოებებს.

„თვითრეფლექსიურმა თვითიდენტიფიკაცია,“ რომელსაც ე. ხვიჩია უწოდებს „ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნას,“ ოთხი განსხვავებული შედეგი აქვს: მართვის მანია, ფორმის მანია, ძლევის მანია და ცხრომის მანია. ნოოლოგიაში სიტყვა „მანია“ სუბიექტის გარკვეული ფსიქიკური ფაქტორების დომინანტურობის ხაზგსამას ემსახურებას.

თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაცია



თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაცია

----- მოქმედების ლოგიკური ფაზები

სქემა № 6: თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაცია

ე. ხვიჩია „თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის“ აქტის დამდგარ ფაქტს უწოდებს „განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნას“ (ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნა).“

მონოგრაფიაში სიტყვა „გადაგვარებულობა“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგანაა ნასესხები, ადამიანის ცხოვრებაში ამგვარი გარდაქმნა მხოლოდ ერთხელ ხდება.²¹²

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნოოსფეროს სუბიექტები მხოლოდ გადაგვარებულობა მოხსნილი ჰომოსაპიენსია. მათ ეწოდებათ ნოოიდები, იგივე - პიროვნებები. სწორედ ამიტომ, ნოოსფეროს ექსკლუზიურ ფენომენებად შეგვიძლია დავასახელოთ კულტურა (მისი მრავალი ასპექტით) და საზოგადოების თვითორგანიზაციის განსაკუთრებული პრინციპები (სტრუქტურა) ე. ხვიჩიას დაკვირვებით, გადაგვარებულობის მოხსნის ერთ-ერთი სიმპტომი ენობრივი კომუნიკაციის უნარის გამოვლენაა - ბიოლოგიური სასიგნალო ენიდან ინტერპრეტაციის ენაზე გადასვლა.²¹³

ე. ხვიჩიას მონოგრაფიის ტექსტის პირველი ნაწილი სწორედ გადაგვარებულობა მოხსნის სიმპტომების აღწერას და ამ პროცესის მიმდინარეობის მეცნიერულ დასაბუთებას ეთმობა. ტექსტის ამ ნაწილის

²¹² ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითგმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 13-21, 2020.

²¹³ იქვე, 2020.


გააზრების შემდეგ, მკითხველი დაასკვნის, რომ ადამიანების დამოკიდებულება სინამდვილეს მიმართ ფუნდამენტურად განსხვავებულია და განვითარების პროცესში განიცდის ნახტომისებურ ცვლილებებს. ამ თვალისაზრისით, ბუნებრივია გაჩნდება შეკითხვა - რატომ ხდება ჰომოსაპიენსთა მრავალრიცხოვან კოლექტივებად ფორმაცია, ერთმანეთთან კომუნიკაციის არხების დივერსიფიცირება და კოორდინირებულად მოქმედება?

ჰომოსაპიენსთა უპრეცედენტო გამსხვილების, კომუნიკაციისა და კოორდინაციის მასშტაბების ზრდა, სწორედ ოთხი ნოოსფერული სტიქიის პიროვნებათა შესაძლო რეალიზაციის არსებობის ფაქტს უნდა გამოეწვია. საქმე იმაშია, რომ გადაგვარებულობის მოხსნა ძლიერი ფსიქოლოგიური დისკომფორტის მომტანია, რადგან ის მოქმედების ზემოხსენებული ოთხი ასპექტის ციკლური ურთიერთკავშირის ჭაჭვს არღვევს. ამდენად, გადაგვარების მოხსნის მდგომარეობაში მყოფ ჰომოსაპიენსს გაუჩნდა მოტივაცია ამ დისკომფორტიდან თავის დახწევისკენ, რისი განხორციელება შესაძლებელი იყო ორი გზით: 1) მასშავით მსგავს მდგომარეობაში მყოფ პიროვნებებთან გაერთიანებით (ერის ფორმაციის წინაპირობა) და 2) განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პიროვნებებთან თანაარსებობით (ცივილიზაციის ფორმაციის წინაპირობა).²¹⁴

ე. ხვიჩიას მიხედვით, ერი სწორედ ერთერთი ნოოსფერული სტიქიის რეალიზაციაა, რომელიც წარმოდგენილი შეიძლება იყოს ინდივიდთა ნებისმიერად დიდი სიმრავლისა ან თუნდაც, ერთი ინდივიდის სახით. ერი ასევეა ერთერთი ნოოსფერული სტიქიის დამახასიათებელი მსოფლმხედველობის, აზროვნების, კულტურისა და სოციალური წეს-ჩვეულებების აკუმულირების სივრცე. ადამიანების მსგავსად, ერები ოთხ ფსიქოტიპად კლასიფიცირდებიან: ერთა მართვის მანიის კლასი, ერთა ფორმის

²¹⁴ ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 26, 2020.

მანიის კლასი, ერთა ძლევის მანიის კლასი და ერთა ცხრომის მანიის კლასი. ნოოლოგიური ტერმინოლოგიით ერს ეწოდება ნოოსი.²¹⁵



სქემა № 5: ერის ფორმაცია. პიროვნებათა კოლექტიურ სუბიექტად ტრანსფორმაცია.

ერში ერთი და იგივე თვისებრივი ტიპის პიროვნებათა კვლავწარმოებას უზრუნველყოფს ამ ერის მსოფლმხედველობითი, ისტორიული, კულტურული

²¹⁵ ხეიჩია, ე. ნოოლოგია, თვითემარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 24, 2020.

და საზოგადოებრივი მახასიათებლები და სუბიექტის მიერ ყოველივე ამასთან ზიარება. ნოოლოგიური ტერმინოლოგიით, თაობიდან თაობაში გადაცემული მემკვიდრეობითი უწყვეტობის ჯაჭვს ეწოდება დინასტიის ეფექტი. როგორც დავინახეთ, ეს უკანასკნელი სწორედ ის მექანიზმია, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების ერთ-ერთ ნოოსფერულ სტიქიაზე შეჩერებას.²¹⁶

ერის შიგნით ერთი და იმავე ნოოტიპის კვლავწარმოებაზე დიდ (თუმცა არა ერთადერთს) ზეგავლენას ახდენს იდენტური მოდუსის პიროვნებათა გარემოცვაში აღზრდის პროცესი. ადამიანის ნოოტიპურად ერთგვაროვან გარემოში ცხოვრება, მასში ამკვიდრებს ამ ნოოტიპის შესაბამისი ქცევის მოდელებს.²¹⁷

ე. ხვიჩიას მიერ პიროვნებისა და ერის ფენომენის განსაზღვრებებმა ტერმინი -„ცივილიზაცია“ განმარტა, როგორც სოციუმი, რომელიც ოთხი ნოოსფერული სტიქიის რეალიზაციის სივრცეს წარმოადგენს. ე. ხვიჩიას აზრით, ცივილიზაციის მდგომარეობა, გარკვეული წესის მიხედვით, ცივილიზაციური ფაზების სახით იცვლება. ყოველი ცივილიზაციური ფაზა კონკრეტული ნოოსფერული სტიქიის აქტიურობისა და პროდუქტიულობის ეტაპების მონაცვლეობაა, რაც კაცობრიობის განვითარების ხაზისის არაერთგვაროვნებაზე მიუთითებს. ცივილიზაციები ასევე შეიძლება განსხვავდებოდეს ცივილიზაციური ფაზათა ცვლის სქემის მიხედვით. კაცობრიობის ისტორიაში დადასტურებულია რამდენიმე ცივილიზაციის არსებობა (იხ. ნიმუში № 5). ნოოლოგიური ტერმინოლოგიით, ცივილიზაციას ეწოდება ნოოცენოზი.

²¹⁶ ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითემარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 23, 2020.

²¹⁷ იქვე, 147-149. 2020.

ადამიანთა ცხოვრებაში ნოოცენოზთა ფორმირება მეტად კომპლექსური პროცესით წარიმართა, რადგან მისი ჩამოყალიბება გამოწვეული უნდა ყოფილიყო ჰომოსაპიენსთა მიერ ბიოსფეროს დატოვების შედეგად მიღებული ფსიქოლოგიური ზიანის კონპენსაციისა და ნოოსფეროს გამთლიანების მოტივით. გადაგვარებულობის მოხსნის შემდგომ, ბიოსფეროსთვის დამახასიათებელი სისტემური სიმთელე ადამიანის ცხოვრებაში განსხვავებული გამოვლინებებით აისახა (ნოოცენოზური ფაზების ცვლა, ნოოფილოგონეზენი, ნოონტოგენეზი).

ე. ხვიჩიას ჰიპოთეზით, საწყის ეტაპზე, გადაგვარება მოხსნილ ადამიანებს არ შეეძლოთ ნოოტიპური გაერთგვაროვნების პროცესის ინიცირება, რომელიც გულისხმობდა ერთი ნოოტიპის გარშემო ადამიანთა დიდ მასშტაბებში კომპაქტურად დასახლებას. ე. ხვიჩიამ ამ შეფერხების ტრივიალურ მიზეზად დაასახელა საარსებო რესურსების მოპოვებისთვის არასაკმარისი ტექნოლოგიური ცოდნა.

ცხადია, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ტექნოლოგიების განვითარების გარეშე, წარმოუდგენელი იქნებოდა ადამიანთა დიდ ჯგუფებად ჩასახლება. აქედან გამომდინარე, ე. ხვიჩიას დაშვებით, საწყის ეტაპზე, პიროვნებად შემდგარი ადამიანები არსებობას ბიოცენოზური წესით მიხედვით აგრძელებდნენ და დისკომფორტისგან თავის დაღწევის უპირატეს საშუალებად მოიაზრებოდა სოციალური ურთერთობების მეორე, ცივილიზაციური გაერთიანებების ფორმაციის გზა, რაც გულისხმობს განსხვავებული ნოოტიპების თანაარსებობას. კაცობრიობის განვითარების ისტორიის ამ მნიშვნელოვან ეპიზოდს ე. ხვიჩიამ უწოდა „ნოოსფერული ოპტიმუმის ბიოსფერული ოპტიმუმით შეზღუდვის სინდრომი.“²¹⁸

²¹⁸ ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 26, 2020.

სწორედ მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების წარმოების საკმარისი ტექნოლოგიების გაჩენას უნდა გამოეწვია „ნოსფერული ოპტიმუმის ბიოსფერული ოპტიმუმით შეზღუდულობის სინდრომის“ მოხსნა. ე. ხვიჩიას აზრით, ადამიანთა „ნოსფერული ოპტიმუმით“ შეუზღუდველად არსებობა უნდა დაწყებულიყო ათი ათასზე მეტი წლის წინათ, რაც დასტურდება მიწათმოქმედების უძველესი ტექნოლოგიების აღმოჩენით, წინა აზიასა და აინური ხანის იაპონიაში.²¹⁹

საარსებო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა ცივილიზაციის უფრო რთული წარმონაქმნი - „მეორეული ცივილიზაციები.“ ე. ხვიჩიას განმარტებით, „მეორეული ცივილიზაციები“ „პირველადი ცივილიზაციების“ ასიმილაციის შედეგად ჩამოყალიბდა, რის ფარგლებში მოხდა ადამიანთა ნოტიპური დიფერენციაციის პროცესის ინიცირება. ე. ხვიჩიას პოზიციით, „პირველადი ცივილიზაციებიდან“ „მეორეულ ცივილიზაციებში“ ტრანზიციამ გზა გაუხსნა კაცობრიობაში ექსპანსიონიზმის პარადიგმის გააქტიურებას.

მიუხედავად იმისა, რომ „მეორეული ცივილიზაციების“ პირობებში მოიხსნა „ბიოსფერული ოპტიმუმი,“ ადამიანის განვითარების ისტორიის შემდგომ მსვლელობაზე ბიოსფერული გავლენები როდი გამქრალა. ბიოსფერული სისრულის პირობა, ე.ი მოქმედების სისრულის ოთხ ასპექტიანობა, ნოსფეროშიც აისახა. სხვა სიტყვებით, ბიოსფეროში მოქმედების სისრულის ოთხი ლოგიკური ასპექტის მარადაქტუალობის არსი უშუალოდ გამოვლინდა ნოსფეროში ნოცენოზების სტრუქტურის სახით (იხ. ნიმუში № 5).

²¹⁹ ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 2020.



-  დასავლეთევროპული ცივილიზაცია
-  ჩინური ცივილიზაცია
-  ეგეოსური ცივილიზაცია
-  ინდური ცივილიზაცია
-  იაპონური ცივილიზაცია
-  დიდი სტეპის ცივილიზაცია
-  ეგვიპტური ცივილიზაცია
-  შუმერული ცივილიზაცია
-  მაიას, აცტეკებისა და ინკების ცივილიზაციები

ნიმუში № 5: მეორეული ცივილიზაციები (არასრული რუკა)

ე. ხვიჩიას აზრით, ცივილიზაციათა განვითარების სივრცეზე წარმოდგენილი ოთხივე ნოოსფერული სტიქია ესტაფეტურად ცვლის ერთი მეორეს, კონრეკრეტული და მკაცრად განსხვავებული სქემის მიხედვით. მაგალითად, ე. ხვიჩიამ „დასავლეთევროპული ცივილიზაციის“ მაგალითზე


ცივილიზაციური მსვლელობის ფაზების ცვლის სქემა წარმოადგინა ფორმისა და ცხრომის მანიის ორმაგი ეფექტის, ხოლო ძლევისა და მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზების მონაცვლეობის პროცესად. ცივილიზაციაში ფაზათა ცვლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ცივილიზაციის შიგნით ინფორმაციის დაგროვების სიჩქარეზე. ე. ხვიჩიას გამოთვლებით, თანამედროვე დროში ფაზათა ხანგრძლივობა ისტორიულ მინიმუმამდეა, დაახლოებით 20 წლამდე შემცირდა, ინფორმაციის გავრცელების სიჩქარის ზრდიდან გამომდინარე.²²⁰

ზემოხსენებული მეცნიერული დაშვებების მიხედვით, მსოფლიო ისტორია ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს: 1) მულტიცივილიზაციური ეპოქა - ნოოსფერულ გამთლიანებამდე პერიოდი. 2) მონოცივილიზაციური ეპოქა - ნოოსფეროს გამთლიანების პერიოდის შემდგომი (1946 წლიდან დღემდე).

მსოფლიო ისტორიული პროცესების ანალიზისას, ე. ხვიჩიამ დაასკვნა, რომ „დასავლეთევროპული ცივილიზაციის“ ფაზათა მიმდინარეობის სქემის დასასრული დადგა 1946 წელს, როდესაც ერთა ლიგამ არსებობა შეწყვიტა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, დედამიწა აბსოლუტურად მოიცვა „ეგეოსურმა ცივილიზაციამ“,²²¹ სადაც ფაზათა მიმდინარეობის სქემა „დასავლეთევროპული ცივილიზაციისგან“ დიამეტრიულად განსხვავდებოდა: ძლევის მანია და მართვის მანია დაწყვილებულია და პასუხობს ორგანი ეფექტის ფაზებს, რომელსაც მონაცვლეობით მოსდევს ფორმის მანიისა და ცხრომის მანიის ცალფა ეფექტების ფაზები (სქემა № 7).


²²⁰ ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითემარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 216, 2020.

²²¹ „ეგეოსური ცივილიზაციის არსებობის დასაწისი დაახლოებით 2000 – 1100 წლები ქრისტეშობამდე - დღემდე.



სქემა № 7: ეგეოსური ცივილიზაციის ფაზათა მიმდინარეობა

ნოოლოგიის ფარგლებში გამოვლინდა, რომ პიროვნება (ნოოიდი) და ერი (ნოოსი) გადიან იდენტური საფეხუროვანი განვითარების გზას, რომელთაც ნოოლოგიური ტერმინოლოგიით, ეწოდებათ ნოოონტოგენეზი და ნოოფილოგენეზი. კაცობრიობის ისტორიის მაგალითზე განვითარების ოთხი საფეხურის რეალიზაცია დაფიქსირდა. ე. ხვიჩიამ მათ პირობითად უწოდა: ტოტემური, მითოსური, რელიგიური და სამეცნიერო საფეხურები. ნოოსფერული საფეხუროვანი სისტემის შესწავლის ობიექტია ადამიანის ფსიქოლოგიური ასპექტების განვითარება (იხ. სქემა №8).



სქემა № 8: ნოოფილოგენიზისა და ნოონტოგენეზის საფეხურები.

ნოოსფეროს განვითარება გამოიხატება ნოონტოგენეზისა და ნოოფილოგენეზის მოვლენაში. პიროვნებათა ნოონტოგენეზის ჯამური ეფექტი ერის ნოოფილოგენეზის საფეხურის შესაბამისია. საკუთრივ ერების დიფერენციაცია შესაძლებელია ნოოფილოგენეზური საფეხურების მიხედვითაც, ხოლო მათი ნოოფილოგენეზური საფეხურის რომელობის იდენტიფიცირება შესაძლებელია პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობისა და ინტელექტუალურ-კულტურული მიღწევების შეფასებით.

ნოოლოგიის თეორიული სისტემის მიხედვით, ნოონტოგენეზისა და ნოოფილოგენეზის თითოეული საფეხური გულისხმობს სინამდვილის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებაში ყოფნას. ეს უკანასკნელი ადასტურებს ნოოფილოგენეზის საფეხურებს შორის პარადიგმული განსხვავებების არსებობას. პიროვნების შემთხვევაში, ნოონტოგენეზი სუბიექტის ფსიქიკის მთელ შინაარს იკავებს, ხოლო ნოოფილოგენეზი ერთა თვითორგანიზაციის მოვლენაში გამოიხატება. ხაზგასასმელია, რომ კაცობრიობის ისტორიაში ნოოფილოგენეზი ყოველთვის უთანასწოროდ მიმდინარეობდა, რადგან ყველა

ერის წინაშე იდგა სხვადასხვა ბუნებრივი (გეოგრაფია) თუ გამოწვეული (იმპერიალიზმი) ხელისშემშლელი გარემო-ფაქტორები.

პირველი საფეხური - ტოტემიზმი:

ადამიანის გადაგვარებულობის მოხსნის უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა. ამ დროს ინდივიდი მისი ბიოლოგიური მოცემულობის თვითასოცირებას ახდენს განსხვავებულ გარეგან ობიექტთან, იგივე ტოტემთან. ტოტემურ საფეხურზე მეტად აქტუალური ხდება პიროვნების წინააღმდეგობა საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობის მიმართ - სუბიექტი ბიოლოგიური მოცემულობით განსაზღვრულ გადაგვარებულ მდგომარეობას გაურბის.

სინამდვილის ობიექტების ტოტემებად წარმოდგენა გულისხმობს პიროვნების მიერ არსებობის საზრისის გარეთ ძიებას, ბიოსფეროს სხვა სახეობათა და ფენომენებთან თვითასოცირების მეშვეობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტოტემურ საფეხურზე პიროვნება საკუთარ თავს გამოხატავს გარე სინამდვილის სხვა ობიექტების იმიტაციით. ე. ხვიჩიას ანალიზით, გადაგვარების მოხსნის შემდგომ, პიროვნების არსებობის საზრისის მაიდენტიფიცირებელი ტოტემები სწორედ იმ ნოოსფერული სტიქიის გავლენით შეირჩევიან, რომელზეც მოხდა ფიქსაცია. სწორედ ამ უკანასკნელს უნდა გამოეწვია კაცობრიობის ისტორიაში სხვადასხვა ტოტემის არსებობა.²²²

ნოოფილოგენეზის მომდევნო საფეხურია მითოსი, რომელმაც კაცობრიობას მოუტანა სინამდვილის კომპლექსური აღქმისა და შემეცნების ახალი ფსიქიკური უნარები.

მეორე საფეხური - მითოსი:

²²² ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითემარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 28-36, 2020.

ნოოონტოგენეზისა და ნოოფილოგენეზის მეორე, მითოსური საფეხურისთვის დამახასიათებელია სამყაროს სუბიექტური აღქმა და საკუთარი შინაგანი გამოცდილების საფუძველზე მისი ინტერპრეტაცია. მითოსურ საფეხურზე, პიროვნება ახდენს საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობების ნოოსფერულ რეფუნქციონალიზაციას, რომლებიც ტოტემიზმის საფეხურზე ითრგუნებოდნენ.

განსხვავებით ტოტემური საფეხურისგან, მითოსი სინამდვილეს ანთროპომორფული (ადამიანების მსგავსი) ფენომენების საუფლოს წარმოადგენს. ეს დადასტურებულია „სულის“ რაობის მიმართ საფეხუროვანი განსხვავებით. მაგალითად, მითოსური საფეხურის პარადიგმის მიხედვით „სული“ პიროვნების ბიოლოგიური მოცემულობის სილუეტი და აჩრდილია, ხოლო ტოტემიზმში, სული წარმოდგენილია ბიოსფეროს სხვა ფენომენების იერით.²²³

ტოტემური საფეხურიდან მითოსში ტრანზიციის შინაარსის აღქმის შესაძლებლობას გვაძლევს მითოსური პერიოდის ქმნილება - კენტავრი. კენტავრი ნახევარ ადამიანი და ნახევარ ცხენია. შესაბამისად, ის ორი ბუნების მატარებელია. მისი სხეულის პრიორიტეტული ნაწილი ანთრომორფულია (მითოსი), ხოლო მეორე - ცხოველურია (ტოტემი), რაც ასახავს კაცობრიობის ერთი საფეხურიდან მეორეში კონსტრუქციული ტრანზიციის პროცესს.²²⁴

მესამე საფეხური - რელიგია:

კაცობრიობის ისტორიაში შემდგომი საფეხურებრივი განვითარება წინა საფეხურების უარყოფით მოხდა. ე. ხვიჩიას მსჯელობის თანახმად, რელიგიურ საფეხურზე პიროვნების ბიოლოგიური მოცემულობა ხდება

²²³ ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითგმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 39, 2020.

²²⁴ იქვე, 37-40

უგულებელყოფლობის საგანი და კარგავს პიროვნების ყოველგვარ მაიდენტიფიცირებელ ფუნქციას. რელიგიური საფეხურისთვის სახასიათოა უატრიბუტოება, არსად თვითიდენტიფიკაცია და თვითკმარობა. სწორედ ამიტომ, ამ საფეხურზე მეტად აქტიურდება პიროვნების არსებობის ფაქტში საკუთარი ბიოლოგიური იმპულსებისა თუ ინსტინქტების (მაგალითად, სქესობრივი ინსტინქტი) იგნორირება, რწმენისა და ნებისყოფის ფაქტორის, მორალისა და ეთიკის კატეგორიები.

რელიგიურ საფეხურზე პიროვნების მიერ საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობისადმი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება თითქოს ტოტემური საფეხურის ერთგვარი ანალოგიაა, თუმცა ე. ხვიჩიამ პირველ და მესამე საფეხურს შორის დიდი სხვაობა დაინახა. მისი თქმით:

„პირველ საფეხურზე ინდივიდის საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობის ჩანაცვლება ხდება სხვა მატერიალური (მათ შორის სხვა მოდუსის ბიოლოგიური) მოცემულობით, ან მატერიალური მოცემულობის რაიმე ატრიბუტით, მესამე საფეხურზე კი ყოველგვარი მატერიალური მოცემულობის არიდებაა მთავარი ამოცანა.“²²⁵

მეოთხე საფეხური - მეცნიერება:

ამ ეტაპზე არსებული ცოდნით, ნოოონტოგენიზისა და ნოოფილოგენიზის მეოთხე, სამეცნიერო საფეხური კაცობრიობის ნოოსფერული განვითარების ბოლო იდენტიფიცირებული ეტაპია. სამეცნიერო საფეხურისთვის დამახასიათებელია პიროვნების დისტანცირება სინამდვილის ობიექტების მიმართ. სხვა სიტყვებით, ამ საფეხურზე პიროვნება აფასებს მის მომცველ სინამდვილეს და საკუთარ თავს გარე დამკვირვებლის პოზიციიდან.

²²⁵ ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 47, 2020.

სამეცნიერო საფეხურზე „რწმენის“ პრიმატს ანაცვლებს „ეჭვის“ პრიმატი. ეს პიროვნებას სინამდვილისა და საკუთარი თავის მიმართ გაუცხოებულ მდგომარეობაში აყენებს.²²⁶

სამეცნიერო საფეხურის სახასიათო მომენტი მეცნიერული ლოგიკისა და სინამდვილის ობიექტების შესწავლის დროს პირადი გამოცდილებებისგან აბსტრაგირების უნარის განვითარება.

ხაზგასასმელია, რომ ნოოლოგიის თეორიათა სისტემა არ ამოიწურება ნოონტოგენეზისა და ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურით. ნოოლოგია დასაშვებად ცნობს მეხუთე და შემდგომი საფეხურის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, თუმცა მათი კონკრეტული იდენტიფიცირების შესაძლებლობა, ამ ეტაპზე, მხოლოდ დაშვებებით შეუძლია.

4.2 ფორმის მანია, ჩინეთი და ოპტიმალიზმის დოქტრინა

ნოოლოგიის შედეგებით საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინას შეემატა ამ დარგისთვის აქამდე უცნობი თეორიულ-მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდა ერთა თვისებრივი ტიპების (ფსიქოტიპი) მიხედვით კლასიფიკაცია. ამრიგად, ახალი თეორიული ცოდნით, ერი მხოლოდ შეიძლება იყოს ფორმის მანიის, ძღვეის მანიის, ცხრომის მანიისა ან მართვის მანიის კლასის წარმომადგენელი.

საინტერესოა, თუ რა პრინციპით ხდება ერთა კონკრეტულ თვისებრივ ჯგუფში განთავსება?

ეს ძირითადად რამდენიმე ანალიტიკური ხერხით შეიძლება განხორციელდეს. ყველაზე ეფექტური და ნაკლები ცდომილების

²²⁶ ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითმმართველობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 53, 2020.

შესაძლებლობას იძლევა ერთა საზოგადოებრივი განვითარების პროცესების, ინტელექტუალური მემკვიდრეობისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის სტრუქტურის რეტროსპექტული ანალიზი. დიდ-წილად, სწორედ ასეთი ანალიტიკური ხერხების გამოყენებით, ე.ხვიჩიამ ერთა ფორმის მანიის კლასს მიაკუთვნა ჩინეთი.

ფორმის მანიის კლასის ერს წარმოადგენს იმ სუბიექტთა კოლექტიური ერთობა, რომელთა არსებობის საზრისი სინამდვილის ობიექტთა ფორმისქმნასა, მინიჭებასა და შენარჩუნებაში გამოიხატება. ერთა ფორმის მანიის კლასის წარმომადგენლები არიან: ირანელები, არაბები, თურქები, ლათინური ამერიკის ქვეყნების დიდი ნაწილი, ჩინელები, გერმანელები, იაპონელები, კორეელები, სკანდინავიის ქვეყნები, იტალიელები, ესპანელები, პოლონელები, ებრაელები, უნგრელები, უკრაინელები და ა.შ.

ფორმის მანიის პიროვნებებისთვის სინამდვილე მიზეზობრივადაა განპირობებული.

ერთა ფორმის მანიის კლასის შემადგენელი ნაწილები (ფორმის მანიის სუბიექტები) მთელის კერძო დეტალებად იდენტიფიცირდებიან. ასეთი საზოგადოებრივი ერთობის წევრების არსებობის ამოსავალი მდგომარეობის მახასიათებელი, ე.ი. თვითორგანიზაციის (მთელის კერძო დეტალებად თვითიდეტიფიცირება) წინმსწრები კატეგორია „თანხმობაა.“ ფორმის მანიის პარადიგმის მიხედვით სინამდვილე ორგანიზებულია მთელის პირველადობის პრინციპით. ეს ნიშნავს, რომ ნაწილების მიმართ მთელი ყოველთვის პირველადია.

„მთელის პირველადობის პრინციპს“ ყოფიერების ნორმატიულობის „ჯერარსის“ კატეგორიასთან მიყვავართ. ნოოლოგიაში „ჯერარსი“ გულისხმობს,

რომ ყოველი ობიექტის საზრისი პირველ რიგში არსიდან (სისტემური შემკრები მთელი) გამომდინარეობს.

ფორმის მანიის კლასის ერებში არსებობის საზრისის „ჯერარსული“ წარმოდგენა მოითხოვს პიროვნების თვითრეალიზაციის ორიენტირად „მოვალეობის“ დასახვას „თანხმობის“ პირობით. სუბიექტის თვითრეალიზაციის ორიენტირად „მოვალეობის“ დასახვა ემსახურება მთელის კერძო დეტალებად იდენტიფიცირებული ნაწილების პასუხისმგებლობას მთელის ფორმის შენარჩუნება-აღდგენაში, რასაც მივყავართ საზოგადოების ურთიერთობის პრინციპთან - მოვალეობების დაყოფა-გადანაწილებასთან.

ჩინური ცივილიზაციისა და ჩინეთის განვითარების ისტორიაში მკაფიოდ ჩანს „ჯერარსის“ კატეგორიის მარადაქტუალობა. ამის ნათელი მაგალითია „ცისქვეშეთის“ მეტაფიზიკური წესრიგი, რომლის ზედამხედველობის ფუნქცია (ცის მანდატი) იმპერატორს გააჩნდა.

ცხადია, რომ ფორმის მანიის კლასის ერებში „ჯერარსული ნორმების“ დაცვის ზედამხედველის არსებობის საჭიროების ფაქტი მიუთითებს ასეთ საზოგადოებებში იერარქიულობის პრინციპებზე. ჩინეთში ეს იერარქიულობის პრინციპის პრიმატი გამოიხატება მოხელეთა შერჩევის უძველეს ტრადიციაში, რომელსაც ცინის პირველი დინასტიიდან დღემდე, აქტუალობა არ დაუკარგავს. ჩინეთში იერარქიულობის პრინციპის პრიმატი ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სწორედ ზედამხედველობის ინსტიტუტი პასუხისმგებელია საზოგადოებრივი „მოვალეობების“ გადანაწილებაზე. დღეს ამ ფუნქციას ჩკპ ასრულებს.

ჩინურ საზოგადოებაში ყოფიერების „ჯერარსული“ წარმოდგენები აისახება ჩინური პოლიტიკური-ფილოსოფიის სამ გამორჩეულ სკოლაში: ტაოიზმი, კონფუციანიზმი და ლეგიზმი.

ტაოიზმი სინამდვილეს სწორედ მიზეზობრივ ინტერპრეტაციათა საუფლოდ წარმოგვიდგენს, რის მიხედვით სუბიექტი მოვლენების მიმდინარეობას ინერციით პასუხობს და წინააღმდეგობის გარეშე, განაგრძობს სინამდვილის დინებასთან სვლას (მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამყაროში ინდივიდს სწორედ აქვს საკუთარი ფუნქცია და როლი ნაპოვნია).

კონფუციანიზმი ფორმის მანიისეული „თანხმობისა“ და „მოვალეობის“ თაობაზე ფილოსოფიურ მოძღვრებას წარმოადგენს. ამ სკოლაში დიდი ყურადღება გამახვილებულია ჰარმონიულ სამყაროში „ჯერარსული“ ნორმების დაცვის მნიშვნელობაზე. კონფუციანიზმში ფორმის მანიისეული გავლენები გამოიხატება შემდეგი კატეგორიებით: იერარქიულობა, ცენტრალიზმი, ოჯახი, მოვალეობა, საზოგადოებრივ სტატუსთა და როლთა დაკონკრეტება.

ლეგიზმი სახელმწიფო მოწყობის ფორმის მანიისეული პარადიგმას გამოხატავს. მიუხედავად იმისა, რომ კონფუციანიზმისა და ტაოიზმისგან ის მეტად განსხვავებული მიმდინარეობაა, მისი ძირითადი ორიენტირი კანონის უზენაესობა, ძლიერი ერთპიროვნული (ერთპარტიული) მმართველობისა და საზოგადოებრივი ქცევის კონკრეტული კანონების დამკვიდრებაა.

ნოოლოგიაში ერთა ფორმის მანიის კლასის დამატებითი და მეტად მნიშვნელოვანი მახასიათებელი გამოიყოფა. ფორმის მანიის საზოგადოებრივი ერთობები ნოოტიპურად განსხვავებულების მიმართ მიუღებლობით ხასიათდებიან, რადგან ფორმის მანიის მოუცილებელი მახასიათებელია რჩეულობის სინდრომი. ამის მიზეზი ისაა, რომ უცხოები (სხვა ნოოტიპები) განიხილებიან „ჯერარსული“ ფორმის სიწმინდის შემრყვენელებად. აქედან

გამომდინარე, მიზანშეწონილია ერთა ფორმის მანიის კლასის არსებობის სივრცეზე სხვა ერთა წარმომადგენლების შეზღუდვა ან მათი მკაცრი რეგლამენტირებულობით დაშვება.

ფორმის მანიის ერების დამახასიათებელი ფარული ფსიქიკური ფაქტორების იდენტიფიცირების შედეგად, ე. ხვიჩია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ერების დამახასიათებელი პოლიტიკური მოწყობის მოდელია - ნაციონალ-სოციალიზმი ან მასთან კონცეპტუალურად დაახლოებული პოლიტიკური მოდელი. რაც შეეხება ეკონომიკურ სფეროს, ერთა ფორმის მანიის კლასში გაბატონებულია ცენტრალიზმი და წარმოების სექტორი.

ფორმის მანიის კლასის ერების ფსიქიკურ მახასიათებლებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ე. ხვიჩიას პოზიცია ფორმის მანიის ლიდერი ერის შესახებ.

ე. ხვიჩიას თქმით, ფორმის მანიის კლასის ერებში ცალსახა ლიდერის პოზიციას გერმანია იკავებდა, თუმცა მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდგომ, გერმანელებში განვითარდა „დამნაშავე ერის სინდრომი,“ რისი დაძლევაც დღემდე ვერ მოხერხდა. ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში (2008-2027), ერთა ფორმის მანიის კლასში, ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის წარმომადგენელი ლიდერი ერის პოზიცია ჩინეთმა დაიკავა.

ნოოლოგიის ფარგლებში გამოვლენილ საზოგადოებრივ ერთობათა მოუცილებადი და ფარული ფსიქიკური ფაქტორების (სქემების) იდენტიფიცირების შედეგად, ე. ხვიჩიამ მსოფლიო წესრიგის ორიგინალური მოდელი შეიმუშავა, სადაც ერებს მიეცემათ მათი თვისებრივი ტიპის შესაბამისი ფუნქციები და განვითარების შეუზღუდველი შესაძლებლობები.

ნოოლოგიური ცოდნით საერთაშორისო სისტემის მოწესრიგება მოიცავს „ოპტიმალიზმის დოქტრინის“ ამოქმედებას. დოქტრინის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობები ოთხი თვისებრივი ტიპის ერის თანაარსებობის სივრცედ იქცევა. ე. ხვიჩიას პოზიციით, „ოპტიმალიზმის დოქტრინაში“ გათვალისწინებულია ცივილიზაციის თვითრეგულირების უმაღლესი ინსტიტუტის (ნოოცენოზური ოპტიმუმი) შექმნა, რომელიც დაკომპლექტდება ერთა ოთხი თვისებრივი ტიპის წარმომადგენლებით. ამ ოთხეულის ინსტიტუტს „გლობალური განვითარების ცენტრი“ დაერქმევა.


„გლობალური განვითარების ცენტრში“ სტრუქტურულად გადანაწილებულია ოთხივე თვისებრივი ტიპის ერის ფუნქცია-მოვალეობები:

ერთა ფორმის მანიის კლასი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ექსკლუზიური საარსებო სივრცეებით, რადგან, როგორც აღინიშნა, ყოფიერებისადმი „ჯერარსული“ დამოკიდებულების გამო, ამ ერებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია საკუთარი განვითარების შეუფერხებელი სივრცის ფლობა. სწორედ „ჯერარსული“ იმპულსებით თვითორგანიზებულ ფორმის მანიის წარმომადგენლებს „გლობალური განვითარების ცენტრში“ შეესაბამებათ უზენაესი საკანონმდებლო და გლობალური ეკონომიკური წარმოების დაგეგვმა-გადანაწილების ფუნქცია.

ერთა ძლევის მანიის კლასის წარმომადგენლების რიგებს იკავებენ: რუსები, სერბები, კუბელები, მონღოლები, ქურთი იეზიდები და ა.შ. ამ თვისებრივი ტიპის ერებისთვის სამხედრო სექტორი დომინანტურია და მის არსებობას ეგზისტენციალური მნიშვნელობა ენიჭება. ასეთ ერებს შეესაბამებათ საერთაშორისო ბუფერული ძალის ფუნქცია, რომლის ძირითადი მიზანი ერთა ფორმის მანიის წარმომადგენლებს შორის შესაძლო კონფლიქტების პრევენცია უნდა იყოს (ერთა ფორმის მანიის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება ხშირია და ძირითადად, განპირობებულია ტერიტორიული პრეტენზიებით).

ერთა ცხრომის მანიის კლასს წარმოადგენენ: ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, ბელგიელები, ინდოელები და ა.შ. ასეთი თვისებრივი ტიპის ერების ძლიერი მხარეა გაცვლითი ურთიერთობები, ვაჭრობა და ფინანსები. შესაბამისად, ცხრომის მანიის კლასის ერების სახელმწიფო მოწყობის სტრუქტურაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორია. ასეთი ერების ოპტიმალური ფუნქციაა მსოფლიო საბაზრო ურთიერთობების რეგულირება და ორგანიზაცია, მათ შორის, ცივილიზაციის საგარეო თავდაცვაზე გამიზნული სამხედრო ინფრასტრუქტურის (კოლექტიურად დაფინანსებული) უზრუნველყოფა. ამ თვისებრივი კლასის წარმომადგენელს შორის შესაბამისი სამხედრო ინფრასტრუქტურის არსებობა (ნატოს ერთა ცხრომის მანიის კლასამდე რედუცირება), ერთა ძლევის მანიის კლასის დაბალანსებისთვის.

ერთა მართვის მანიის კლასის წარმომადგენლები არიან ქართველები, ირლანდიელები, შოტლანდიელები, კორსიკელები, სიცილიელები, ბასკები და ა.შ. მართვის მანიაში ურთიერთობების პრინციპი გაცემაა; გაერთიანების პრინციპი განსხვავების საფუძველზე ერთობა; უცხოსადმი დამოკიდებულება მომთხოვნელობით ხასიათდება. შესაბამისად, ამ თვისებრივი ტიპის ერებს ენიჭებათ ცივილიზაციის წარმომადგენლისა და საერთაშორისო მშვიდობის (ცივილიზაციის, როგორც მთელის ინტერესების დაცვაზე ზრუნვა) შენარჩუნებაზე ზედამხედველობის ფუნქცია.



სქემა № 9: საერთაშორისო ურთიერთობების ოპტიმალური წესრიგი

დასკვნა

კვლევაში ისტორიულ-აღწერილობითი და ლიტერატურის ნარატიული ანალიზის მეთოდებით, შევეცადეთ დაგვედგინა ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა და ამ იდენტობის ზეგავლენა ჩინეთის ხედვაზე საერთაშორისო ურთიერთობის მიმართ. ასევე გაგვეანალიზებინა, თუ რა დონეზეა დამუშავებული მსოფლიო მეცნიერებაში ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის საკითხი. ამ კუთხით, ერთობ დიდი გამოწვევა იყო საკვლევი თემის მრავალკომპონენტურობა. მივიღეთ გადაწყვეტილება შეგვეჩია კვლევის იმგვარი სტრატეგია, რომელიც დაგვეხმარებოდა მთლიანობაში წარმოგვედგინა ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა და ასეთი ქცევის მატარებლის დამოკიდებულებები საერთაშორისო პროცესებისადმი. ამრიგად, ლოგიკურად ჩავთვალეთ კვლევა-მოძიება დაგვეწყო სწორედ სიტყვა „ჩინეთი“-დან. დავრწმუნდით, რომ კატეგორია „ჩინეთი“ არამხოლოდ სიტყვა, არამედ ფილოსოფიურ კონცეფციათა ერთობლიობაა.

კვლევის შემდგომ ეტაპზე, მივედით იმ წერტილამდე, რომ შეგვესწავლა იმპერიული ჩინეთის პოლიტიკური-ფილოსოფიის ტექსტები და ტრაქტატები, რომელთა ზეგავლენით მოხდა ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის თეორიულ-კონცეპტუალური კონტურების განსაზღვრა. ამრიგად, განვიხილეთ ლეგისტური და კონფუციანური სკოლები. ჩვენ დავასკვნით, რომ:

- ლეგიზმის დამსახურებით ჩინეთში წინა პლანზე წამოიწია კანონის უზენაესობის, საზოგადოებრივი ფუნქცია-მოვალეობების დანაწილებისა და იმპერატორის, როგორც წესრიგზე ზედამხედველი ინსტიტუტის ფუნქციამ.
- ლეგიზმმა ფუძემდებლური როლი ითამაშა ჩინური ცენტრალიზებული და იერარქიული სახელმწიფო მართვის ჩამოყალიბებაზე.

- ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა ხარისხობრივად ახალ დონეზე გადავიდა ხანის იმპერიის დროს, როდესაც კონფუციანურმა სკოლამ ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა დააკავშირა ჰუმანიზმის, სამართლიანობის, სიქველის, ურთიერთნდობისა და ეტიკეტის კატეგორიებს.
- მოგვიანებით, მანჯურიელთა ცინგის დინასტიაში ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა გაფართოვდა უდროობის, მულტიეთნიკურობისა და ერთიანი ჩინური ცივილიზაციის იდეით.
- ძირითადად ლეგიზმმა და კონფუციანიზმმა საფუძველი ჩაუყარა ჩინური სახელმწიფო მართვის ხელოვნებას.

აღსანიშნავია, რომ ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობის ფილოსოფიურმა მახასიათებლებმა გამოკვეთა ძველჩინური „ცისქვეშეთის“ კონცეფციის შესწავლის მიზანშეწონილობა. კონცეფციის არაერთგვაროვნების გამო, შევეცადეთ სხვადასხვა ისტორიული პერიოდიდან გაგვეანალიზებინა „ცისქვეშეთის“ ჩამოყალიბების წინაპირობები, განვითარების სტადიები და შინაარსობრივი ასპექტები. ამ საკითხის გარშემო მოძიებული მასალების შესწავლის საფუძველზე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ „ცისქვეშეთი“ შიდა და ამავედროულად, საერთაშორისო წესრიგია, რომელიც დატვირთულია ჩინური ფილოსოფიური სკოლების სხვადასხვა ასპექტით. ვფიქრობთ, „ცისქვეშეთი“ ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ჩინურ ალტერნატივას წარმოადგენს.

კვლევის შემდგომ ეტაპზე გაგვიჩნდა ინტერესი საერთაშორისო ურთიერთობებში ჩინეთის აღმასვლის იმ ნიუანსების შესწავლის მიმართ, რომლებიც სავარაუდოდ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის არსებულ მოდელზე. ამრიგად, სამი კრიტიკული თეორიის („ძალის გადაცემის“, „კომპლექსურობისა“ და „კულტურული

ჰეგემონიის“) გაანალიზებისა და შესწავლის შედეგად გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ:

- ხანგრძლივი ჰეგემონიის დამყარების ყველაზე ეფექტურ გზას წარმოადგენს ერის კულტურული პოსტულატების გავრცელება საერთაშორისო დონეზე; მსოფლმხედველობის გავრცელება ეფექტურია მხოლოდ მაშინ, თუ მას ლეგიტიმაციას საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება გაუწევს (კულტურული ჰეგემონიის თეორია).
- ჩინეთი უკვე „დიდი ქვეყნების“ კლასშია. ის ღიად გამოხატავს უკმაყოფილებას არსებული ჰეგემონური (ლიბერალური) მოდელის მიმართ. ამ ეტაპზე, შესაძლებელია, რომ ჩინეთის უკმაყოფილებამ (რუსეთთან ერთად) არსებული ჰეგემონური მოდელის მიმართ დააჩქაროს ჰეგემონური ტრანზიციის პროცესი (ძალის გადაცემის თეორია).
- საერთაშორისო ურთიერთობებში ჩინეთის აღმასვლა/დაწინაურება დამოკიდებულია საერთაშორისო სისტემის კომპლექსური სტრუქტურის მაკრო და მიკრო ელემენტების ურთიერთკავშირზე. სისტემის მიკრო დონეზე მომხდარმა ცვლილებამაც კი, შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჩინეთის აღმასვლის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე (კომპლექსურობის თეორია).

საერთაშორისო წესრიგის რა ალტერნატივის შემოთავაზება შეუძლია ჩინეთს?

შევეცადეთ ამ კითხვაზე პასუხი რამდენიმე ნაწილად დაგვეყო. პირველ რიგში, გამოვიკვლიეთ, ზოგადად, რამდენად ფლობს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა იმ თეორიულ რესურსს, რათა წარმოადგინოს ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგზე უკეთესი მოდელი. ამ მიზნით, შევისწავლეთ XX საუკუნის 90-იანი წლების „მესამე მეცნიერული დებატი,“

რომლის მიზანი იყო საერთაშორისო ურთიერთობის დომინანტური თეორიების ინტელექტუალური ჰეგემონიის დაძლევა. აღნიშნულ „დებატს“ იმდენად მაღალი სულისკვეთება ჰქონდა, რომ დღევანდებლობაში ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობების ენდემური თეორიების განვითარების მიმართულებით სამეცნიერო პროექტების განხორციელებას. ამ თვალსაზრისით, ხაზს გავუსვამდით პროფესორ ამიტავ აჩარიას „გლობალური საერთაშორისო ურთიერთობების“ კონცეფციას, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტური თეორიების დაძლევა, სავსებით რეალური და პერსპექტიული საქმეა თანამედროვე აკადემიისთვის.

რაც შეეხება ჩინეთში საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების „სამი სტადიის“ პროცესის ანალიზს, ჩვენთვის გასაკვირი არ აღმოჩნდა, რომ „პირველ სტადიაში“ დომინანტური იყო მარქსიზმ-ლენინიზმ-მაოიზმი, ხოლო „მეორე სტადიის“ პერიოდში ჩინეთში საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინისადმი მიდგომები ერთობ შეიცვალა. შედეგად, ჩინეთში დასავლური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების აქტიური შემოღინება დაიწყო, სადაც დიდი პოპულარობით რეალიზმის სკოლა გამოირჩეოდა. კვლევის მიზნისა და ამოცანებიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო „მესამე სტადია“, რა დროსაც უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა საერთაშორისო ურთიერთობების ჩინური თეორიის შექმნის პირველი შტრიხები. აღსანიშნავია, რომ ამ სტადიის პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა შინაარსის სამეცნიერო პროექტი, ძველჩინური ცოდნის რეაქტუალიზაციის მიზნით. „მესამე სტადიის“ შესწავლისას გამოვლინდა, რომ ჩინეთში საერთაშორისო ურთიერთობების ჩინური თეორიის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა „ცინხუას სკოლამ“, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს პროფესორი იან შუტონგი. „ცინხუას

სკოლის“ სამეცნიერო პროექტებმა, შთაგვაგონა, რათა შეგვექმნა საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის ძველჩინური მიდგომების სქემა.

ძველჩინური ცოდნის რეაქტუალუზაციის კუთხით ასევე ხაზგასასმელია ჟაო ტინგიანის, შუ ჯილინისა და ელ ეიჩ ემ ლინგის თეზისები ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ალტერნატიული მოდელების ძიების თაობაზე. მიგვაჩნია, რომ მათ მიერ გაწეული შრომა ერთხმად პასუხობს მსოფლიო აკადემიაში ძლიერი არადასავლური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის საჭიროების გამოძახილს. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ ავტორთა იდეებმა მომავალში გარკვეული წვლილი შეიტანონ ასეთი თეორიის ჩამოყალიბების პროცესში.

საკვლევი თემატიკის დამუშავებისას საჭიროდ ჩავთვალეთ მსოფლმხედველობათა განსხვავებების კონკრეტულ მაგალითებზეც გვესაუბრა. შესაბამისად, ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობების შემთხვევაზე, თეორიულ და პრაქტიკულ დონეზე, გამოვავლინეთ მათი მსოფლმხედველობითი პოზიციები. ამ მიზნით, გავაანალიზეთ ჩინეთ-ევროკავშირის კონკურენციის მიზეზები, საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპები, ჩინეთისა და ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებთან არსებული ურთიერთობები. ამ პროცესის აღწერისას, დავრწმუნდით, რომ ამ ეტაპზე, ჩინეთ-ევროკავშირის შორის სამომავლო ურთიერთობების ნორმალიზება ნაკლებად შესაძლებელია. მიზეზი - მათ შორის განსხვავებულ მსოფლმხედველობით წარმოდგენებშია.

დისერტაციის სამი თავის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ აღმოჩნდა საკმარისი საკვლევი ჰიპოთეზების სრულად დადასტურებისთვის. დაგვრჩა განცდა, რომ საკითხი დამატებით მტკიცებულებების მოძიებას საჭიროებდა. ამ მიზნით, გადავწყვიტეთ იმ თეორიული ალტერნატივების მოძიება, რომელიც დაგვეხმარებოდა საკვლევი ჰიპოთეზების დადასტურებაში.

ამრიგად, შევისწავლეთ საერთაშორისო ურთიერთობების ქართული კრიტიკული თეორია - ნოოლოგია.

ნაშრომის ბოლო ნაწილში, სწორედ ნოოლოგიის კონცეპტუალური საფუძვლების, ავტორისეული დასაბუთებული და არგუმენტირებული თეზისების წარმოჩინების შემდგომ, დავრწმუნდით, რომ ჩინური სახელმწიფოებრივი იდენტობა და ამ იდენტობით განსაზღვრული ხედვა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი ჩინური საზოგადოების ფიქსირებული ფსიქიკური მახასიათებლების პირდაპირი რეალიზაციის შედეგია, რისი იდენტიფიცირება საერთაშორისო ურთიერთობების არადასავლური კრიტიკული თეორიის ფარგლებში გახდა შესაძლებელი.

ბიბლიოგრაფია

- 1) ასათიანი, მ. კულტურის სოციოლოგია, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006.
- 2) გარიშვილი, მ. შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, ლექციების კურსი, 2010.
- 3) ნადარია, ნ. ჩინეთი ჟამთა სივრცეში, მერიდიანი, თბილისი, 2007.
- 4) რამიშვილი, ვ. ფილოსოფია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2009.
- 5) სირბილაძე, ი. ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები საქართველოს დასავლური გზის კვალდაკვალ: მზარდი, თუმცა შეზღუდული პარტნიორობა? თბილისი, 2020.
- 6) უზნაძე, დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, საქართველოს მაცნე, 2009.
- 7) ფუკუიამა, ფ. იდენტობა: იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის,“ ეკონომიკის პოლიტიკის კვლევის ცენტრი. 2018
- 8) ფუკუიამა, ფ. იდენტობა: იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისთვის, ეკონომიკის პოლიტიკის კვლევის ცენტრი, თბილისი, 2018.
- 9) ძნელაძე, ი. ანტონიო გრამში: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ძიებაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკური კვლევების სამეცნიერო ჟურნალი პოლიტო/Logos, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2021.
- 10) ჭითანავა, ნ. გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში, ივერიონი, თბილისი, 2021.

- 11) ხვიჩია ე. ოპტიმალიზმი - ახალი პარადიგმა, 2012.
http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page_46.html
- 12) ხვიჩია, ე. ერი როგორც ფილოსოფიური კატეგორია და ონტოლოგიურ-გნოსეოლოგიური პრინციპი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 1997.
- 13) ხვიჩია, ე. ინფორმაციული ცივილიზაცია გლობალიზებულ სამყაროში და საქართველო, დისერტაცია. თბილისი, 2012.
<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000613/D-Khvichia%20E.pdf>
- 14) ხვიჩია, ე. ნაციონალ-გლობალიზმის საფუძვლების შესახებ - არსებული მსოფლიო მართვის პოლიტიკური სისტემის რეორგანიზაციის აუცილებლობა, 2018. http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page_10.html
- 15) ხვიჩია, ე. ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა საზოგადოების თვითორგანიზაციისა დამდგომარეობის ცვლის კანონები, გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 2020.
- 16) ხვიჩია, ე. ნოსფერო საბოლოო სტაბილიზაციის ზღვარზე. საერთაშორისო კონფერენცია - მსოფლიო და კავკასია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2011.
- 17) ხვიჩია, ე. პიროვნება - ერი - ცივილიზაცია, საზოგადოების ოპტიმალური სტრუქტურა ახალიპარადიგმის მიხედვით, თბილისი, 2007.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4754/1/Sajaro_Lekcbi.pdf
- 18) ხვიჩია, ე. ფსიქიკურ სტიქიათა თეორია და ოპტიმალიზმის დოქტრინა, 2013. <http://openlibrary.ge/handle/123456789/364>
- 19) ხვიჩია, ე. ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია, გამომცემლობა ნეკერი, თბილისი, 2004.
- 20) ხვიჩია, ე. ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართული ენა. საერთაშორისო კონფერენცია - ქართული ენის როლი საქართველოს

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2011.

21) ჰანტინგტონი, ს. ცივილიზაციათა შეხლა, ჟურნალიდან საზოგადოება და პოლიტიკა II, 1999.
<http://www.cipdd.org/upload/files/almanax2.pdf>

22) ჰარარი, იუვალ ნოახ. საპიენსი: კაცობრიობის მოკლე ისტორია, სულაკაურის გამოცემა, თბილისი, 2020.

23) Переломов, Л. С, trans. Ян Шан: Книга правителя области Шан Librarianum, Рипол-Классик. 2017.

24) 礼之用，和为贵(论语·学而). Cf. Legge vol. 1, 143, 1893, In from Zhao, T. All Under Heaven: The Tianxia System for a Possible World Order, Univ of California Press, Vol. 3. 2021.

25) Acharya, A. Global International Relations (IR) and Regional Worlds: A New Agenda for International Studies,” International Studies Quarterly 58, no. 4, 2014.
<https://doi.org/10.1111/isqu.12171>.

26) Acharya, A. Towards a Global IR?,” in Mcglinchey, Stephen, Rosie Walters & Christian Scheinpflug, International Relations Theory, Bristol: E-International Relations Publishing, 2017. <https://www.e-ir.info/publication/international-relations-theory/>.

27) Acharya, Amitav. After Liberal Hegemony: The Advent of a Multiplex World Order.” Ethics & International Affairs 31, no. 3, 2017.
doi:10.1017/S089267941700020X.

28) Adamson Walter. "Hegemony and Revolution: Antonio Gramsci's Political and Cultural Theory," 1980.

29) Anthony, I., Zhou, J., Yuan, J., Su, F., & Kim, J. China–EU Connectivity in an Era of Geopolitical Competition,” Stockholm International Peace Research Institute, 11, 2021.

30) Babones, S. Taking China Seriously: Relationality, Tianxia, and the ‘Chinese School’ of International Relations,” Oxford Research Encyclopedia of Politics, 2017. <https://doi.org/10.1093/acrefore/9780190228637.013.602>.

- 31) Balzacq, T. & Baele, S. The Third Debate and Postpositivism, Oxford Research Encyclopedia of International Studies, 2014. <https://doi.org/10.1093/acrefore/9780190846626.013>.
- 32) Bell, D. Introduction in Xu Tong, Y. Ancient Chinese thought, modern Chinese power, Princeton University Press, 2013.
- 33) Biran, M. Periods of Non-Han Rule. In A Companion to Chinese History. edited by Michael Szonyi, Hoboken, NJ: Wiley Blackwell, 2017.
- 34) Brady, A.M. China as a Polar Great Power, Cambridge University Press, 2017.
- 35) Brighenti, A. M. Antonio Gramsci's Theory of the Civil Society, Springer Fachmedien Wiesbaden, 2016. https://doi.org/10.1007/978-3-658-08000-6_72-1
- 36) Burnham, P. Neo-Gramscian Hegemony and the International Order, Capital & Class, 15 (3), 1991.
- 37) Çalkıvık, A. Poststructuralism and Postmodernism in International Relations, Oxford Research Encyclopedia of International Studies, 2017.
- 38) Callahan, W. Chinese Visions of World Order: Post-Hegemonic or a New Hegemony? International Studies Review 10, no. 4, 2008. doi:10.1111/j.1468-2486.2008.00830.x.
- 39) Chai, P. Understanding China's Belt and Road Initiative, Lowy Institute, 2017.
- 40) Chen, Z. China, the European Union and the fragile world order. JCMS: Journal of Common Market Studies, 54(4), 2016.
- 41) Cheng, Y. The Belt & Road Initiative in the Global Arena: Chinese and European Perspectives. Springer Singapore, Singapore, 2018.
- 42) Chu, S. Whither Chinese IR? The Sinocentric Subject and the Paradox of Tianxia-ism, International Theory, 14 (1), 2022 doi:10.1017/S1752971920000214.
- 43) Coutinho, C. N. Gramsci's Political Thought, Brill, 2012.
- 44) Cox, R. W. Gramsci, Hegemony and International Relations: An Essay in Method, Millennium, 1983.

- 45) Cunningham-Cross, L. Ghostly Encounters with the Parochial/Global Discipline of International Relations, 2014.
- 46) Di Cosmo Nicola. Ancient China and Its Enemies: The Rise of Nomadic Power in East Asian History (Cambridge: Cambridge University Press, 2002), 2002.
- 47) Duara, P. The Chinese World Order in Historical Perspective, China and the World 02, no. 2019. <https://doi.org/10.1142/S2591729319500238>.
- 48) Feng, Z. The Tianxia System: World Order in a Chinese Utopia. Global Asia. 2022
- 49) Feng, Z. The Tsinghua Approach and the Inception of Chinese Theories of International Relations, The Chinese Journal of International Politics, Volume 5, Issue 1, 2012.
- 50) Garlick, J. Not So Simple: Complexity Theory and the Rise of China China Report, 2016.
- 51) Geeraerts, G. The EU-China Partnership: Balancing Between Divergence and Convergence, Asia Eur J 17, 2019.
- 52) Germain, R. D. & Kenny, M. Engaging Gramsci: International Relations Theory and the New Gramscians. Review of International Studies, 1998.
- 53) Goreczky, P. Kizeková, A. Jakóbowski, J. Brezani, P. China in Central and Eastern Europe: Expectations, Threats and Opportunities in Search of Joined V4 Priorities. Think Visegrad, 2019.
- 54) Graham, A. Destined for War: Can America and China Escape Thucydides's Trap? Houghton Mifflin Harcourt, Boston, 2017.
- 55) Gramsci, Antonio. Selections from the Prison Notebooks of Antonio Gramsci. New York: International Publishers, 1971.
- 56) Hackler, M. Rapprochement amid readjustment: how China sees issues and trends in its changing relationship with the EU, Asia Eur J 18, 2020.
- 57) Hanfeizi 49 Five Vermin, Cited from Xu Tong, Y. Ancient Chinese thought, modern Chinese power, Princeton University Press, 2013.
- 58) Harper, T. Towards an Asian Eurasia: Mackinder's heartland theory and the return of China to Eurasia: How China's policies have opened a new chapter in the struggle for Eurasia, Cambridge journal of Eurasian studies, 2017.

- 59) He, W. Sino-Western Cultural Collisions on Belt and Road Initiative: A Comparison of Confucian Culture and Christian Culture, *China and the World: Ancient and Modern Silk Road*, Volume 01, Issue 03, 2, 2018.
- 60) Heilmann, S. Rudolf, M. Huotari, M. & Buckow, J. China's Shadow Foreign Policy: Parallel Structures Challenge the Established International Order. *China Monitor*, 2014.
- 61) Hoare, G. & Nathan Sperber. *An Introduction to Antonio Gramsci: His Life, Thought and Legacy*, London: Bloomsbury Academic, 2016.
- 62) Huang, P. 'Beijing Consensus, or Chinese Experiences, or What?', unpublished paper In Jacques Martin. *When China rules the world: the end of the western world and the birth of a new global order*, New York, Penguin Books, 2012.
- 63) Hui, V. *War and State Formation in Ancient China and Early Modern Europe*. Cambridge University Press, 2010, <https://doi.org/10.1017/CBO9780511614545>
- 64) Ikenberry, J & Wang, J. & Zhu, F. *America, China, and the struggle for world order: ideas, traditions, historical legacies, and global visions*, New York, NY: Palgrave Macmillan, 2015.
- 65) Ikenberry, J. The Rise of China and the Future of the West: Can the Liberal System Survive? *Foreign Affairs*, 87(1), 2008.
- 66) Jacques, M. *When China rules the world: the end of the western world and the birth of a new global order*, New York: Penguin Books, 2012.
- 67) Jaspers, K. *The Axial Age of Human History: A Base for the Unity of Mankind*, 1948. <https://www.commentary.org/articles/karl-jaspers/the-axial-age-of-human-history-a-base-for-the-unity-of-mankind/>.
- 68) Jilin, X. & Ownby, D. *Rethinking China's Rise: A Liberal Critique*, Cambridge: Cambridge University Press, 2018.
- 69) Kam-por, Y. Confucian Views on War as Seen in the Gongyan Commentary on the Spring and Autumn Annals, *Dao* 9, 2010. <https://doi.org/DOI 10.1007/s11712-009-9145>

- 70) Kavalski, E. China's 16+1Is Dead? Long Live the 17+1, (ბოლო ნახვა 12.06.2021), [The Diplomat](#).
- 71) Kern, M. & Meyer, D. Origins of Chinese Political Philosophy: Studies in the Composition and Thought of the Shangshu, Koninklijke Brill, Leiden, 2017.
- 72) Kim, W. & Gates, S. Power transition theory and the rise of China, International Area Studies Review, 18(3), 2015.
- 73) Kugler, J. & Organski, A. The power transition: A retrospective and prospective evaluation. Handbook of war studies 1, no. 9, 1989.
- 74) Kumar, S. Theorising Chinese International Relations and the Rise of China. Relaciones Internacionales, 2018. <https://doi.org/10.242197815/23142766e024>
- 75) Lapid, Y. The Third Debate: On the Prospects of International Theory in a Post-Positivist Era, International Studies Quarterly 33, no. 3, 1989. <https://doi.org/10.2307/2600457>.
- 76) Leal-Arcas R. The Eu and China in a New World Order: Challenges Ahead, EUCROSS Jean Monnet network working paper, 2019.
- 77) Levenson R. J. Confucian China and Its Modern Fate: the problem of intellectual continuity, London, Routledge, 1958. In Liu, J. The Evolution of Tianxia Cosmology and Its Philosophical Implications Frontiers of Philosophy in China, 2006. <https://doi.org/10.1007/s11466-006-0023-6>.
- 78) Lewis, M. E. & Hsieh, M. Tianxia and the Invention of Empire in East Asia In Wang Bang Chinese Visions of World Order: Tianxia, Culture, and World Politics, New York, USA: Duke University Press, 2017.
- 79) Ling, L.H.M. The Dao of World Politics: Towards a Post-Westphalian, Worldist International Relations, (1st ed.), Routledge, 11, 2013. <https://doi.org/10.4324/9781315887777>
- 80) Liu, J. & Deyuan Huang, The Evolution of Tianxia Cosmology and Its Philosophical Implications, Frontiers of Philosophy in China 1, no. 4, 2006. <http://www.jstor.org/stable/30209874>
- 81) Mackinder, H. J. The Scope and Methods of Geography; And, the Geographical Pivot of History, London, Royal Geographical Society, 1969.

- 82) Mancall, M. The Ch'ing Tribute System: An Interpretive Essay, In The Chinese World Order: Traditional China's Foreign Relations, edited by John King Fairbank, Cambridge, MA and London, England: Harvard University Press, 2013.
- 83) Matura, T. The pattern of Chinese investments in Central Europe, International Journal of Business Insights & Transformation, 2012.
- 84) Mayers, M. Rethinking the Silk Road: China's Belt and Road Initiative and Emerging Eurasian Relations, Springer Singapore, Singapore, 2018.
- 85) McCormick, B. L. & Unger, J. China after Socialism. Taylor & Francis, 2017.
- 86) Miskimmon, A. O'Loughlin, B., & Zeng, J. One Belt, One Road, One Story? Towards an EU-China Strategic Narrative, Palgrave Macmillan. 2021.
- 87) Morrow, A. M. Introducing Poststructuralism in International Relations Theory, International Relations, 2018. <https://www.e-ir.info/pdf/72723>
- 88) Mozi 14 Impartial Love In Xuetong, I. Ancient Chinese thought, modern Chinese power. Princeton University Press, 2013.
- 89) Noesselt, N. Is There a 'Chinese School' of IR? SSRN Scholarly Paper. Rochester, NY: Social Science Research Network, 2012. <https://doi.org/10.2139/ssrn.2134863>.
- 90) Nye, J. S. The Future of Power, Public Affairs, New York, 2011.
- 91) Peimin, N. Understanding the Analects of Confucius: a new translation of Lunyu with annotations, Albany: State University of New York Press, 32-33, 2017.
- 92) Pines, Y. Envisioning Eternal Empire: Chinese Political Thought of the Warring States Era, Honolulu: University of Hawaii, 2009.
- 93) Pines, Y. The Book of Lord Shang: Apologetics of State Power in Early China. New York: Columbia University Press, 2019
- 94) Quansheng, Z. The influence of Confucianism on Chinese politics and foreign policy, Asian Education and Development Studies, 2018.
- 95) Rana, K. China's Foreign Ministry: Fit for Purpose in the Era of Xi Jinping, BRI and 'Major Country Diplomacy with Chinese Characteristics? Institute of Chinese Studies, Delhi, India, DiploFoundation, 2019.

- 96) Rae, J. D. & Xiaodan, W. Placing Race, Culture, and the State in Chinese National Identity: Han, Hua, Or Zhongguo?" Asian Politics & Policy 8, no. 3, 2016. <https://doi.org/10.1111/aspp.12263>
- 97) Rein, M. Dawn of a New Order: Geopolitics and the Clash of Ideologies, Bloomsbury Publisher, UK, 2017.
- 98) Roger, T. Ames and Henry Rosemont. The Analects of Confucius: A Philosophical Translation, trans., Jr, New York, Ballantine Books, 1998.
- 99) Rolland, N. China's Eurasian Century? Political and Strategic Implications of the Belt and Road Initiative. The National Bureau Of Asian Research, Seattle, 2017.
- 100) Rudd, K. Xi Jinping China and the Global Order: The Significance of China's 2018 Central Foreign Policy Work Conference, An Address to the Lee Kuan Yew School of Public Policy National University of Singapore, 2018.
- 101) Sakwa, R. Eurasia on the Edge, Rowman & Littlefield, 2018.
- 102) Scott, D. A. Multipolarity, Multilateralism and Beyond? EU– China Understandings of the International System, International Relations, 27(1), 2013.
- 103) Scott, M. & Alcenat, W. Revisiting the Pivot: The Influence of Heartland Theory in Great Power Politics, Macalester College, 2008.
- 104) Shimizu, Kosuke. ed. Critical International Relations Theories in East Asia: Relationality, Subjectivity, and Pragmatism, London, Routledge, 2019. <https://doi.org/10.4324/9781351110235>
- 105) Zhao, S. Rethinking the Chinese World Order: the imperial cycle and the rise of China, Journal of Contemporary China, 24:96, 2015.
- 106) United States Senate Permanent Subcommittee on Investigations Committee on Homeland Security and Governmental Affairs. China's Impact on The U.S. Education System, [Report](#).
- 107) Wang, B. Chinese Visions of World Order: Tianxia, Culture, and World Politics, Durham: Duke University Press, 2017. muse.jhu.edu/book/68589.
- 108) Weiwei, Z. The China Wave: Rise of a Civilizational State. World Century Publishing Corporation, Hackensack, New Jersey, USA, 2012.
- 109) Wendt, A. Anarchy is what States Make of it: The Social Construction of Power Politics, International Organization, Vol. 46, No. 2, 1992.

- 110) Wolff, L. *Inventing Eastern Europe: The Map of Civilization on the Mind of the Enlightenment*, Stanford University Press, Stanford, Calif. 1994.
- 111) Wuthnow, J. *Chinese Perspectives on the Belt and Road Initiative : Strategic Rationales, Risks, and Implications*. National Defense University Press, Washington, Dc, 2017.
- 112) Xuetong, Y. *Ancient Chinese thought, modern Chinese power*, Princeton University Press. 2013.
- 113) Yaqing, Q. *Development of International Relations Theory in China*, International Studies, Delhi, v.46, No.2, 2009.
- 114) Yong, S. E. What Is at Stake in Building ‘Non-Western’ International Relations Theory? *Asian Studies Review* 44, no. 1, 2020. <https://doi.org/10.1080/10357823.2019.1673932>.
- 115) Yongnian Z. & Chi Z. The Belt and Road Initiative and China’s Grand Diplomacy. *China and the World*, Vol. 01, No. 03, 2018.
- 116) Zhang, F. Confucian Foreign Policy Traditions in Chinese History, *The Chinese Journal of International Politics*, 8 (2), 2015.
- 117) Zhang, L. and Zhengrong. H. Empire, Tianxia and Great Unity: A Historical Examination and Future Vision of China’s International Communication, *Global Media and China* 2, no. 2, 2017. <https://doi.org/10.1177/2059436417725213>.
- 118) Zhao, G. Reinventing China: Imperial Qing Ideology and the Rise of Modern Chinese National Identity in the Early Twentieth Century, *Modern China*, 32 (1), 2016. <http://www.jstor.org/stable/20062627>
- 119) Zhao, T. *All Under Heaven: The Tianxia System for a Possible World Order*. Vol. 3. University of California Press, 2021.
- 120) Zhongguo Junshishi Bianxiezuo (The Compilation Team of ‘China’s Military History’), *Zhongguo lidai zhanzheng nianbiao*, Vols. I, II (A Chronology of Wars in Chinese History). Beijing: Jiefangjun chubahshe In Zhang, F. Confucian Foreign Policy Traditions in Chinese History, *The Chinese Journal of International Politics*, 8 (2), 2015.

- 121) Zhouxiang Lu. Introduction: Constructing and Negotiating Chineseness in the Age of Globalisation in Zhouxiang, Lu. Chinese National Identity in the Age of Globalisation, Singapore, Palgrave Macmillan, 2020.
- 122) Zimmerman, T. The New Silk Roads: China, the United States and the future of Central Asia, Center on International Cooperation, New York University 2015.

ინტერნეტწყაროები:

- 1) НЕРЧИНСКИЙ ДОГОВОР 28 АВГУСТА 1689 ГОДА. (ბოლო ნახვა 06.06.2022) https://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/China/XVII/1680-1700/Russ_kit_otn_17_v_II/pril1.htm.
- 2) A Global Strategy for the European Union's Foreign and Security Policy, (ბოლო ნახვა 05.06.2021), [EEAS](#).
- 3) China's Policy Paper on the European Union, (ბოლო ნახვა 01.06.2021), [Xinhuanet](#).
- 4) Chinese President Xi Jinping arrives in Prague amid protests, (ბოლო ნახვა), 07.06.2021 [DW](#).
- 5) Chronology of Chinese Dynasties. (ბოლო ნახვა 11.09.2022), [china.lu](#)
- 6) Constitution of the Communist Party of China. 19th National Congress of the Communist Party of China. (ბოლო ნახვა 01.06.2021), [Xinhuanet](#).
- 7) Constitution of the Communist Party of China. 19th National Congress of the Communist Party of China. (ბოლო ნახვა 01.06.2021), [Xinhuanet](#).
- 8) EEAS. The Partnership on Sustainable Connectivity and Quality Infrastructure between the European Union and Japan, (ბოლო ნახვა 11.05.2021), [EEAS](#).
- 9) [EU-China Relations: Chronology](#).
- 10) EU-China Summit: Defending EU interests and values in a complex and vital partnership, Press release by President Michel and President von der Leyen, ბოლო ნახვა (05.06.2021), [European Council](#).

- 11) European Commission. Connecting Europe and Asia - Building blocks for an EU Strategy, ბოლო ნახვა (09.05.2021), [EEAS](#).
- 12) European Commission. EU Charts New Ground in Global Connectivity - Looks to Boost Strategic Ties with Asia, (ბოლო ნახვა 09.05.2021), [EEAS](#).
- 13) European Commission. EU-China – A Strategic Outlook. (ბოლო ნახვა 01.06.2021), [eur-lex.europa.eu](#).
- 14) European Commission. Speech in the European Parliament Plenary Session. (ბოლო ნახვა 01.06.2021), [ec.europa.eu](#).
- 15) European Council. EU Imposes Further Sanctions Over Serious Violations of Human Rights Around the World. (ბოლო ნახვა 02.06.2021), [consilium.europa](#).
- 16) Global Gateway. n.d. European Commission - European Commission. (ბოლო ნახვა 18.09.2022), [ec.europa.eu](#)
- 17) Harmonious World: China's Ancient Philosophy for New International Order, 2022 <https://www.mfa.gov.cn/ce/cena//eng/xwdt/t410254.htm>. (ბოლო ნახვა 27.07.2022).
- 18) Hu Makes 4-Point Proposal for Building Harmonious World, 2021. <http://www.china.org.cn/english/features/UN/142408.htm>. (ბოლო ნახვა 05.06.2021).
- 19) Hungary is first European country to sign up to China's Silk Roadvision 2015. (ბოლო ნახვა 07.06.2021) [GCR](#).
- 20) Por Shiu Sin. Tianxia: China's Concept of International Order, Global Asia, 2020. (ბოლო ნახვა 25.07.2022) <https://www.globalasia.org/v15no2/cover/tianxia-chinas-concept-of-international-order shiu-sin-por>.
- 21) Sands G. Are Confucius Institutes in the US Really Necessary? (ბოლო ნახვა 01.06.2021), [The Diplomat](#).
- 22) Secure a Decisive Victory in Building a Moderately Prosperous Society in All Respects and Strive for the Great Success of Socialism with Chinese Characteristics for a New Era, 2017. (ბოლო ნახვა 01.06.2021), [Xinhuanet](#).

- 23) Selections from the Classic of Filiality (Xiaojing), Asia for Educators, Columbia University, 1999.
- 24) Sino-Russian Joint Statement in 1997, (ბოლო ნახვა 05.06.2021), [CNTV](#).
- 25) Western sanctions on China over Xinjiang trigger furious response. (ბოლო ნახვა 02.06.2021), [Aljazeera](#).
- 26) Xi Jinping's Speech in Commemoration of the 2,565th Anniversary of Confucius' Birth - Library CHINA US Focus. (ბოლო ნახვა 01.28.2022) <http://library.chinausfocus.com/article-1534.html>.
- 27) Xi urges breaking new ground in major country diplomacy with Chinese characteristics, (ბოლო ნახვა 04.06.2021), [Xinhuanet](#).